

# XXXIV

რესპუბლიკური დიალექტოლოგიური  
სამეცნიერო სესიის  
მასალები

2014

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა.  
კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის,  
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა  
სამსახური

## XXXIV

რესპუბლიკური დიალექტოლოგიური  
სამეცნიერო სესიის

მ ა ს ა ლ ე ბ ი

მ ე ს ტ ი ა

2014 წლის 3-4 ოქტომბერი

თბილისი  
2014

სამეცნიერო დიალექტოლოგიური სესია გაიხსნება **2014 წლის 3-4  
ოქტომბერს მესტიაში**, მუნიციპალიტეტის გამგეობის **სააქტო  
დარბაზში** (მისამართი: სეტის მოედანი, **1**)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს — 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს — 5 წუთი

რედაქტორი — პროფ. **გ. გოგოლაშვილი**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

# მუშაობის გეგმა

## 3 ოქტომბერი

### პლენარული სხდომა, 10 საათი

შესავალი სიტყვა — **ავთანდილ არაბული**, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი  
მისალმება — **კახა ჟორჟოლიანი**, მესტიის გამგებელი

- ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი-სუბარი, რ. იოსელიანი, ნ. ნაკანი, „ზემოსვანური მორფემული ლექსიკონის“ შექმნასთან დაკავშირებული პრობლემები
- მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი, ლ. გიგლემიანი, სვანური ენის შესწავლის ისტორიიდან
- რ. ჭკადუა, ჯ. შოშიაშვილი — დიალექტთა განდასება ბერძნულ (ძველსა და ახალ) ენასა და სვანურში (ტიპოლოგიური შედარებისათვის)
- მ. ჩოხარაძე, თ. ჩოხარაძე, ქართული ენა თანამედროვე თურქეთში

## სექციური მუშაობა, 12 საათი

### I სექცია

ხელმძღვანელები: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი, პროფ. **ავთანდილ არაბული**  
პროფ. **მამია ფაღავა**

1. მ. ფაღავა — კარ-ფუძიანი ტოპონიმები სამხრეთ საქართველოდან
2. გ. გოგოლაშვილი, ხ. ყანდაშვილი — კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტები — კახური დიალექტის ისტორიის სა-  
ნდო წყარო
3. თ. ვაშაკიძე, ნ. ჯორბენაძე — პროფესიული დიალექტის  
ერთი სახეობისათვის თანამედროვე ქართულში (მედიანა)
4. თ. ლომთაძე — სინტაქსური თავისებურებებისათვის ქართველ  
ებრაელებთან
5. ნ. ლოლაძე, სივრცული ლოკალიზაციის ზმნები ქართული ენის  
დიალექტებში
6. მ. კიკვაძე — დმერთი კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში
7. ნ. ჭოხონელიძე — ჩამომავლობის აღმნიშვნელი ლექსემები  
ქართული ენის დიალექტებში
8. თ. ბურჭულაძე — ექიმის ენა — პროფესიული დიალექტი
9. რ. სალინაძე — „ბებიას ენა“ (მასალები დიალექტოლოგიისათვის)
10. ნ. ფარტენაძე — პირმომართი დამატების ბრუნვები შავშურ-  
სა და კლარჯულში
11. რ. ქურდაძე — დიალექტური ლექსიკისათვის მ. ჩიტიშვილის  
პოეზიაში
12. მეჰმეთ ალ. ქესქინი — ხატილას ხეობის ტოპონიმები და  
კულტურული მემკვიდრების საკითხები
13. ი. რუსაძე, ე. გორდაძე — ქართულ კილო-თქმათა მასალა  
რაფიელ ერისთავის „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინურ მცე-  
ნარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოების“ ლექსიკონში
14. თ. ზვიადაძე — ანდაზებში შემორჩენილი ზოგი ლექსიკური  
ერთეულის წარმომავლობის გამო
15. ნ. ცეცხლაძე — მიმღობა კლარჯულში
16. მ. კობერიძე — ზოგი ნაცვალსახელის ხმარების საკითხისა-  
თვის ფრონეს ხეობის ქართულურში

17. დ. კაკაშვილი — დ-ს ფუნქციონირებისათვის ქიზიყურში
18. მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე — კლარჯულის ლექსიკიდან
19. ლ. თანდილავა — თურქული ელემენტები ტაოურში
20. ნ. ციხიშვილი — I თურმეობითის წარმოება ფშაურში
21. თ. ტეტელოშვილი — ქონების სახელთა მაწარმოებლები ტრანსლატივებად სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში
22. მ. ხახუტაიშვილი — თემის ნიშანთა უნიფიკაცია კლარჯულში
23. მ. ლაბარტყავა — იმერიზმები დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში

## II სექცია

ხელმძღვანელები: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი, პროფ. **ვაჟა შენგელია**  
პროფ. **როინ ჭიკაძე**

1. ი. ჩანტლაძე, ნ. ბერიძე, ა. ბერიძე — რამდენიმე დაავადების აღმნიშვნელი ერთი ტერმინის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი ქართულ ნატურმედიცინაში
2. ე. გაზდელიანი, სოლომონ ბრძენი ძველ სვანურ ღვთაებათა პანთეონში
3. რ. ჭიკაძე — წინადადების ინტონაციურ-ექსპრესიული აქტუალიზაცია (შიგნიკახურის ენობრივი მასალის მიხედვით)
4. ა. არაბული — ხევისბერი, ხუცესი, მახვში და ამ რიგის სხვა წარმოებათა ისტორიისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულებისათვის
5. ვ. შენგელია, ც. ჯანჭღავა — მეგრული ხე „ხელი“ კომპოზიტებსა და ფრაზეოლოგიზმებში
6. მ. ჩუხუა — ვნებითობის -ან სუფიქსისათვის მეგრულ-ლაზურში
7. მ. ჯღარკავა — გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნები მეგრულ-ლაზურში
8. ქ. მარგიანი — დალის (კოდორის) ხეობის რამდენიმე სოფლის მიკროტოპონიმია (სტრუქტურა, სემანტიკა, ეტიმოლოგია)

9. ე. შენგელია — მეგრულ-ლაზური წყარ-ი II წყარ-ი „წყალი“ ლექსემების შემცველი იდიომებისათვის
10. რ. გერსამია — ფონოსემანტიკური ლექსიკის ენობრივ დონეთა მიხედვით სტრუქტურირების პრობლემები (ქართველური ენების მასალა)
11. კ. მითაგვარია — ალერსის გამომხატველი შორისდებულები მეგრულსა და სვანურში
12. ნ. ჭუმბურიძე — საკუთარი სახელების კნინობითი ფორმები სამეგრელოს სამთავროს თავადთა და აზნაურთა საოჯახო სიების მიხედვით
13. ი. ჩაჩანიძე — ეტიმოლოგიური დეფინიციები თედო სახოკიას თხზულებაში „მოგზაურობანი“
14. მ. საღლიანი — დროის ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მონაცემების მიხედვით
15. მ. ბუკია — ტაბუ მეგრულ მწყემსთა მეტყველებაში
16. ჭ. ქირია — პირველი თურმეობითის წარმოების საკითხები ზანური ენის მეგრულ დიალექტში
17. ნ. ხახიაშვილი — მირქმის დღესასწაულთან დაკავშირებულ ტერმინთა ისტორიისათვის
18. რ. ლოლუა — მოსაზრება კავკასიის ალბანელთა ენობრივი და დიალექტური შედგენილობის შესახებ
19. ნ. ფონიავა — ნინა II ნენა „ენა“ ლექსემა მეგრულ-ლაზურ იდიომებში
20. ლ. აზმაიფარაშვილი — ეთნოგრაფიული რეალიების ამსახველი ფრაზეოლოგიზმების შესახებ ქართულში
21. ლ. კოჭლამაზაშვილი — დიაქრონიულად განხორციელებული ერთი ფონეტიკური გარდაქმნისათვის ქართულ ტოპონიმიკაში
22. მ. მექვაბიშვილი — ჯუმათის ტოპონიმიკისთვის
23. ნ. მგელაძე — სვანური „ლამხუბ“ (სოციალური ინტერპრეტაცია)

**4 ოქტომბერი**  
**კონფერენციის დახურვა, 10 საათი**  
**კულტურული ღონისძიებები**

ლევან აზმაიფარაშვილი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

## **ეთნოგრაფიული რეალიების ამსახველი ფრაზეოლოგიზმების შესახებ ქართულში**

ნებისმიერი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფისათვის ნიშანდობლივია ადამიანთა ქცევების, ურთიერთობებისა და ქმედებების სტერეოტიპულობა, რაც განმტკიცებულია ტრადიციებით. ესა თუ ის სოციალურ-ყოფითი მოვლენა ტრადიციულ საზოგადოებაში ხასიათდება შედარებით მეტი მდგრადობითა და რეგულარულობით — ერთი და იმავე სახით მრავალჯერ განმეორებადობით, რაც სათანადო ასახვას ჰპოვებს ენაშიც: ეთნოგრაფიული ყოფით განსაზღვრული ესა თუ ის მყარი სტერეოტიპული ქმედება თუ მოვლენა (წეს-ჩვეულება, რიტუალი...) ტრადიციული საზოგადოების მეტყველებაში, როგორც წესი, მყარი ენობრივი ერთეულით არის ხოლმე გამოხატული და სახელდება.

ამ ტიპის ენობრივ ერთეულებს წარმოადგენს ქართულში, მაგალითად, ცნობილი ფრაზეოლოგიზმები, როგორცაა: **სისხლის აღება, ძმად გაფიცვა, ხატზე დაფიცება, ფიც-ვერცხლის ჭამა, თემიდან მოკვება...** მაგრამ, ამასთანავე, დიალექტებში მოიპოვება შეუდარებელი უფრო მეტი რაოდენობა ამავე ტიპის ფრაზეოლოგიზმებისა, რომელთა მნიშვნელობა და აზრი გაუგებარია თანამედროვე საზოგადოების წარმომადგენელთათვის, რომელთა ყოველდღიური ცხოვრებაც აღარ არის განსაზღვრული სათანადო ტრადიციულ-ყოფითი რეალიებით; ეს ფრაზეოლოგიზმებია, მაგალითად, **აგუნას გადაძახება, გზათ აჯსნა, თასის ჩამაყრა, ზლის დაკითხვა, ზღუბლის დალაკვა, თოფის ჯმის გატეხა, კვეთილში ჩასმა, მკვდართ გასტუმრება, მუცლად შათქმა, ნიშანზე ტირილი, რიგის ყენება, საფლაგზე შაჯდომა, სახელის დადება, უქმის ნათვლა, ქათმის ფერხვა, წყლის განრისხება, ჯვარში შაჯდომა, კარ-ქვებით შაყრა** და სხვა მრავალი.

სწორედ ამ ტიპის მყარი შესიტყვებებით ენის მიერ მარკირებულია ეთნოსის ტრადიციული ყოფა-ცხოვრების ყოველი სფერო: სამეურნეო ყოფა, მატერიალური კულტურა, საოჯახო ყოფა, ნათესაური ურთიერთობები, სოციალური ურთიერთობები, ჩვეულებითი სა-



მართალი, ხალხური მმართველობის ფორმები, ეტიკეტი, რწმენა-წარმოდგენები და ა.შ. სხვა დანიშნულება ამ ფრაზეოლოგიზმებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ, რითიც ისინი თვალსაჩინოდ უპირისპირდებიან სხვა ტიპის ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, კერძოდ, ე.წ. ხატოვან თქმებს ანუ იდიომებს, რომელთა არსებითად დამახასიათებელ ნიშანსაც, განსხვავებით ეთნოგრაფიული რეალიების ამსახველი ფრაზეოლოგიზმებისა, წარმოადგენს მეორეული ნომინაცია (უკვე სახელდებულის ხელახალი აღნიშვნა) და ექსპრესიულობა.

მიიჩნევა, რომ ამა თუ იმ ხალხის ისტორია, ყოფა-ცხოვრება, რწმენა-წარმოდგენები, ეთნოფსიქოლოგია და ა.შ. თავის ენობრივ გამოხატულებას ყველაზე ნათლად იდიომებში ავლენს ხოლმე. ასეთი იდიომების ნიმუშები კარგად არის ცნობილი ქართულშიც, მაგ., **თავზე ლაფის დასხმა, თავზე ნაცრის დაყრა, ვირზე შესმა, პირის გაშავება (პირშავად ყოფნა), თავს შემოვლა (შენ თავს შემოგვევლე, შენ შემოგვევლე), ყურებზე ხახვი არ დამაჭრა** და სხვა.

ამავე დროს ცნობილია ისიც, რომ იდიომის ეტიმოლოგიის ექსტრალინგვისტურ საფუძველზე დადგენის ცდები ხშირ შემთხვევაში წარუმატებელია ხოლმე ან ნაკლებად სარწმუნო იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, არ არის გათვალისწინებული თვით იდიომის არსებითი ნიშან-თვისება, როგორცაა მეორეული ნომინაცია და ექსპრესიულობა, მეორეც, — იდიომის ეტიმოლოგიზება ხდება იზოლირებულად, მარტოოდენ რომელიმე ექსტრალინგვისტურ ფაქტზე (ისტორიული, ყოფითი და ა.შ.) მითითებით და საერთო ფრაზეოლოგიურ სისტემასთან ამ იდიომის მიმართების გარეშე. გარდა ამისა, ჩნდება წარმოდგენა, თითქოს იდიომები წარმოადგენდნენ გაქვავებულ ენობრივ რელიქტებს, გადმონაშთებს უწინ არსებული და დღეს მივიწყებული რეალური ისტორიული თუ ეთნოგრაფიულ-ყოფითი ფაქტებისა. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ენაში ეს ფაქტები ამჟამად იდიომების წყალობითაა გვაქვს შემონახული. რეალურად კი იდიომების როლი ამ მხრივ უმნიშვნელოა, მათივე იმანენტური ბუნებიდან გამომდინარე, და რაც გვაქვს ექსტრალინგვისტური ფაქტების ასახვის თვალსაზრისით, ისიც მეორეულია, ვინაიდან „იდიომები ენაში მოკლებული არიან ნომინატიურ ფუნქციას — არასოდეს არ არიან ცნების ერთადერთი გამომხატველნი. მათი უშუალო დანიშნულებაა

უკვე სახელდებული საგნისა თუ მოვლენის ექსპრესიული ნიშნით დახასიათება“ (ა. თაყაიშვილი). ეს თვისება კი იდიომებს არსებითად გამოარჩევს ისეთი ტიპის ფრაზეოლოგიზმებისაგან, რომელთა პირდაპირი დანიშნულებაც სწორედ მთელი რიგი ეთნოგრაფიული მოვლენების უშუალო სახელდებაა და ეს ფრაზეოლოგიზმები ენაში წარმოდგენილია არა რელიქტურად, არამედ ცოცხალი (თუმცა ამჟამად პერიფერიული) სახით, როგორც ამ ენის ორგანული ნაწილი.

ამიტომ იდიომების ექსტრალინგვისტური მოტივაციის გამოსავლენად მიზანშეწონილი და მართებული იქნება, უპირველეს ყოვლისა, მოვახდინოთ ანალიზი სწორედ იმ ფრაზეოლოგიზმებისა, რომლებიც უშუალოდ მიემართებიან ექსტრალინგვისტურ ფაქტებს; შევისწავლოთ ექსტრალინგვისტური გარემო, სადაც ეს ფრაზეოლოგიზმი ჩაისახა და განვითარდა და ყოველივე ამის გათვალისწინებით მივადევნოთ თვალი ფრაზეოლოგიის სფეროში მიმდინარე პროცესებსაც, კერძოდ, ექსტრალინგვისტური ფაქტის ამსახველი ამა თუ იმ ფრაზეოლოგიზმის იდიომად გარდაქმნის გზებს. მისი ერთ-ერთი ნათელი ნიმუშია, მაგალითად, გამოთქმა **ანდერძის აგება** (ან **წესის აგება**), რომელსაც, გარდა თავისი პირდაპირი მნიშვნელობისა („მიცვალეზღვისათვის სათანადო წესის აღსრულება სასულიერო პირის მიერ“), ამჟამად განსხვავებული სემანტიკაც მოეპოვება („მოკვლა“, „განადგურება“, „მოსპობა“, „ბოლოს მოღება“) და ერთგვარი ირონიული ან მუქარის გამომხატველი ელფერიც დაჰკრავს. ამ რიგის შემთხვევები შედეგია ექსტრალინგვისტური ფაქტების უშუალოდ ამსახველი ფრაზეოლოგიზმების სხვაგვარი კონოტაციით დატვირთვისა და, შესაბამისად, იდიომებად მათი გარდაქმნისა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ იდიომების ფუნქციონირებასაც საკუთრივ ექსტრალინგვისტური ფაქტორი განსაზღვრავს, ოღონდ არა ეთნოგრაფიულ-ყოფითი, არამედ სხვა რამ, კერძოდ, ის, რაც განაპირობებს ადამიანის სწრაფვას ექსპრესიისაკენ — ფსიქოლოგიური ფაქტორი.

ეთნოგრაფიული რეალიების ამსახველ ფრაზეოლოგიზმებთან მიმართებით მოხსენებაში გაანალიზებულია იდიომები **ქადაგად დაცემა**, **კვერის დაკრა**, **თავს ევლება**, ქართული ენის დიალექტთა მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე.

**ხევისბერი, ხუცესი, მახში და ამ რიგის სხვა წარმოებათა ისტორიისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულებისათვის**

ქართველური ენების ერთ-ერთი უძველესი სოციალური ტერმინის ისტორიული ანალიზი შედარებით რეკონსტრუქციას ემყარება. სარეკონსტრუქციო მონაცემები ამ შემთხვევაში იმდენად ნათელია, რომ საანალიზო სიტყვის რეკონსტრუქცია გაკეთდა მანამ, სანამ მისი რეალური ეტიმოლოგია (ეტიმოლოგიური საფუძველი) დადგინდებოდა. შდრ.:

ქართ. **ხუცეს**-ი

ზან. **უჩაშ**-ი

სვან. **ხოშა**

ეს კავშირი პირველმა ნ. მარმა აღნიშნა (მარი 1911-1914, 360-361). თვით **ხუცეს**- ფუძის სტრუქტურა, ზოგ სხვა ხანმეტ გაქვავებულ სახელურ ფუძესთან ერთად, ა. შანიძემ ჯერ კიდევ 1923 წელს წარმოაჩინა („უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო“).

ა. შანიძე ამ სიტყვაში ხარისხის გაქვავებულ წარმოებას სწორედ ქართველურ ენათა მონაცემებით ადასტურებს:

„ხოლო შედარებით-აღმატებითი ხარისხის წარმოებისათვის ხანის ხმარების კვალი შემორჩენილია **ხუცეს**’ში, რომლის მეგრული შესატყვისია **უჩაში** („უფროსი“) და სვანური **ხოშა** („უფროსი“) და რომელიც ჩვეულებრივი ნორმების მიხედვით უნდა გვქონოდა ამ სახით: \***უცესი** (← \*ჰუცესი) და არა **ხუცესი** ან მით უმეტეს **უხუცესი** (მრჩობლი პრეფიქსით)“ (შანიძე 1981, 289).

აქვე შენიშვნაა სქოლიოში: „აკად. ნ. მარმა სწორად აღნიშნა, რომ ხანი **ხუცეს**-ში არ არის ძირეული, მაგრამ იგი შეცდა, როცა ხუცეს-ი ქართულში სვანურიდან ნასესხებ ფორმად აღიარა“.

ამდენად, ეჭვს არ იწვევს ის, რომ ხანმეტობის დონეზე, ანუ ქრისტიანული მწიგნობრობის გარიჟრაჟზე, **ხუცეს**-ი არა მხოლოდ გაქვავებული ფორმაა, არამედ მისი საწყისი მნიშვნელობაც ისტორი-

ის სიღრმეში არის დარჩენილი; მაგრამ ამასთან ერთად ქართველურ ენათა მონაცემების დიაქრონიულ ურთიერთმიმართებასაც სათანადო გააზრება სჭირდება. შინაარსის თვალსაზრისით ზანურ-სვანური ფუძეები რომ უფრო წინარე პერიოდს ასახავს, ეს მოულოდნელი არ არის. სვან. **ხოშა** ფუძის მნიშვნელობებია: „დიდი“; „უფროსი“ და „უფრო“ (შდრ. ძვ. ქართ.: უფროს და უფროსი). მეგრ. **უჩაში** „უფროსი“. წარმოებისა და სოციალური შინაარსის თვალსაზრისით ასევე ძალზე საყურადღებოა სვან. **მახუში** „უფროსი, ხელმძღვანელი, ოჯახის უფროსი“: ქორა მახუში ლიმზერს იჩო „ოჯახის უფროსი ლოცვას იქმს“.

ერთი საუკუნის წინათ ისტორიულ ფხოვეში, როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეების ხატ-სალოცავების მთავარი ღვთისმსახურის სახელწოდება ჯერ კიდევ ცხადად იყო გარჩეული:

**ვევისბერი** ფშ., **ხუცესი** ჯ., **დეკანოზი** მთ. დამწყალობნებელი ხატში.

**ხუცესი, ხუცეზი** (ხატში) ჯ. მთავარი ღმერთ-მსახური ხატში, დამწყალობნებელი (ხატში) (ა. შანიძე, თხზ., ტ. 1, ლექს.). ა. შანიძე მოხეურის ვარიანტს არ უთითებს, თუმცა მოხევეებიც ამ შინაარსით **დეკანოზ**- ტერმინს იყენებენ.

ვაჟა-ფშაველასთან ასევე ჩანს განსხვავება ხევსურულსა და ფშაურს შორის: „ვის ამწყალობნებ...?“ — *ჰკითხავს ალუდას ხუცესი გადაწეულის მკლავითა („ალუდა...“); ხევისბრობს ბერი ლუხუმი, ხმატკბილად მოუბარია („ბახტრიონი“); თუმცა ხევისბერ-ტერმინს პოეტი ხევსურულ გარემოშიც იყენებს: ხევისბერს აძლევს მოზვერსა, დადგა დახრილის თავითა („ალუდა...“).*

**ხუცესი** რომ ფშავეშიც ვლინდება, ამას ადასტურებს ზოგი სხვა წყარო (იხ. გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბ. 2000). უფრო სავარაუდოა, რომ აქ ეს იყოს უფრო არქაული ვითარების ნაშთი, ვინაიდან **ხუცეს**- წარმოება საკულტო ტერმინებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ერთეულია.

რაც მთავარია, ხევსურეთში (ისტორიულ ფხოვეში) შემორჩენილია შესაბამისი რიტუალის ამსახველი ზმნური ფორმა **ხუც-ობ-ა**, რომელიც, თავის მხრივ, ინახავს ამ წარმოების უფრო არქაულ

(ხუც-) ვითარებას: **ხუცობა ვ?**. საკლაგზე რისამე ან ვისიმე კურთხევის დროს ლოცვების წარმოთქმა ხუცვის მიერ (ვ. მას.) (ა. შანიძე, თხზ., ტ. 1, ლექს.). ამავე ფუძის წარმოებაა: **სახუცო კოჭობი, სახუცარი თასი** — თასი ან კოჭობი, რომელსაც მხოლოდ ხუცვის და დასტურ-ველოსნები ხმარობენ (ალ. ჭინჭ., ხევს. ლექს., 2005).

მოხსენებაში საუბარია ამ ტერმინებთან დაკავშირებული სოციალური ინსტიტუტებისა და მათი ურთიერთმიმართების შესახებ.

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

## ტაბუ მეგრულ მწყემსთა მეტყველებაში

მეგრულ მწყემსურ ლექსიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტაბუს, ე. წ. **ვაშინერს**-ს.

მწყემსთა მიერ გარკვეული სიტყვების წარმოთქმის აკრძალვა სხვადასხვა მოტივით იყო განპირობებული. ზოგადად, სიტყვის ტაბუს — რწმენა-წარმოდგენებით გამოწვეული ეფემიზმის პირდაპირი დანიშნულება ის იყო, რომ აღეკვეთა ამა თუ იმ სიტყვის ხმარებით ამოძრავებელი მისტიკური ძალების მოქმედება, ანდა სასურველი გზებით წარემართა იგი (კ. ჯორჯანელი).

მეგრული ტაბუს შესახებ ძალზე საინტერესო მასალას გვაწვდის თ. სახოკია, ა. ჭანტურიას ეთნოგრაფიული ჩანაწერები.

იალალზე (სააფუნოზე) მყოფი მწყემსი არ ახსენებდა გარკვეულ სიტყვებს და მას სხვა ფორმებით ცვლიდა. ეს აკრძალვა ძირითადად ეხებოდა მტაცებელ ცხოველთა სახელებს.

ნადირთა საზოგადო სახელი (ტაბუირებული) იყო **უშინუ** „უხსენებელი“, ანუ არსება, რომლის სახელის თქმა არ შეიძლებოდა.

ზოგიერთ ნადირს რამდენიმე სახელი ჰქონდა, სახელდება მოტივირებული იყო მისი თვისებით, გარეგნობით და ა. შ. მაგ., დათვს (მეგრ. **თუნთი**) მწყემსები ეძახდნენ **უწუნდურ**-ს („უწმინდური“) და **ბურდინა**-ს („მობურტყუნე“); მელა იყო **უჭუ-უხაშუშ მაცკომალი** „უწვავ-უხარშავის მჭამელი“; შდრ. მესაქონლეობის მფარველი ღვთა-

ების, გალენიშის ლოცვა: **ჩქიმი ორინც სი გაატგბი, ამიშენი; უჭუ-უნაშგუ მაჭკუშალც კიბირი გაკუუტკაჩი დო ოკუუტკლე** „ჩემი საქონელი შენ შეიწყალე („გაუთბე“), ამიშენე; შეუღმწვარ-მოუხარშავის მჭამელს კბილი გაუჭკავე და შეუკარი“), ასევე **მაძვადვალე** „ძუნძულით მოსიარულე“; ტურა იხსენიებოდა, როგორც **კვალი-ჭყელი** „კვალდაწყველილი“; **მოცქვაცქვალე** „ცუნცულით მოსიარულე“.

აკრძალვები ეხებოდა საქონლის ავადმყოფობის აღმნიშვნელ სიტყვებს. როცა საქონელს **პრუ / პული / პრული** („საქონლის მატლი, ნაიარეგზე გაჩენილი მატლი“) უჩნდებოდა, მატლის ხსენება არ შეიძლებოდა, მას ცვლიდა **ოჭიშიშ მაზიმალი** „ზურგის მზომელი“; **თელი** „ცოცხალი“, **შურდგუმილი** „სულდგმული“; საქონლის ჭირს **ივანა/ივანია**-ს ებიდემიის გაჩენის შემთხვევაში ეძახდნენ **უსახელე**-ს „უსახელოს“.

აქვე შევნიშნავთ, რომ აფხაზურ ტაბუირებულ მეტყველებაში, ე. წ. „ტყის ენაში“, საკმაოდ გვხვდება ქართულიდან შეთვისებული ლექსიკა, მაგ. **კვც** „თხა“ < ძვ. ქართ. **კიცუ**; **ა-გ<sup>ა</sup>ჭ** / **ა-გ<sup>ა</sup>ჭა** „უმცროსი მწყემსი“ < ქართ. **გოჭი**; **ა-კვც<sup>ა</sup>გ<sup>ა</sup>ჭკ** „თხის ნაშიერი“ < (ა)**კვც** ქართ. „კვიცი“, **გ<sup>ა</sup>ჭ** < „გოჭი“.

თე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

## ექიმის ენა — პროფესიული დიალექტი

1. ცნობილია, რომ ყოველი განვითარებული საზოგადოება რთული სოციალური სტრუქტურისაა. მასში გამოიყოფა სხვადასხვა სოციალური ფენა. თითოეული ფენისათვის ნიშანდობლივი თავისებურება, სხვა მახასიათებლებთან ერთად, მეტყველებითაც ვლინდება (ბ. ჯორბენაძე). სოციალური დიალექტი განიმარტება ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენის ნიშანდობლივ ნაირსახეობად, რომელიც შეპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და რწმენითი ფაქტორებით. პროფესიის, საქმიანობის მიხედვით განაწილება კი საფუძველს უქმნის სპეციფიკური პროფესიული ნიშნების გამომუშავე-

ბას, რაც, ცხადია, მეტყველებასა და წერით კულტურაშიც იჩენს თავს. ამის საფუძველზე წარმოქმნილი მეტყველების ნაირსახეობა პროფესიულ დიალექტად იწოდება.

2. ამ თვალსაზრისით ყურადღება გავამახვილეთ მედიცინის მუშაკთა წერით კულტურასა და თავისებურებებზე. სწორედ პროფესიული დიალექტის ერთ-ერთი სახეა ექიმთა ენა. მისთვის უპირველესად დამახასიათებელია პროფესიული ტერმინოლოგია, რაც უმთავრესი ფაქტორია როგორც წერითი, ისე ზეპირი მეტყველებისას. საერთო ტერმინოლოგიის გარდა, სხვადასხვა დარგის ექიმთათვის ნიშანდობლივია ვიწრო სპეციფიკის შესაბამისი ტერმინები. მაგალითად, შინაგან სნეულებათა, ქირურგის, ყელ-ყურ-ცხვირის ექიმთა და სხვათა ტერმინოლოგია.

3. ექიმთა წერით მეტყველებას ახასიათებს ფუნქციური სტილის ნიშნები. ენა ლაკონიურია, ძირითადად გამოიყენება საწყისები, იშვიათად — ზმნები. დანიშნულება ფორმულარის სახით იწერება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ წერისას სტანდარტული ფორმა გამოყენებული — ჯერ იწერება პაციენტის ჩივილი (როგორც წესი, წერენ „ჩივილებს“), შემდეგ — ექიმის დაკვირვება ავადმყოფობის ნიშნებზე (მაგალითად, აღენიშნება მაღალი ტემპერატურა, თავბრუსხვევა...), ბოლოს დაისმის დიაგნოზი, სადაც ექიმი მხოლოდ დაავადების სახელწოდებას უთითებს (მაგ., დიაგნოზი — მწვავე პნევმონია).

დანიშნულების დაწერის დროსაც ექიმები ლაკონიურობას ანიჭებენ უპირატესობას: პრეპარატის სახელწოდება — მისაღები აბის რაოდენობა — მიღების დოზის განსაზღვრა. მაგალითად, კატობრილი — 1 აბი დღეში 2-ჯერ (ხშირია რაოდენობის მითითებისას უმართებულო ფორმების გამოყენების შემთხვევები — 1-ჯერ, ერთჯერ...).

ექიმთა პროფესიული დიალექტი ფუნქციური სტილის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

ელისაბედ გაზდელიანი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

## სოლომონ ბრძენი ძველ სვანურ ღვთაებათა პანთეონში

სვანური ენა გამორჩეულად მდიდარია რელიგიასთან დაკავშირებული ლექსიკით. აქ ვხვდებით როგორც წარმართულ, ისე ძველი და ახალი აღთქმის წმინდანთა სახელებს, მათთან დაკავშირებული დღესასწაულების განსხვავებულ, საინტერესო სახელწოდებებს და საწესო რიტუალებს. რელიგიურ ტერმინთა სიუხვე სვანურში ადასტურებს, თუ რამდენად დიდი ადგილი ეჭირა ძველად სვანების ცხოვრებაში რელიგიას, მათ სარწმუნოებრივ წეს-ჩვეულებებს.

სვანური ენის გამოქვეყნებულ, ნაბეჭდ ტექსტებში ჩვენი ყურადღება მიიქცია სვანურ ღვთაებათა პანთეონში ძველი აღთქმის წმინდანებისადმი თაყვანისცემამ და მათთვის მიძღვნილმა ლოცვა-ვედრებამ.

დიდი პატივით მოიხსენიებდნენ ერთ-ერთ ღვთაებას სოლომ<sup>ნ</sup>ს.

**მაშენე პატივისგა სოლომნ ხეყანდ, ეჯა ლანგ ლაკირიშ, ლაშკადაშიშ, ლითხვარაშ, ლილოგიმანღეშ, ლიგვლვანაშ ი ჩიმი ხელობან ღერბეთ** (სვან. ენის ქრესტ. გვ. 21) — „ყველაზე დიდ პატივში სოლომნი ჰყავდათ, ის იყო საკირის, სამჭედლოსი, ნადირობის, მშენებლობის, ხელოსნობის და ყოველი ხელობის ღმერთი“.

გ. ბარდაველიძის განმარტებით: **„სოლომ, სოლომ ფუს-ნანბუნანდიშ** — „სოლომ, სოლომი სამყაროს უფლისა, ყოველგვარი ხელოსნობის — სახლის აგების, არყის გამოხდის და სხვ. მფარველი და ყოველ საქმეში სვე-ბედის მიმნიჭებელი კაცი-ღვთაება“.

საინტერესოა ერთ-ერთი რიტუალი, რომელსაც **ნაუქმი (ნაუქმი-ი)** ეწოდებოდა. ძველად სვანების წარმოდგენით, უქმეების გატეხვის გამო, შეიძლებოდა ოჯახი დასჯილიყო, ამიტომ იხდიდნენ **კათხ-ტაბაგს** (ხარჯს, სუფრას), სადაც ადიდებდნენ და ღმერთებს პატიებას შესთხოვდნენ. პირველ რიგში ახსენებდნენ **ხოშა ღერბეთს** — „დიდ ღმერთს“, **ჯგვრანგს** — „წმინდა გიორგის“, **ლაძარიას** — „ღვთისმშობელს“ და განსაკუთრებით **სოლომ-ს** შესთხოვდნენ — **ლახეშდ აღ ქორს ი აღ ქორან მერდას** — „შეეწიე ამ სახლს და ამ სახლში მყოფთ“.



**სოლომ**-ს კარპეზ დონდუა სვანურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონში განმარტავს. **სოლომ** — სოლომ-ი არყის ღმერთი. ლოცვებში **სოლომ** ზოგან **სოლომნ** ფორმით გვხვდება. სახლის ასაშენებლად კირის დამზადების დროს, ოჯახის უფროსი არყით და სამი სალოცავი პურით: **ხევედრად სოლომნს... სევისი ი ჰაჯს** — „ვეედრება სოლომნ-ს სვეს და ბარაქას“. სახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ ოჯახი იხდიდა წვეულებას **ლი-ზგერაწლ-ს** „დასრულებას“. ერთ-ერთი კალატოზი აიღებდა სალოცავ კვერებს, სანთელს და დალოცავდა ოჯახს: **მადლიან სოლომნ! აღ ქორ ბედნიერ ჩვენს, მანენე შვიდბიან, ბარქიან... ხოჩა გარ ახასე აღ ქორისგა... ქვინლგმენე, მარე, მზგ ათფიშირ...** (სვან. ენის ქრესტ. გვ. 111) — მადლიანო სოლომ! ეს სახლი ბედნიერი ჰქენი, ყველაზე მშვიდობიანი, ბარაქიანი, მხოლოდ კარგი გააკეთე ამ სახლში, სულდგმული (საქონელი) და ადამიანი ყველა გაამრავლე...

**სოლომო** ფორმა გვხვდება ო. ქაჯაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში. **სოლომო** (სოლომო-ს) — სოლომონი, წმინდა სოლომო — წმინდა სოლომონი. ხელოსნობის ღვთაება, სალოცავი ჰქონდა ხუხუნჯობა (ი. ყიფშიძე).

როგორც ჩანს, სვან. **სოლომ**, **სოლომნ** და მეგრული **სოლომო** იგივე ბიბლიური, იუდეველთა მესამე მეფე **სოლომონია**, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ებრაელთა უდიდესი სიწმინდის — იერუსალიმის ტაძრის აგება და ებრაელი ხალხის კეთილდღეობა.

**სოლომ'ნ'** რომ იგივე სოლომონ ბრძენია, ამის შესახებ 1941 წელს სები გულედანის მიერ დაწერილ ერთ-ერთ ტექსტში ვკითხულობთ: **ქრისტიანრე ღერთარენქა ჯვინალდ შვანარს, ობაშინ ვირაბარე ღერთარი ხამწმენხ** (სვან. ენის ქრესტ. გვ. 21) — ქრისტიანების ღმერთების გარდა ძველად სვანებს, ხშირად ებრაელების ღმერთებიც სწამდათ.

აშკარაა, **სოლომ** < **სოლომნ** და მეგრული **სოლომო** სოლომონ ბრძენია, რომელსაც ევედრებოდნენ მშენებლობასა და ყოველგვარ სამეურნეო საქმიანობაში შეწევნას და წარმატებას.

## რუსულან გერსამია (ილიას უნივერსიტეტი)

### **ფონოსემანტიკური ლექსიკის ენობრივ დონეთა მიხედვით სტრუქტურირების პრობლემები** (ქართველური ენების მასალა)

ფონოსემანტიკაში იგულისხმება არა სამეტყველო ბგერების გარეგანი მოვლენებისადმი მიმსგავსება, არამედ ფონოლოგიური ნიშნების სისტემური ხმარება გარკვეული სემანტიკური მოვლენების აღსაწერად. ამგვარი სისტემების შიგნით ფონოლოგიური მახასიათებლები ნებისმიერნი კი არ არიან, არამედ კანონზომიერად გადმოსცემენ გარკვეულ სემანტიკურ ინფორმაციას. თუმცა ამგვარი ინფორმაციის მატარებელი არა მხოლოდ ფონემური ნიშნებია, არამედ მორფემულიც, ვინაიდან ენობრივი ნიშანი, რომელიც ლინეალურია (ფ. დე სოსიური), არის ფონოსტრუქტურაც და მორფოსტრუქტურაც. ამიტომაც ფონოსემანტიკური მოდელები ქართველურ ენებში არსებობენ არა ოდენ ფონო-, არამედ მორფოლოგიური ბგერწერითი ყალიბების სახით და მაშასადამე, მათი კონსტრუირებისთვის გამოიყენება არა მხოლოდ ფონოლოგიური, არამედ მორფოლოგიური პრინციპები თუ ხერხები.

ბგერწერით სტრუქტურათა სემანტიკასთან კავშირი განიხილება ენობრივი ანალიზის ორ — ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ — დონეზე; სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებს უკავშირდება როგორც ფონოლოგიური (*ხმოვანი — თანხმოვანი, მყლერი — ყრუ, ფშვინვიერი — გლოტალიზებული, სისინა-შიშინა*), ისე მორფოლოგიური დიფერენციალური ნიშნები (*ძირი, ფუძე, აფიქსი*).

ფონოლოგიური დონის ანალიზი მოიცავს ფონემათა თუ ფონემათკომპლექსთა კავშირს მნიშვნელობებთან. კლასიფიკაციისას გამოყოფა **ხმოვნითი** (ვოკალური) და **თანხმოვნითი** (კონსონანტური) მოდელები ანუ ყალიბები, რომლებიც ასევე შეიძლება დიფერენცირდეს მონოფონემების და ბგერათკომპლექსების (ზოგადად კომპლექსების, მათ შორის, *ჰარმონიულების, ბიფონემების, ფონესთემების* და ა. შ.) სტრუქტურებად და მათთან დაკავშირებულ მნიშვნელობებად.

ენობრივი ანალიზის ამავე დონის საკითხს წარმოადგენს **ფო-ნოლოგიური მოვლენები**, რომლებიც ქართველურ ენებში ბგერწერიითი ლექსიკის წარმოქმნის საფუძველი ჩანს; ივლისხმება:

1. ბგერათგანვითარება
2. მეტათეზისი / ბგერათგადასხმა
3. სუბსტიტუცია /ბგერათშენაცვლება
4. ვოკალური ალტერნაცია

ამ მექანიზმების საშუალებით აიხსნება, თუ რა ენობრივ ინვენტარს, რა პრინციპებს, წესებს იყენებენ ქართველური ენები კომუნიკაციის პროცესში აუცილებელი სემანტიკების დასაფარად, სხვადასხვა ტიპის მოქმედებათა ექსპრესიულობის გამოსახატავად. აღნიშნული წესები მოიცავს ამა თუ იმ ენისათვის დამახასიათებელი ფონოტაქტიკის კანონებით განპირობებულ ცვლილებებსაც.

ბგერწერის მორფოლოგიურ ინვენტარს წარმოადგენს **ძირი**, მისგან (ან მათგან) მიღებული **ფუძე** და **აფიქსი**, ხოლო ფუძეთა წარმოქმნის მორფოლოგიურ პრინციპებს - **ძირის რედუბლიკაცია**, **აფიქსაცია**, **ალტერნაცია**, ვინაიდან ბგერწერითი ღირებულება აქვს არა ოდენ ფონო-, არამედ *მორფოლოგიურ სტრუქტურებსაც*.

ყველა ქართველური ენისათვის გამოიყოფა ფუძეთა ორი სტრუქტურული ტიპი: *არარედუბლიცირებული* და *რედუბლიცირებული*. რედუბლიცირებული ფუძე არაერთი ნიშნით შეიძლება დახასიათდეს, მათ შორის ფონოსემანტიკისთვის მნიშვნელოვანია სტრუქტურაში ხმოვნითი ელემენტების სინტაგმატიკისა და მათი ერთმანეთთან შეპირისპირების, ფუძის შემადგენელ კომპონენტებში თანხმოვანთა და ხმოვანთა ჩანაცვლების საკითხები. ბგერწერითი **ძირის რედუბლიკაციაში** გამოიყოფა ორი ქვესახეობა:

1. იდენტურხმოვნიანი: ( $V=V$ )
2. განსხვავებულხმოვნიანი (მონაცვლე ხმოვნით /ვოკალური ალტერნაციით): ( $V\neq V$ )

აღნიშნულ საკითხს პირდაპირ ებმის **მარცვლის სტრუქტურის** საკითხი:

1. **ღია** მარცვლის გაორკეცება:  $(CV)^2$
2. **დახურული** მარცვლის გაორკეცება:  $(CVC)^2$

მარცვლის ღიაობა — დახურულობა განსაზღვრავს ფონოსემან-

ტიკური მოდელის სემურ ნიუანსებს.

ფონოსემანტიკურ ლექსიკაში **აფიქსაციის** წესები მისდევს ენობისათვის გამოვლენილ უნივერსალურ პრინციპებს, რომლებიც ადგენენ ძირისა და სუფიქსის შესაბამისობის საკითხებს; ისინი შეიძლება მოკლედ ასე ჩაიწეროს:

1. სუფიქსაცია:  $(CV) / (CV)^2 + CV_{SUF}$ -;  $(CVC) / (CVC)^2 + CVC_{SUF}$ -

2. ინფიქსაცია:  $(CVC)+V+(CVC)^-$  (ე.წ. მაერთი ხმოვნით გამიჯნული მოდელები)

მეგრულში ფონოსემანტიკური ფუძის წარმოქმნის ერთი წესი უკავშირდება სუფიქსის სტრუქტურას და მისი შემადგენელი ხმოვნითი ელემენტის ტიპს, რომელიც ფუძეში ვოკალური ალტერნაციის საფუძველია, აღნიშნული პროცესი ცნობილია „სემანტიკური დანიშნულების ხმოვანთმონაცვლეობის“ სახელით.

ქართველურ ენათა ფონოსემანტიკური ლექსიკის სტრუქტურული ანალიზი აუცილებლად ითხოვს ფუძეთა გამიჯვნას სინქრონიკული დიაქრონიის თვალსაზრისით, ენობრივი ანალიზის ამ ორი პერსპექტივიდან გამომდინარე ფონო-მორფოლოგიური სტრუქტურები სხვადასხვაგვარად სემანტიკურდება და კვალიფიცირდება.

აღნიშნული დებულებების გასამყარებლად მოხსენებაში დეტალურად იქნება წარმოდგენილი და გაანალიზებული ქართველურ ენათა მონაცემები.

**გ ი ო რ გ ი   გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი,**

**ხ ა თ უ ნ ა   ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი** (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

## **კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტები — კახური დიალექტის ისტორიის სანდო წყარო**

1999 წელს თსუ გამომცემლობამ გამოსცა „დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის“. ეს არის აჯანყებულ კახელთა საჩივრები და ჩვენებები (დაკითხვის ოქმები).

კახეთის ცნობილი აჯანყება 1812 წლის იანვრის ბოლოს დაი-

წყო და მოიცვა პრაქტიკულად მთელი კახეთი (ქიზიყი, შიგნი და გარე კახეთი). აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მთავარმართებლის მარკიზ პაულიჩის გადაწყვეტილებით დაიწყო აჯანყების გამომწვევი მიზეზების შესწავლა. შეიქმნა საგანგებო კომისია. შეგროვდა ოცდაათამდე საჩივარი, ათეულობით მოწმე დაიკითხა. 1812 წლის ივნისში მთავარმართებელი შეიცვალა, კომისიამ მუშაობა შეწყვიტა და მოპოვებული მასალები პეტერბურგში გადაიგზავნა, შემდეგ ამ მასალამ ბინა დაიდო მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ არქივში. არქივიდან 1951 წელს მასალა გადმოწერა და გამოსაცემად მოამზადა ისტორიკოსმა შოთა ხანთაძემ, გამოსცა კიდეც 1961 წელს, თუმცა „არასასურველი გამოცემა“ სტამბაშივე განადგურდა. 1999 წელს შემთხვევით გარჩენილი ცალის მიხედვით ხელახალი გამოცემა მოამზადა ისტორიკოსმა დ. ცინცაძემ. „დოკუმენტები“ საინტერესოა არა მარტო ისტორიული, არამედ ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც; კერძოდ, კახური დიალექტის ისტორიული ვითარების გასარკვევად.

წინამდებარე მოხსენებაში ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ ერთ ფაქტს — ხოლმეობითობის გამოხატვას.

ფაქტია, დღეს ხოლმეობითები აღარ არის კახურ დიალექტში მორფოლოგიური კატეგორია; XX საუკუნის შუა ხანებში ქიზიყშიღა იყო შემორჩენილი ნაშთის სახით; ძირითადად გამოიყენება **-კე** ნაწილაკი და აღწერითი წარმოება.

„დოკუმენტებში“ წარმოდგენილი მასალის მიხედვით ხოლმეობითი, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, ცოცხალია და აქტიურად გამოიყენება მთელი კახეთის ტერიტორიაზე. საილუსტრაციო მასალიდან მოვიყვანთ ნიმუშებს:

**ქიზიყი:** „კამისერისაგან პური რომ **მოგვართვიან**, როგორითაც ჩვენ ერთმანეთში ისყიდებოდეს, სრულებით ფასი არ **მოვეციან** და ისეთის ლიტრით **გვართმევდიან**, რომ თოთხმეტი ლიტრა კოდათ **მიწევანი** და ბეგარისაგანაც შეწუხებულნი ვიყავით, რომელსაც ხარს აღარ **შეძლის** წაღება“ (მალარო, ნუკრიანი)

„ვაშკაცებ ცოლები **წართვიან** და თითონ **დაიჭირიან** და უნამუსოთ **გახდიან**“ (ბოდბისხევი)

**შიგნიკახური:** „და ოდეს მივართმევდით პურსა, სამს კაცუნდ ჩაფს ღვინოსა **დათვრიან** და სხვა უმჯობესი ღვინო **ითხოვიან** და ამა

სიღარიბესა შინა მიცემულნი ხალხნი იშოვნინდენ ღვინოსა უმჯობესა, შემდგომ **სთხოვიან** დელათაგანიც მოგვარეთო“ (ვეყინი, გურჯაანი)

**გარეკახური:** „რაც იმათ **გადარჩის** და ქვევრში ჩავასხემდით ისიც ქურდობით **ავგინადიან**, რაც შეეძლებოდათ **წაილიან** და რაც **დარჩის** სულ მიწით **აღავსიან** და **წავგინდინიან**, რომ ღვინოთ აღარ **გამოგვადგის**“.

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე , ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე  
(ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **პროფესიული დიალექტის ერთი სახეობისათვის თანამედროვე ქართულში (მედიანა)**

„შრომის განაწილება ნიშანდობლივი მოვლენაა ყველა საზოგადოებისათვის. ეს კი წარმოქმნის სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებს. ხელოსნობაში ასეთ ჯგუფებს ამქრობას უწოდებდნენ. პროფესიის, მოსაქმეობის მიხედვით საზოგადოების ამგვარი განაწილება საფუძველს უქმნის სპეციფიკური პროფესიული ნიშნების გამოუმუშავებას, დაწყებულს სულიერი წყობით და დამთავრებულს საზოგადოებაში მოქცევით, რაც მეტყველებაშიც იჩენს თავს. ამის საფუძველზე წარმოქმნილი მეტყველების ნაირსახეობა პროფესიულ დიალექტად იწოდება“ (ბ. ჯორბენაძე).

თანამედროვე ქართულში პროფესიული დიალექტის ერთ-ერთ განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს **მედიანა** — ორი უმთავრესი განშტოებით. ესენია: ჟურნალისტთა ზეპირი მეტყველება და პრესის ენა, რომლებიც საკმაოდ სხვაობენ ერთმანეთისაგან სინტაქსურ-სტილისტიკური თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად — ლექსიკითაც.

თანამედროვე მედიანა (კერძოდ, ტელე- და მეტ-ნაკლებად რადიოგადაცემათა ენა) ხუთი უმთავრესი ქვესახეობის ერთობლიობას წარმოადგენს (და, ბუნებრივია, ამ თვალსაზრისითაც საინტერესო და ანგარიშგასაწევიან). ესენია:

1) **საინფორმაციო გადაცემათა ენა** (რომელიც ძირითადად დამახასიათებელია ტელე- და რადიოსაინფორმაციო პროგრამებისათვის);

2) **სარესპონდენტო ენა** (რომელიც გამოიყენება ჟურნალისტებისა და რესპონდენტების საუბრისას ამა თუ იმ სახის შემეცნებითი თუ სხვა ტიპის გადაცემების დროს);

3) **რეკლამის ენა** (რომელიც მოიცავს სარეკლამო მოწოდება-ლოზუნგებსა და შედარებით ვრცელ სარეკლამო ტექსტებს);

4) **შოუენა** (რომელიც მთელი თავისი ნაირსახეობით მუდავდება სხვადასხვა სახის გასართობ პროგრამა-პროექტებში);

5) **ნათარგმნი ფილმებისა და სერიალების ენა** (რომელიც, ბუნებრივია, ნათარგმნ ტექსტებს ემყარება, მაგრამ მასში მაინც შეიმჩნევა მედიაენისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, როგორც არის, მაგალითად, მეტყველების მანერა თუ სხვა).

„ეთნიკურ-ტერიტორიულ და სოციალურ-პროფესიულ დიალექტებს შორის თვისებრივი სხვაობაა. მართალია, ყველა ეს დიალექტი რომელიმე ერთი ენის ნაირსახეობებს წარმოადგენს, მაგრამ ეს ნაირსახეობანი სხვადასხვა ბუნებისაა... ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტები ამა თუ იმ ენის ნაირსახეობას ყველა დონეზე წარმოგვიჩვენენ: ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური ნაირსახეობები მეტ-ნაკლებად ყველა ეთნიკურ-ტერიტორიულ დიალექტშია წარმოდგენილი. რაც შეეხება სოციალურ და პროფესიულ დიალექტებს, მათ თავისებურებებს ძირითადად ლექსიკა და ფრაზეოლოგია განსაზღვრავს, ანუ: ისინი ძირითადად ლექსიკითა და ფრაზეოლოგიით სხვაობენ იმ ენისაგან, რომლის დიალექტებიც არიან“ (ბ. ჯორბენაძე).

თანამედროვე მედიაენა ქართული ენის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროფესიული დიალექტია, რომლის ავტონომიურობას სწორედ ლექსიკა-ფრაზეოლოგიის თავისებურება განაპირობებს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მეტყველების სტილსა და მანერას.

## ანდაზებში შემორჩენილი ზოგი ლექსიკური ერთეულის წარმომავლობის გამო

ენას აქვს უნარი, ასახოს არა მხოლოდ გარკვეული მოვლენა, არამედ დამოკიდებულება ამ მოვლენის მიმართ, მათ შორისაა ის ზნეობრივ-ეთიკური ღირებულებები, რაც გამოხატულია ანდაზებით. კონკრეტული ცნების გამომხატველ გამონათქვამებს, რომლებიც განზოგადებული მნიშვნელობის მატარებელ ფორმებად გვევლინება, ხშირად ეკარგება პირვანდელი სემანტიკა და დროთა განმავლობაში იღებს გადატანით მნიშვნელობას. საუკუნეების მანძილზე ენა აქტიურად ითვისებს ყოფა-ცხოვრებითი სიახლეების ამსახველ ლექსიკას. ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობების მობილურობა და სხვადასხვა ექსტრალიგვისტური ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული სემანტიკური ცვლელადობა საშუალება გვაძლევს, დავაკვირდეთ ანდაზებში შეშვალ სიტყვათა სიცოცხლისუნარიანობას.

ანდაზებში ხშირად იცვლება საყრდენი სიტყვა ან რომელიმე კომპონენტი. შეიძლება ცვლილება არ მოხდეს, მაგრამ ლექსიკური ერთეულის არქაულობისა თუ დიალექტური წარმოშობის გამო გაბუნდოვანდეს აზრი. კუთხური სიტყვების დადასტურება გამოთქმებში საშუალებაა ანდაზის წარმოშობის ადგილის მისაკვლევად.

მაგალითად, სიტყვა „საციქველი“ დასტურდება ანდაზაში: „ავ მეზობელს ცეცხლიც **საციქველი** ეგონაო“. **საციქველი** არქაული ლექსიკური ერთეულია, რომლის ძირია „ციქვ“: **საციქველი**, **საციქუელი**, **სამოციქულო**: მოსახმარებელი, სათხოვნელი, სათხოვარი. ციქუა-ოხა, გინა მოციქულობა. მოციქული... „არს კაცმან ვინმე ამხანაგსა ანუ უაღრესაა მიაგზავნოს საქმესა რასმე ზედა“ (ორბელიანი, 1993).

საციქველი — მეზობლის მიერ მეზობლისათვის მითხოვებული რაიმე აჯათი — ცული, ბარი, წერაქვი, ქვაბი და მისთ.(მენთეშაშვილი, 1943).

დასტურდება სვანურში: **საციქ** — ყველა სახის წვრილმანი, რაც კი შეიძლება სთხოვო მეზობელს(მაწვნის ძირი, მჭადის ფქვილი, კვერცი...).



სვანური **ლისციქე** აქტიურად მონაწილეობს სახელურ და ზმნურ დერივაციასა და პარადიგმატიკაში, ასევე ფრაზეოლოგიზმებში: საციქე „საციქველი“, ლი-სციქე „საციქველზე მეზობელთან გადასვლა, ხოლა საციქე-იშ „ოჯახი, რომელიც გარკვეულ დღეებში (ორშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს) არ გასცემს საციქველს, რადგან ეს ცუდად იმოქმედებს ოჯახის შემოსავლებზე. საციქე ნაუჭვედი — საციქველის მიუცემლობა, უარით გასტუმრება (ქ. მარგიანი)

ამ ანდაზას იმერულში დღესაც იყენებენ. სიტყვა „საციქველს“, რომელიც დიალექტურადაა გააზრებული, დავიწროებული აქვს მნიშვნელობა და აღნიშნავს მხოლოდ მეალილოეთათვის მიცემულ საჩუქარს (კვერცხი, ხილი, ნაზუქი...).

გასათვალისწინებელია ამა თუ იმ კუთხის ყოფა-ცხოვრების სპეციფიკაც. ერთი და იმავე შინაარსის ანდაზებში შეიძლება განსხვავებული ლექსიკური ერთეულები დადასტურდეს: „გიდელი იწვოდა და **ღაღვი** იცინოდაო“// ძნა იწვებოდა, **ულო** იცინოდაო“.

დიალექტურად გააზრებული არქაული სიტყვაა **კვრინჩხი**, რომელიც დასტურდება ანდაზებში: **„უეკლო კვრინჩხს სულ ფეხით გასთლავენო“**; **„კვრინჩხს რომ ეკალი არ ესხას, მასაც ფეხს დააღამენო“**; **„კვრინჩხს თავისი ეკალი იცავსო“**; სემანტიკა უკავშირდება იმპლიციტურ შინაარსს: მშვიდი, უწყინარი ადამიანი დაუტველია. **კვრინჩხი** — ღორტყემალაა (მაყაშვილი, 1961), ნაყოფიანი ხე(ღეჩხ.). ამ მნიშვნელობით დასტურდება „დავითიანში“: „ათი დღის მშვიერს მომერთვა საღილი საკვებურია/ მოუწევარი კვრინჩხი და მკვახე კოწახურია“.

საბა განმარტავს, როგორც ეკლიან ხეს (ორბელიანი, 1991); ასეა იმერულშიც:

**კვრინჩხი** — „ჯარცხილა“, იგივე **კვინცხა**: „პლატონმა ... ცხენი მიაბა სამზარეულო სახლის გვერდით მდგარ კვინცხასთან“ (დ. კლდიაშვილი).

ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შესწავლა განსაკუთრებული ღირებულებისაა. ანდაზა მკაფიო ინდივიდუალობის მქონე ხატოვანი გამონათქვამია, რომელსაც სინამდვილის ასახვის ინდივიდუალური ფორმა აქვს. მათი გააზრება — გაანალიზება მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი პროცესია.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება საილუსტრაციო მასალა და ამ მასალის ანალიზი.

**ლილე თანდილავა** (ბათუმის უნივერსიტეტი)

## **თურქული ელემენტები ტაოურში**

ტაო საქართველოს ძირძველი კუთხეა თავისი მძიმე ისტორიული წარსულითა და მომხიბვლელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, თვალისმომჭრელი ბუნებით, მაღალი კლდეებით, რომლებიც ამყად დაჰყურებენ ქართულ უძველეს ძეგლებს: იშხანს, პარხალს, ოთხთასს, ოშკს, რომლებითაც ასე ვამაყობთ დღესაც, მთის მდინარეთა ძლიერი ხმაურით, რომელიც დღესაც იცავს მათ ავი თვალისაგან, ეკლესიათა შემოგარენი სავსეა შინდისა და კაკლის ულამაზესი ხეებით.

სხვადასხვა ეპოქალურ მოვლენათა ქარიშხალში ბევრ ჭირ-ვარამს გაუძლო ტაომ და მაინც გადარჩა. ის დღესაც მყარად დგას თავისი ძეგლებით, ამყობს ხალხით, რომელმაც თავისი მიწისა და ენისადმი დიდი სიყვარულით მოახერხა ქართული ენის შენარჩუნება.

1995 წელს ბათუმის უნივერსიტეტის მცირე ჯგუფი ექსპედიციით პირველად ვესტუმრეთ ტაოს. საკუთარი თვალით ვიხილე და სამუდამოდ მოვიხიბლე ამ კუთხის სილამაზით, შეუძლებელია ეს ყველაფერი ნახო და დარჩე გულგრილი. მოგწონს და გიყვარს ყველა და ყველაფერი იქ.

მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ძველი ქართული წარმომავლობის ადამიანები წარმოადგენს, რომელთა ცხოვრების წესი, მეტყველების სტილი, ლექსიკური ერთეულები, წეს-ჩვეულებები სრულიად განსხვავებულია ტიპური თურქულისაგან. ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს თურქული ენობრივი ცვლილებებისას ტაოურში, რომლებიც თავს იჩენს ადგილობრივი თანამედროვე მოსახლეობის საკომუნიკაციო ქართულში.

შ. ფუტყარაძის „ჩვენებურების ქართულში“ ტაოური ტექსტე-

ბის კითხვისას ხშირად ვაწყდებით თურქული ენის ელემენტებს, რომლებსაც ხშირად გამოიყენებენ ქართული ენის მატარებლები. სალიტერატურო თურქული ენის ფორმები ზოგჯერ ფორმაუცვლელად გადმოდის, ზოგჯერ კი ფონეტიკური ცვლილებებით შედის ენაში.

თარჰანა შურვა მაიხოში საჭმელია.

თარჰანა შორვა – **tarhana corba** – წვნიანი

მაიხოში – **mayhos** – სასიამოვნო

ქიზართმასაც გავაკეთებთ, ყართოფასაც მოხრაკავენ იალში.

ქიზართმა – **kizartma** – შეწვა

იალში – **yag** – ერბო, კარაქი

იალში – **yag** -ში სიტყვა **yag** არის უცვლელი, ხოლო -ში თანდებული ქართულია.

რენგის სახლები გითხრა? წუანე, შავი, ყირმიზი, ფემბე ყავე-რენგი, მორი.

რენგი – **renk** – ფერი, ბოლოკიდური **k** – ხმოვნის დართვის შედეგად გამყდრებულია.

შავი – **mavi** – ცისფერი უცვლელად არის გადმოსული.

ყირმიზი – **kirmizi** – წითელი

თავკიდური **k** ქართულში – ყ-დ გადმოდის.

ფემბე – **pembe** – ვარდისფერი, ესეც უცვლელადაა გადმოსული.

ყავერენგი – **kahverengi** – ყავისფერი. თავკიდური **k**- ყ, ხოლო **h**- ამოვარდნილია

მორი – **mori** – ლურჯი, ესეც უცვლელადაა გადმოსული.

ყარფუზები მოჰქონდა ქუეიდან.

შეველი შიან, ეველი მიერე ყათშიჲ

ყარფუზები – **karpuz** – საზამთრო, თავკიდური **k** – ყ. მრავლობითი რიცხვის -ებ ბოლოსართი ქართულია.

ყათში – **kat** – სართული

**k** – ყ, -ში ქართული თანდებულია.

თურქული ბრუნვის ნიშანი **da**- ში, ზე ფორმით გადმოდის. აქ -ზე-ს ნაცვლად -ში თანდებულია გამოყენებული.

მერდევანი ისევ ჟოლზე ავაყუდებზე.

მერდევანი – merdiven – კიბე

I – ე

E – ა

ტაოურ მეტყველებაში არსებული თურქული ენის ელემენტები აჭარულსა და ლაზურშიც გვხვდება როგორც უცვლელი, ისე სახეც-ვლილი ფორმითაც.

დიანა კაკაშვილი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### მ-ს ფუნქციონირებისათვის ქიზიყურში

მ დიდი პროდუქტიულობით ხასიათდება ქართული ენის ყველა დიალექტში, განსაკუთრებით კი კახურსა და ქიზიყურში. მ-ს ფუნქციონირების ასპექტებზე ყურადღება გამახვილებულია ა. მარტიროსოვისა და დ. იმნაიშვილის მონოგრაფიაში „კახური დიალექტი“, ასევე ბ. ჯორბენაძის „ქართულ დიალექტოლოგიაში“. ლექსიკურ მასალაზე დაკვირვებისას კი ქიზიყურში გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო შემთხვევა, რომლებიც გასათვალისწინებელია მოცემული საკითხის სრულად წარმოდგენისათვის.

როგორც ცნობილია, ყველაზე ხშირად მ წარმოგვიდგება ს-ს ან ჰ-ს პოზიციურ ნიადაგზე გარდაქმნის შედეგად როგორც სახელებში, ასევე ზმნებში: **ლაფტი ← ლასტი; ლაბუფტაკი ← ლაბუსტაკი (კახურში – ლაბურტაკი) „ლაწირაკი“; ხრაფტი ← ხრასტი (კახურში – ხრანტი) „ამონახველი“; დკიღია ← ჰკიღია.**

საყურადღებოა, რომ ქიზიყური გააქირი როგორც სალიტერატურო ენაში, ასევე კახურში წარმოდგენილია, როგორც გაქირი, ვ. ბარნოვის მოთხრობაში „თებერას დანიშნული“ ( 1911წ.) დასტურდება გაჰქირი. ჩანს, რომ ჰ-ს მ-თი ჩანაცვლების პროცესი არც ისე ძველია.

მ ჩნდება აგრეთვე ხმოვანთა იოტივებული შემართვისა და დამართვის პოზიციაშიც და ხმოვანთგამყარად.

მასალის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ, გარდა ზემოთ მოყვანილი შემთხვევებისა, სპორადულად და შეიძლება შეგვხვდეს რ და ნ სონანტების ნაცვლადაც.

**რ** → და გარდაქმნის მაგალითებია:

**დოდაყაზი ← დორყაზი „მსხვილი კუნძი“; ყოლოძიზა ← ყოლოძიზა „საქმის მიხედვა, პატრონობა“.**

რ-ს მონაცვლედ და ს ხმარება მხოლოდ ზანურისთვისაა დამახასიათებელი, სადაც და დამოუკიდებელი ფონემაა.

საინტერესოა ნ→და მაგალითები: **ფრადტი/ ბრადტი „ძველი, დაფლეთილი სამოსი“ „ძონძის ფარატინი“ (საბა); სრუდტვა ← სრუნტვა „კრუნჩხვა“.**

ნ უნდა იგულისხმებოდეს აგრეთვე სიტყვაში **ამობრადტვა „ამოწვეტა“ — კახურში ამობრატნვა.**

ამგვარად, და ქიზიყურში შეიძლება განვიხილოთ როგორც ჰ-ს და ს-ს, ისე ცალკეულ შემთხვევებში, რ-სა და ნ-ს გარდაქმნის შედეგი.

მ ა ი ა კ ი კ ვ ა ძ ძ ე (ბათუმის უნივერსიტეტი)

## **ღმერთი კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში**

ისტორიული სამხრეთ საქართველოს პრობლემების კვლევას ინტენსიურად განაგრძობენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართველოლოგიის ცენტრის“ თანამშრომლები, რომლებმაც წლების განმავლობაში სავსე ექსპედიციებით შეაგროვეს ძვირფასი დიალექტოლოგიური, ფოლკლორული, ეთნოლოგიური მასალები.

„ჩვენებურთა“ ლექსიკა თურქიზმების მოჭარბებით ხასიათდება... მიუხედავად ამისა, სამხრულ დიალექტებს დაუცავს მრავალი ლექსიკური ერთეული, რომელიც საყურადღებოა ქართული ლექსიკოლოგიისა და, ზოგადად, ქართული ენის ისტორიისათვის. ამჯერად ჩვენ კლარჯეთის სოფლებში ექსპედიციების მიერ ჩაწერილ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში კონცეპტ „ღმერთს“ მივაქციეთ ყურადღება (ჩამწერები: თ.შოთაშვილი, გ.მანარაშვილი, რ.ხალვაში, ვ.ჩოხარაძე).

ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვება ნათლად წარმოაჩინს თავად დიალექტთა შორის მსგავსება-განსხვავებას და მათ მიმართებას საერთო-ქართულთან.

წოდებითში დასმული სახელი **ღმერთი** ხშირად მიმართვის ფორმაა, ზოგჯერ კი წინადადებაში ქვემდებარე, დამატება და განსაზღვრებაა.

კლარჯები მეტყველებაში ხშირად იყენებენ **„ღმერთს“**. ზოგჯერ **ღმერთის** ნაცვლად მოხსენიებულია **გამჩენელი, მფარველი, დამწესებელი, დამხმარე**. ამის მაგალითები მრავლადაა ანდაზებში, სააკვინე ლექს-სიმღერებში, შელოცვებში.

#### **1. ღმერთი გამჩენელი:**

დედა ნანინათი აძინებს თავის პირმშოს, როგორც კლარჯეთში იტყვიან, ღარჭს და **ღმერთს-გამჩენელს** სთხოვს შვილის ბედნიერ სიცოცხლეს. „გეიზარდოსნა ჩემი ღარჭი, **ღმერთმა** მიცოცხლოს, **გამჩენელმა“** (როგორც ჩამწერი აღნიშნავს, ამ სიმღერით აძინებდნენ ქალები შვილებს და დამწვიდებულები იმით, რომ ღმერთი დაიცავდა ბავშვებს, განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს. ლექს-სიმღერაზე ასეთი მინაწერია: „დავაძინავთ და ჩვენი საქმე ვიქამთ“).

#### **2. ღმერთი დამწესებელი, დამკანონებელი:**

„შენი თავი მიყვარდა, მოკლომასავენ,

**ღმერთის დაწესებული** ნაკითხისავენ“.

#### **3. ღმერთი შემწე, დამხმარე, მშველელი:**

„**ღმერთი შეგაწევა**, თუ ყველაფერს არ ლაპარაკობ, რასაც ფიქრობ“; „დიდი ვისაქმე და პაწაი გჭამე“. **„ღმერთი ყოლიფერში დემხმარა“**. **„ღმერთის იმედი** იქონიე, შენც ხელი გაანძრიეო“; მე ვარ კითხავი, **ღმერთია მშველებელი;**

#### **4. ღმერთი მფარველი:**

„**ღმერთი მფარველობს** იმას, ვინც საკუთარ თავს თვითონ ეხმარება“.

„შავ კატის ცინტალი,

დღე ამდენი გეყოფა ეს ლოცვა.

ხვალ ამაზე ბეთერი გახდი!

**მიერგება ღმერთიდან“**

**ღმერთის** განსაკუთრებული ძალა ჩანს **წყევლებსა და დალოცვებში:**

**ღმერთმა გააცვიტოს** (გაცვეთა/სიკვდილი); **ღმერთმა ერთი დღე არ დაგანახვოს** (სიკვდილი); **ღმერთმა ბაირამი არ მოგასწროს!** (სიკვდილი); **ღმერთმა გაგაფაქოს** (სიკვდილი). **ფაქ** ძირი ჩანს **გაფაქებაში**, რომელსაც სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს:

1. **ქალის გათხოვება** (იტყვიან გათხოვება დაგვიანებულ ქალზე):

„ძლივს არ გიეთხვა, **გაფაქდა**“ (ახალშ.).

იგივე მნიშვნელობა აქვს მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაშიც.

2. **წასვლა, მოშორება** (აჭარული, კლარჯული, შავშური):

„**გაფაქდა**, წევდა, აღარ მუა“...

**გაფაქებული**: გადამალული, დაკარგული: „ე ბაღეები ჰად არიან **გაფაქებული**, არ ვიცი“.

**ღმერთმა ფელჯი გაგხადოს** (დამბლადაცემული); **ღმერთმა კერა მიგიძრას** (ოჯახის განადგურება); **შენი ოჯახში ღმერთმა ლელვის ხე ამოგიყვანოს** (ოჯახის განადგურება)...

**ღმერთმა ბევრი დღე მოგცეს** (სიცოცხლე); **ღმერთმა შენი ხელ-ფეხი მოგცეს** და ვინმეს [იმედზე] არ დაგტიოს (ჯანის მოცემა); **ღმერთის** დუა შენს თავზე (ლოცვა)

კლარჯები ყურადღების მიღმა არ ტოვებენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ღმერთს მოჩვენებითად ემსახურებიან. ორსახოვანი ადამიანის ნდობა არ შეიძლება. ეს აზრია გატარებული ანდაზაში: ვინც **ღმერთს** ფულისათვის ემსახურება, ის ეშმაკსაც მიჰყიდის სულს, თუ მეტს გადაუხდინ.

მარიამ კობერიძე (გორის უნივერსიტეტი)

## ზოგი ნაცვალსახელის ხმარების საკითხისათვის ფრონეს ხეობის ქართულურში

ნაცვალსახელის ხმარების მიხედვით ქართულური არ არის ერთფეროვანი. გარკვეული სხვაობა შეინიშნება როგორც ქართლის ცალკეულ კუთხეებში, ისე ხეობათა შორისაც.

ცნობილია, რომ პირველი პირის ნაცვალსახელი **მე** ქსნისა და არავის ხეობაში გვხვდება **მენ // მენ(ა)** სახით (გრ. იმნაიშვილი, ვ. სომხიშვილი). ამ ნაცვალსახელში შემორჩენილია ფუძის სადეტერმინაციო ნ(ა) ელემენტი, რომელიც ისტორიულად ივარაუდება, შდრ.: **შენ// შენა**, **ჩვენ//ჩვენა** (არნ. ჩიქობავა, ს. ჟღენტი, თ. გამყრელიძე, არ. მარტიროსოვი). **მენ//მენა** ნაცვალსახელის ხმარება ძირითადად მთის კილოებისათვის (მთიულური, ფშაური) არის დამახასიათებელი (არნ. ჩიქობავა, გ. ცოცანიძე).

პირის ნაცვალსახელები ფრონეს ხეობის ქართულურში გვხვდებოდა იშვიათად ასეთ კონტექსტში: „ეს კუთხე **შენაო**, ეს — **თქვენაო**, ეს — **ჩვენაო**, ეს — **მენაო**, **მე** კი დავრჩი ხახამშრალი“. მოსახლეობის მიგრაციის შედეგად შეინიშნება **მენ // მენა** ნაცვალსახელის ხმარების სხვა შემთხვევებიც, მაგ.: „**მენ** დაბლა-დაბლა დავუყევი ორ-ლობეს“; „**მენა** წამოვედი გვერდა-გვერდა მალულათ და ძლივს მოვალწიე“.

**ის**, **ეს** ჩვენებითი ნაცვალსახელები ზოგჯერ გვევლინებიან მოკვეცილი ფორმით, მაგ.: „**ეე** ამბავი მერე არავის გახსენებია“; „**იი** სეტყვა წამოვიდა და დაიტანა ყველაფერი“.

ფრონეს ხეობის ქართულურში ზოგ ნაცვალსახელთან ებიანი მრავლობითი ცდილობს დამკვიდრებას, მაგ.: „**ისეები** ჩამოვიდნენ და წაიღეს“; „**ეგეები**, რომ ქვეყანას ღუბავენ“; „**ჩვენები** ჩამოვლენ და ჩამოგიტან“; „**ჩემები** მოვლენ და წამიყვანენ“. ასეთ შემთხვევაში ნაცვალსახელი კარგავს მსაზღვრელის ფუნქციას და იძენს არსებითი სახელის მნიშვნელობას.

**ეს**, **ეგ**, **ის** მესამე პირის ნაცვალსახელები დაირთავენ მოთხრობითი ბრუნვის ნიშანს, მაგ.: „**ამათმა** ჩამოიტანეს“; „**იმათმა** უშველეს



და გამოიყვანეს“; **„მაგათმა** შეინახეს და გამოკვებეს“....

ჩვენებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით გვხვდება **ემანდე// ემანდერა** ფორმები, მაგ.: **„ემანდე** მხალი ჩამოიტანე, წავინემსო“ — ის მხალი; **„ემანდერა** საზღვარი არ იყოს, მეტი არაფერი მინდა“ — ის საზღვარი; **„ემანდე** ბავშვებს არ ვჩივი“ — ამ ბავშვებს.

ქსნისა და ლიახვის ხეობაში დასტურდება ენდე//ანდე, ემდე/ემანდერა ფორმები (ვ. სომხიშვილი), ატენის ხეობაში — ემდე//იმდე (გრ. იმნაიშვილი).

ჩვენებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით გვხვდება **ისემე, ესემე**, რომელსაც მთქმელი მიმართავს დავიწყებულის მოსაგონებლად: **„ისემე** მინდოდა, **ისემე“**; **„ესემე... ესემე** წაიღეს და გავახსენდი?“.

ზოგჯერ ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით (უფრო ხშირად ზმნიზედის მნიშვნელობით) დასტურდება **აგერა// აგრალე** ფორმები: **„აგერა** (აი ის) სახლია და შევიდეთ“; **„აგრალე** (აი ეს ) წყარო და მივიდეთ“.

**ეს, ის, ეგ** ჩვენებითი ნაცვალსახელები გვხვდება **აეს** (აი ეს), **აის** (აი ის), **აიმ** (აი იმ), **აიმით** (აი იმით), **აეგ** (აი ეგ), **ამაგის** (აი მაგის) ფორმით, მაგ.: **„აის** რო აღუდღუნდება, რაღა გააჩერებს“; **„ამაგის** პატრონს რა ელხინება“; **„აიმისი** ვიყო, რასაც ვიზამდი“; **„აიმით** ამოიტანე და გვეყოფა“. ა მისათითებელი ნაწილაკი პროკლიტიკად მიერთვის **ეს, ის, ეგ** ნაცვალსახელებს და მიანიშნებს იმაზე, რაც მოსაუბრე პირთან არის ახლოს, ან ხდება.

ლ ე ვ ა ნ კ ო ჯ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი (თბილისი)

## **დიაქრონიულად განხორციელებული ერთი ფონეტიკური გარდაქმნისათვის ქართულ ტოპონიმიაში**

მოხსენებაში განხილულია **ღ>რ** დიაქრონიული გადაბგერების ერთი შემთხვევა ქართული ტოპონიმის მაგალითზე. შიდა ქართლის სოფელი მეჯვრისხევი, რომელიც მდებარეობს გორის რაიონში,

მდინარე მეჭუდის ხეობის შემადგენელი ნაწილია.

ქართლში, და საერთოდ, საქართველოში, არაერთი შემთხვევა გვაქვს იმისა, რომ სოფელსა და მდინარეს ერთი სახელი ერქვას, მაგალითად, **ფცა** (სოფელი და მდინარე ქართლში), **ქსანი** (სოფელი და მდინარე ქართლში), **ნარეკვავი** (მდინარე და სოფელი ქართლში), **მაშავერა** (მდინარე და სოფელი ქართლში), **ალგეთი** (მდინარე და სოფელი ქართლში), **ვერე** (უბანი და მდინარე თბილისში), **კი-სისხნევი** (სოფელი და მდინარე კახეთში), **ჩაილური** (სოფელი და მდინარე კახეთში), **აბული** (მდინარე და სოფელი ჭავჭავაძეთში), **კობარეთი** (მდინარე და სოფელი ჭავჭავაძეთში), **ოკამი** (მდინარე და სოფელი ჭავჭავაძეთში), **ძირულა** (სოფელი და მდინარე იმერეთში), **სულორი** (სოფელი და მდინარე იმერეთში), **აბაშა** (ქალაქი და მდინარე სამეგრელოში), **ენგური** (მეგრ. ინგირი - მდინარე და სოფელი სამეგრელოში), **ოქუმი** (სოფელი და მდინარე აფხაზეთში), **კელასური** (სოფელი და მდინარე აფხაზეთში), **ბზიფი** (სოფელი და მდინარე აფხაზეთში), **მოქვი** (სოფელი და მდინარე აფხაზეთში), **სუფსა** (სოფელი და მდინარე გურიაში), **აჭყვა** (სოფელი და მდინარე აჭარაში) და სხვ.

არის შემთხვევები, როდესაც მდინარის სახელწოდება უკავშირდება იმ სოფლის სახელს, სადაც იგი სათავეს იღებს. მაგალითად, ხეკორძულა, ლეხურა (აღრეხულა), სურამულა, რიკოთულა, გუჯარულა, ბორჯომულა, კაცხურა, ჯურჯულა (აჯრუჭულა), ხელედულა, საკურა, ღარულა...

მეჭუდა ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელია, რომელიც ფუძეკვეცად სახელთა კლასს განეკუთვნება. ტატურუმას ტიპის ქართულ ტოპონიმებში განსაზღვრებითი ნაწილი ნათესაობით ბრუნვაში დგას და გამოცემს ამოსავალი სახელწოდების კუთვნილებას. მაგალითად, ბოდბისხევი (სიღნაღი), მალაროსკარი (დუშეთი), აჭყვისთავი (ქობულეთი), ბეჭათუმანი (აბეჭათუმანი) (ხარაგაული), თხილთაწყარო (თერჯოლა), დოლისყანა (ართვინი, თურქეთი), ციხისძირი (ქობულეთი, მცხეთა), ციხისჯვარი (ბორჯომი), აბასთუმანი (აბასთუმანი) (ადიგენი)... ასეთივე აგებულებისაა ზოგიერთი ჰიდრონიმული ერთეული, მაგალითად, ავანისხევი, შოროხევი, პატარძელისხევი, ჭერათხევი... ცხენისწყალი, გუბისწყალი, ყოროლისწყალი, ხობისწყალი...

სოფლის სახელწოდება (მეჭვრისხევი), ვფიქრობთ, მომდინარეობს ფორმიდან **მ ე ჯ უ დ ი ს ხ ე ვ ი**. ვარაუდი **დ>რ** ფონეტიკური ისტორიული გარდაქმნისა გამიჩინა მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენათა ტიპოლოგიურმა ანალოგიამ, სადაც მსგავსი პროცესი მაღალი სიხშირით ხდება თაბასარანულ ენაში: | კლასის პრეფიქსი **დ-** დიალექტებსა თუ თქმებში **რ-**სა და **დ-**ს სახით გვხვდება. ასეთივე პროცესი ვლინდება სხვა დაღესტნურ ენებში (რუთულურში, ლაკურში, დარგულურში...). ფუძე მეჭუდა დამოუკიდებელი ბრუნებისას ხმოვან-ფუძიანობას ინარჩუნებს, ხოლო რთული ფუძის შედგენილობაში როდესაც გვხვდება, კუმშვად-კვეცადი ხდება და **უ** უმარცვლო **ჟ-**დ გარდაიქმნება (უ>ჟ) ისევე, როგორც ეს ახასიათებს **ო-**ს კუმშვას როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში:

ნიგოზი — ნიგუზ-ის-(ა) || ნიგვზ-ის-(ა)

მინდორი — მინდურ-ის-(ა) || მინდვრ-ის-(ა).

**მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა** (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

## **იმერიზმები დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში**

თავისებური და ნაირგვარია დ. კლდიაშვილის მხატვრული პროზა — რეალისტური ისტორიზმის პრინციპებით წარმოჩენილი, ტრაგიკულ-კომიკური სიტუაციებით აღბეჭდილი, გადატაკებული აზნაურის ტკივილით სულჩადგმული, იმერიზმებით გაჯერებული.

იმერული დიალექტისთვის დამახასიათებელი ფორმებით დასტურდება: **არსებითი სახელები** („ისე დაგლახაკებული კი არა ვარ, ზოგიერთი **აზნაუშვილი** რომ გინახავს“; „**ბოვშვიც** ტირის და იხვეწება, სასწავლებლიდან არ გამომიყვანოთ“...), **ზედსართავი სახელები** („კი ბატონო, ოღონდ კი ინებებდეთ და სახელიც თქვენია და ყველაფერი **აქოური**“; „**იქოური** ამბავია“...), **მიმღეობები** („ასე მასხრობაში უნდა გაატარო, შე **დოუწყნარებლო**, შენი წუთისოფელი?“; „**დადალულია**, შვილო, **დადალული!** იძინოს, იძინოს ვენაცვალე!“...), **ნაცვალსახელები** („არც იფიქროთ, რომ **ჩემგნით** თქვენ,

რამე დანაკლისი კი არა, უბრალო წყენაც შეგხვდეთ“; „ცოტა **რაცნა-რაცნაზედ** ყურს მაინც გივლებს...“), **ზმნები** („დედელუბა მაგას ოჯახი“; „მე თვითონ აგერაა **გადვირევი**... რა ამბავია ეს ჩვენს თავზე“; „**მეიცადეთ, მეიცადეთ!** გაჩერდით...“; „პლატონ, სიტყვას გაძღვე... როგორც **ვეილებ** სამაშვლოს, იმწამსვე შენთან გამოვწევ“; გული **გეიმაგრე**, გული...“; „...და თუ ამ ერთ კვირაში ვერ მოუხრიდებიან, სხვა ქალს **ნათხოვა** თურმე...“), **ზმნისართები** („**აქანაი**, შვილო, ჭურები გვაქვს“; „**საცნა** ჩეიჩეხება ახლა ის უბედური“; „**რავა** უდანოდ გამოიჭრა ყელი მამაჩემმა“; „ცოტა კიდევ მომითმინე და **თელათ** დაგიბრუნებ იმ შენს ფულს“...), **კავშირები** („ადე, ადე, ყმაწვილო... წავიდეთ, **თვარა** გაშუადღევდა, ეს არის“; „ლამაზი ადგილები კია, ჩემო ბატონო, **მარა** მისგან გულდაწყვეტილები გახლავართ“...).

საინტერესოა, რომ არცთუ იშვიათად ამა თუ იმ ეპიზოდში გვხვდება ერთი და იმავე სიტყვის როგორც მართებული, ისე დიალექტური ვარიანტები („რაც შენ ჩემი სიყვარული გქონდა, ასე უცებ **რავა** დამეკარგება, **როგორ** დევიჯერო?!“), რაც, ერთი შეხედვით, მოცემული ლექსიკური ერთეულის გამეორების თავიდან ასაცილებლად უნდა იყოს მოხმობილი, თუმცა სხვა შემთხვევაში მწერალი არ ერიდება სიტყვათა გამეორებას („ასე უმნიშვნელოდ **რავა** იქნება, **რავა** ხდება ეს ამბავი?!“).

დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში **იმერიზმები** ერთგვარ სტილისტიკურ მახასიათებლებად გვევლინება.

**ნ ა ნ ა   ლ ო ლ ა ძ ე** (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

## **სივრცული ლოკალიზაციის ზმნები ქართული ენის დიალექტებში** (სემანტიკური ანალიზი)

სივრცული ლოკალიზაციის ზმნები ქართულში უძველესი ფორმაციის ზმნებია, რომელთაც, ერთი მხრივ, შეინარჩუნეს გარკვეული არქაულობა — მონაცვლეობა რიცხვის, გვარის, დრო-კილოთა

მიხედვით; მეორე მხრივ, განიცადეს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საგულისხმოა როგორც ამ ზმნათა შესწავლის, ისე ენის ტენდენციების თვალსაზრისით.

ამ ზმნების მნიშვნელოვანი ფუნქციური მახასიათებელია არსებობა-მყოფობისა და კუთვნილების სემანტიკით გამოყენება. არსებობის, კუთვნილებისა და სივრცული ლოკალიზაციის სემანტიკური კატეგორიების კავშირი ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავებულ ენებში დასტურდება, რომ ზოგიერთი ავტორი მას ენობრივ უნივერსალიადაც კი მიიჩნევს (ჟ. ლაიონზი).

არსებობის სემანტიკის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია საგნის მდებარეობა-მყოფობის აღნიშვნა, მისი სივრცული ლოკალიზაცია. ამდენად, ბუნებრივია არსებობისა (არის) და სივრცული ლოკალიზაციის პრედიკატთა (დგას., წევს, ძევს/დევს და ზის) ურთიერთთავსებადობა.

მდებარეობის ზმნების ერთ-ერთ მნიშვნელოვანად არსებობა-მყოფობა გამოყოფილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენება ეს ზმნები არსებობა-მყოფობისა და კუთვნილების სემანტიკით ძველ ქართულში.

არის, იმყოფება, მდებარეობს ამ ზმნათა ერთ-ერთი მნიშვნელობაა დიალექტებშიც. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს **დგას** ზმნა ინგილოურში, სადაც, როგორც ჩანს, ამ ზმნის გამოყენების არეალი კიდევ უფრო გაფართოვდა, და საკუთრივ მდებარეობის გარდა, ზოგადად არსებობა-მყოფობის აღსანიშნავადაც გამოიყენება, რაც სხვა დიალექტებისათვის უცხოა. მაგ.:

ორ ქალისა — ერთი მოკდო, ერთი **დგას**. მე გაზარდელა ჩემ დედა დამხმარებიან, სსოგნი აიმანაც არ, იგრე. (ინგილოური / ალიაბადურის)<sup>1</sup>

მაზლის ცოლებ არ. მაზლის ცოლებ, ი მინადორა **დგას** ერჟე, ისენ დაჯოცნენ დაა. (ინგილოური / კაკური)

ბუნებრივია, მდებარეობის ზმნები დიდ სიახლოვეს გვიჩვენებს არსებობა-კუთვნილების ზმნებთან სხვა ქართველურ ენებშიც. ამ კონ-

---

<sup>1</sup> მასალა დამოწმებულია ქართული ენის დიალექტების ელექტრონული კორპუსიდან.

სტრუქციებს შორის ქართულის მსგავსი მიმართებაა, თუმცა საგულისხმო განსხვავებებიც დასტურდება.

**რომან ლოლუა** (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **მოსაზრება კავკასიის ალბანელთა ენობრივი და დიალექტური შედგენილობის შესახებ**

ალბანოლოგიაში დღემდე აქტუალურია ანტიკური ხანისა და ადრეული შუასაუკუნეების კავკასიის ალბანეთის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხი. კავკასიის ალბანურის ეპიგრაფიკული და ხელნაწერი ძეგლების აღმოჩენის მიუხედავად, სამეცნიერო მიმოქცევიდან არ გამქრალა სხვადასხვა ჰიპოთეზა, რომელიც უარყოფს ალბანურ-უდიურ ნათესაობას და კავკასიის ალბანელთა ალთაურ ან ირანულ წარმომავლობას უჭერს მხარს, ანდა მათ კავკასიონს გადაღმა მცხოვრებ ამა თუ იმ ნახურ თუ დაღესტნურ ეთნიკურ ჯგუფს უკავშირებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აგრეთვე გავრცელებულია მოსაზრება კავკასიის ალბანეთის მოსახლეობის პოლიეთნიკურობის შესახებ, რომელიც დიდწილად სტრაბონის ცნობას ეყრდნობა ალბანელთა შორის გავრცელებული 26 „ენის“ (γλῶτται) შესახებ; ასე, მაგალითად, აზერბაიჯანელი მკვლევრის გ. ჰეიბულაევის კონცეფციით, კავკასიის ალბანეთის მოსახლეობა ალთაური (თურქული), „კავკასიური“ (resp. იბერიულ-კავკასიური) და ირანული ტომებისაგან შედგებოდა და მათგან ალთაური ტომები ჭარბობდნენ. როგორც მკვლევარი მიიჩნევს, თურქულენოვანი ტომები სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ჯერ კიდევ კავკასიის ალბანეთისა და ატროპატენას უძველეს სახელმწიფოთა წარმოქმნამდე დასახლდნენ. კავკასიის ალბანეთში ალთაურ ტომთა შორის მკვლევარი ასახელებს საკ. ალბანებს, გარგარებს, წავდეებს, საკებს, არანებს, პაჭანიკებს, ჰუნებს, სავარებს, დონდარებს, სურანებს (შარვანებს), იყმაქებს (შემაქებს) და სხვ., ირანულ ტომთა შორის — გელებს, მასქუთებს, პარნებს, მიჰრა-

ნებს და სხვ., ხოლო იბერიულ-კავკასიურ ტომთა შორის — უტიებს, ლბინებს, ჰერებს, ლეგებს და სხვ. აღსანიშნავია, რომ საეჭვოა არა მხოლოდ კავკასიის ალბანეთის მოსახლე ტომების ამდაგვარი დაყოფა (მკვლევრის დასკვნები ეფუძნება მხოლოდ ტომობრივ სახელთა ეტიმოლოგიურ ანალიზს), არამედ ზოგიერთი ტომის ლოკალიზაცია კავკასიის ალბანეთის ტერიტორიაზე.

ჩვენი აზრით, კავკასიის ალბანეთის მოსახლეობა ეთნიკურად ერთგვაროვანი უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ სტრაბონის მიერ გამოყენებული ტერმინი (γλῶτται) ნებისმიერი სახის იდიომს აღნიშნავს (ენას, დიალექტს, კილოკავს). ამასთანავე, სტრაბონი აღნიშნავს, რომ იმის გამო, რომ კავკასიის ალბანეთში გავრცელებულია 26 „γλῶτται“, გაძნელებულია ალბანელთა ურთიერთობა ერთმანეთთან. ეს ცნობა, ჩვენი აზრით, იმის მანიშნებელია, რომ საქმე მაინც დიალექტებთან უნდა გვქონოდა და არა ენებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ალბანელთა ურთიერთგაგება შეუძლებელი იქნებოდა. თავის მხრივ, საფიქრებელია, რომ სტრაბონის მიერ დასახელებულ დიალექტთა რიცხვი (26) გადაჭარბებულია, ისევე როგორც, მაგალითად, ცნობა იმის შესახებ რომ დიოსკურიასთან თავს იყრის 70 „ენაზე“ მოლაპარაკე ხალხთა წარმომადგენლები, ანდა ის, რომ სოანებს (სვანებს) 200000 კაციანი ლაშქრის გამოყვანა შეეძლოთ.

ჩვენი აზრით, რეალობის ამსახველია მოსე კალანკატუელის ცნობები, რომელიც ალბანელთა ოთხ ტომზე მოგვითხრობს — გარგართა, უტიელთა, წავდეელთა და გარდმანელთა. რაც შეეხება კავკასიის ალბანური ენის საყრდენ დიალექტს, ვფიქრობთ, კავკასიის ალბანური ხელნაწერი ძეგლები (პალიმფსესტები სინას მთიდან) შესრულებულია გარგარულ დიალექტზე. ამ მოსაზრების დამადასტურებელი ისტორიული წყაროები და ლინგვისტური მონაცემები წარმოდგენილი იქნება მოხსენებაში.

## **სინტაქსური თავისებურებებისათვის ქართველ ებრაელებთან**

სინტაქსი სწორედ ის ნაწილია ენისა, სადაც ყველაზე დიდი განსხვავებაა წერილობით ფორმებსა და ზეპირმეტყველებას შორის.

ებრაელთა მეტყველებაზე დაკვირვებამ დაადასტურა, რომ ებრაელები ძირითადად იმ დიალექტისათვის დამახასიათებელ სინტაქსურ კონსტრუქციებს იყენებენ, რომელი დიალექტის წარმომადგენლებიც არიან. ანუ სინტაქსური წყობით ებრაელთა კონსტრუქციები სხვა ქართველთაგან თითქმის არ განირჩევა.

განსხვავება განსაკუთრებით საგრძნობია თხრობითი და კითხვითი წინადადებების წარმოთქმისას. ქართულში თხრობითი წინადადება ინტონაციურად დამავალია და სრულდება წერტილით. ებრაელებთან კი — ის უფრო ამავალი ინტონაციით ხასიათდება.

ასევე კითხვითი წინადადება, რომელიც სალიტერატურო ქართულში ამავალი ინტონაციით ხასიათდება, ებრაელებთან ინტონაციურად განსხვავებულია. მათთან, გარდა ინტონაციური ამალღებისა, გრძელდება პირველი ან მეორე მარცვლის ხმოვანიც.

აღსანიშნავია, რომ ყველა თაობის, ნებისმიერი სოციალური სტატუსის ებრაელი ძირითადად იყენებს მარტივ წინადადებებს. რთული წინადადებებიდან უმეტესად თანწყობა ან ქვეწყობაა. ზერ-თული კონსტრუქციები თითქმის არ გვხვდება.

რადგან ზეპირი მეტყველება უმეტესად დაუგეგმავი და სიტუაციურია, ხშირია უსრული წინადადებების, გამეორებების და ელიფსისის გამოყენების შემთხვევები.

ზოგჯერ წინადადება იწყება რომელიმე ნაწილაკით, რაც ბუნებრიობის დამახასიათებელი ნიშანია.

დასტურდება რიცხვში შეუთანხმებლობის შემთხვევები: მაგალითად, სალიტერატურო ნორმების მიხედვით, თუ მსაზღვრელად გამოყენებულია ყველა, ბევრი და ა. შ. განუსაზღვრელი ნაცვალსახელი თუ რიცხვითი სახელი, მასთან საზღვრული მხოლოდობით რიცხვია. ებრაელებთან, უმეტეს შემთხვევაში საზღვრული მრავლო-



ბითშია, მაგალითად: ებრაელობა მცხეთიდან ჩამოვიდნ საქართველოში, მცხეთიდან განაწილდნ საქართველოს ყველა ტერიტორიებზე.

რიცხვთან ერთად, შეიძლება ზოგჯერ მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებაც იყოს დარღვეული.

ქართულში ქვემდებარესა და დამატება-ობიექტებთან სინტაქსური ურთიერთობისათვის მნიშვნელოვანია ზმნის პირისა და რიცხვის კატეგორიები. შემასმენელი მხოლობითში დასმულ ქვემდებარესთან საზოგადოდ მხოლობითში დგას. ებრაელებთან გვხვდება დარღვევები და მხოლობითში დასმულ ქვემდებარესთან შემასმენელი მრავლობითშია. რაც შეეხება კრებით სახელებთან შემასმენლის მრავლობითის ფორმის გამოყენებას, ეს ბევრ დიალექტში დასტურდება.

ზოგჯერ დამატების მრავლობითობა იწვევს შემასმენლის მრავლობით ფორმაში ჩაყენებას იმ შემთხვევაში, როცა სალიტერატურო წესების მიხედვით მხოლობითია მოსალოდნელი, მაგ., მოკალითევე ბოვებში შიმშილით. შესაძლებელია პირდაპირი ობიექტის მრავლობით ფორმაში შეთანხმებისათვის ზმნაში -ვე ნაწილაკის გამოყენება ქართველ ებრაელთა ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშნად მივიჩნიოთ.

კავშირი **რომ** და ნაწილაკი **ხომ** ხშირად -მ მოკვეცილი სახით გვხვდება. ასევე **მაგრამ**, უფრო ხშირად **მარა** ფორმითაა დადასტურებული.

დალოცვის ფორმები ხშირად ჩართული სახითაა წინადადებებში როგორც ქალებთან, ასევე მამაკაცებთან, ხოლო წყევლის ფორმები უმეტესად რთული კონსტრუქციებითაა გადმოცემული.

ქეთევან მარგიანი (სოხუმის უნივერსიტეტი)

**დალის (კოდორის) ხეობის რამდენიმე სოფლის  
მიკროტოპონიმია  
(სტრუქტურა, სემანტიკა, ეტიმოლოგია)**

დალის ხეობა ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. ამ მხარეს ანტიკურ ეპოქაში **მევსიანეთი ანუ მისიშია-ნეთი** ეწოდებოდა, შუა საუკუნეებში — **დალის ხეობა**, XIX საუკუნეში — **წებელდა-დალის საბოქაულო**, საბჭოთა ეპოქაში — **აფხაზეთის სვანეთი**, XXI საუკუნეში — **ზემო აფხაზეთი**. სახელწოდებათა ასეთი მრავალფეროვნება, ვფიქრობთ, თავისთავად მიანიშნებს საქართველოს ისტორიაში ამ ხეობის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე. სვანეთის, სვანებისა და უშუალო გარემოცვის მეზობელთათვის კი კოდორის ხეობა ოდითგანვე იყო და არის დალი (სვანური წარმოთქმით **დღლ**) — ნადირობის ქალღმერთის საბრძანებელი და დალელთა ისტორიული სამკვიდრებელი.

უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით — **ქლუნორის, მარუნის, გონდორას, ნაჭარვის...** უღელტეხილებით დალის ხეობა არის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რაც ამ ხეობას ყოველ ისტორიულ ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სტრატეგიულ ფუნქციას აკისრებდა, სძენდა. სწორედ ამ ფაქტორების გამო კოდორის ხეობამ 1993-2008 წლებში მოიხრგო სტატუსი აფხაზეთის „ოქროს გასაღებისა“.

ზოგადად დალის ხეობის ტოპონიმების უპირველესი მახასიათებელი არის ენობრივი სიჭრელე, მრავალფეროვნება, სახელდების სრულიად განსხვავებული ასაკი და ქრონოლოგია, სხვადასხვა ენობრივი წარმომავლობა. სვანურია, ძირითადად, სოფლებისა და უღელტეხილების სახელწოდებანი, მთელი მიკროტოპონიმია, დრიმონიმები, ჰიდრონიმთა უმეტესობა, აგრეთვე წერილობითი (ბერძნული) წყაროებით ფიქსირებული გეოგრაფიული სახელები; აფხაზურია არაერთი სოფლის, მდინარის, მთისა და საზაფხულო საძოვრის/იალაღის სახელი; მხოლოდ ერთეულების სახითდა არის წარმოდგენილი მეგრული,

რუსული... გაურკვეველი ეტიმოლოგიის ტოპონიმები.

როგორც ამ ხეობის მკვიდრი, 1990-2008 წლებში საკუთარი სურვილით და სახსრებით ვახორციელებდით დალის ხეობის ტოპონიმური, ფოლკლორული, ეთნოლინგვისტური მასალის ჩაწერას, რამდენადაც პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე თითქმის ათეული წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა თსუ-ს ტოპონიმის ლაბორატორიის სამეცნიერო მივლინება კოდორის ხეობაში, ზოგადად, აფხაზეთში. 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შედეგად, სამწუხაროდ, დალის ხეობის დედასამშობლოსგან დროებით მოკვეთის შემდგომ ამ მასალის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, უდავოდ გაიზარდა.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია კოდორის ხეობის დასალიერის, კლუხორის უღელტეხილის მიმდებარე სოფლების — (ომარიშალა, გვანდრა, ხუტია) მიკროტოპონიმია.

**სტრუქტურა:** აღნაგობის თვალსაზრისით მიკროტოპონიმების დაჯგუფება და კლასიფიკაცია შესაძლებელია მაწარმოებელი აფიქსების მიხედვით. მორფემებად და ტოპოფორმანტებად წარმოდგენილია: **-ბრ/ბლ; ღა-ლე-; -ერ/ელ; -ილ; -გლდ; -ლწ დ; -ულ; -ლდ; -ოლ; ნა-უ; ნა-ბ-ბრ...**

**-ბრ/ბლ: ჰულდმ-ბრ** < ჰულდუმ „ურდული“ მდინარის ციცაბოკალაპოტიანი ზოლისა და მისი შემოგარენის სახელია ქლუხორის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე, სადაც კლდეები თითქოს ურდულივით კეტავენ მთის ბობოქარ, ჩანჩქერებად მომავალ მდინარეს... **ჩინხულდ-ბრ** < ჩინხტ-გლდ — ადგილის, ჭიუხის სახელია აჭაფარაში (კლდე, სადაც უხეფებად მოდის და მოწანწკარებს ჩანჩქერი და მყინვარების ნაღნობ-ნაყური წყალი, **ღაშდლტი-ბრ** „სამარხები“ < **ლი-შდლტი** „დამარხვა“, **კალბტ-ბრ, მურყემ ღ-ბრ** < მურყემ „კოშკი“, **ბიქულდ-ბრ** < ბიქტ „ქარი“, **ბანი-ბლ, ნლგიმლტი-ბრ** < ლი-გემ „შენება“, **ქტბ ბილ-ბრ** < ქტბ „გამოქვაბული“, **ნაყარტი-ბლ** < ყბრ „ყვარო“, **ნაქჩტი-ბრ** < ლი-ქჩე „ჭრა, მოჭრა“, **ასლან-ბ რ, ვაგონ-ბრ, ლასფლაგ-ბლ, შდის-ბრ, ნაკ-ბრ** < ნაკ „ვაკე“, **ზაგრ-ბლ** < ზაგარ „მალლობი, ზეგანი“, **გაკ-ბრ** < გაკ „ნიგოზი“, **ლექორ-ბლ** < ლე-ქტნერ „წისკვილი“, **ნმტყუთიფტი-ბ რ, სარგ-ბლ** < სარაგ „წყარო“, **ტობ-ბრ** < ტობ /ტომბ „ტბა“, **ლასთტი-ბრ, ლწციქტარ-ბლ, ლახნისგ-ბრ** <

ხგნსგა „ნახევარი“, **კოჯოლ-პრ** < კოჯ „კლდე“, **ტუბრალ-პრ** < ტვიბრა „დეღე, ნაკადული“, **ლეგროვ-პლ** < გორვე „ქვანლორი“, **ლანკელ-პლ** < ლი-ნკელე „მომწყვდევა“, **ლბგიწალ-პრ** < ლი-გიწალ „ქანაობა“, **ნაკლდ-პრ** < ნაკ „ვაკე“, **წგდგლდ-პრ**, **ტუბრ-პლ**, **მოდ-პრ**, **ნაკრავ-პლ** < კარავ „კარავი“, **ლანერხალ-პრ**, **ტობოლ-პრ**, **კიბგლდ-პრ**, **ბბდრახ-პლ**, **ლეთლეფი-პრ**, **დაბ-პრ**, **ლაჯრები-პლ**, **ლაჩხტ-პრ**, **ლაწრეჭტი-პლ** < წერეჭტი „თომი“, **სგიმ-პრ**/**სგემ-პრ** < სგიმ „ვეცა/მყავე წყალი“, **ლიცგლდ-პრ** < ლიც „წყალი“, **ჩაჭტი-პრ**, **ყაფ-პრ**... ამ ჯგუფის ტობონიმებს, ბუნებრივია, არ აქვთ მრავლობითის შინაარსი, არამედ ადგილის მოცულობაზე, მის სიდიდეზე, სივრცით განფენილობაზე მიუთითებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ სვანურში მრავლობითი რიცხვის სხვადასხვა მაწარმოებელთაგან ტობოფორმანტებად მხოლოდ -პრ//პლ სუფიქსი გვევლინება.

**ლა~ლევ-**: **ლა-ყხერ**, **ლა-რჩკა**, **ლა-შდღუიპრ**, **ლბ-შუმინა**, **ლა-განჭტი**, **ლა-ციქტარპლ**, **ლა-მანჩუ**, **ლა-ნესგირ**, **ლბ-ჩხტპრ**, **ლა-ჯმუნ პლ**, **ლა-ხერხა**, **ლა-ჯრებ**, **ლა-დრელ** ...

კინობითის სუფიქსებით ნაწარმოები ტობონიმებია: **ზუგ-ლპლ**, **ზაგრ-გლდ**, **ნწლზიგტი-ულ**, **ბიქუ-ლდ-პრ**, **კიბ-გ ლდ-პრ**, **მურყმ-ილ-პრ**... ამ ჯგუფის ტობონიმები მცირე გეოგრაფიული არეალის გამომხატველნი არიან. რამდენიმე ფორმანტით მარკირებული გეოგრაფიული სახელებია: **ნწ-ლ-გიმ-ალ-ტი-პრ** < **ლი-ლ-გიმ-პლ** „შენება“, **ნა-ყარ-ტი-პლ** < **ყპრ** „ყავარი“, **ნა-დაუშ-უ-პრ** < ლიბდწუშენე „დაღუპვა“ ...

**სემანტიკა**: შინაარსობრივი თვალსაზრისით სოფლების (ომარიშალა, გვანდრა, ხუტია) მიკროტობონიმიში გვხვდება თეონიმები, რელიგიური ლექსიკა, ჰიდრონიმები, ბოტანონიმები, ნადირობასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელები, სოციალური ხასიათის ტობონიმები, ლანდშაფტის, ბუნებრივი გარემოს ამსახველი ლექსემები:

**ნალჭტამ** „ნაეკლესიარი“ < **ლაჭტმი** „ეკლესია“ (შდრ. სვან. მაჭტამ „მადლობა“, ე.ი. **ლაჭტმი**/**ლაჭტამ** სიტყვასიტყვით ნიშნავს „სამადლო, სამადლიერო“), **ჯგვრპგ შიყრიშ** „შიყერის წმინდა გიორგი“, **დალია კოჯარ** „დალის კლდეები“, **ჟალღეშრე ლჭტციბრ** „ხალდეველთა საჯიხვე“, **ლეთლწფიპრ** < ტელწფი „მთის ლოლო“, **ლაგანჭტი ლპრ** „ნწლის/სანწლე ხევი“, **ლენზი სგიმ** „ფიჭვის მყავე წყალი“;

**ლშშკდშში ნაგჷმ** „სამჭედლოს დანადგამი“, **ზანრე ნაკრავ** „მეგრელების კარვის დანადგამი“, **მურყმილარ** — კლდის სახელია აჭაფარაში, (**< მურყვამ** „კოშკი“), **ბაჩ ბოგ** „ქვის ხიდი“, **მაკლათხე ზაგარ** „უმალღესი ზეგანი, მწვერვალი“, **მეშხე ტუიბრა** „შავი ღელე“, **იალ-ცუნესგა < ძბრჷ-ლიც-ნესგა** „ორ-წყალ-შუა“, **ემზნ ლბკტცბრ** „ემზნას საჯიხვე“, **ფაჩა დარ** „ცაცხვის ხევი“, **ბეროლრე ნალზიგტ** „ბერების ნამოსახლარი“, **შდატლარე ლარდა** „მერცხლების სამყოფი/სამერცხლე“...

კოდორის ხეობის გეოგრაფიულ სახელთა და ზოგადად, სვანური ტოპონიმის კვლევა იძლევა უპარესად საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას — იქნება ეს ეტიმოლოგიური, სტრუქტურული თუ ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტები.

## ქეთევან მარგიანი-სუბარი

(ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### ევიდენციალობის კატეგორიის ავთენტურობისათვის ქართველურ ენებში

ევიდენციალობა არის კატეგორია, რომელიც გულისხმობს ტექსტით გადმოცემული ინფორმაციის წყაროზე მითითებას. ინფორმაციის წყარო მთქმელისთვის შეიძლება იყოს ა) სხვა პირისგან მიღებული ინფორმაცია (ვერბალობა, ციტაცია) ან ბ) წინასწარი ჰვრეტა, საკუთარი გამოცდილება თუ ვარაუდი (ინფერენცია).

ევიდენციალობის კატეგორია განსაკუთრებული ყურადღებისა და საფუძვლიანი შესწავლის ობიექტი გახდა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე; მასშტაბური კვლევის შედეგად ეს კატეგორია დადასტურდა მრავალ განსხვავებული სტრუქტურის მქონე ენაში.

კერძოდ, ა. ი. აიხენვალდის ნაშრომში (Aikhenvald, Evidentiality, 2004) გამოყენებულია 500-ზე მეტი ენის გრამატიკული აღწერილობის მონაცემები: ბულგარული, მაკედონიური, ალბანური, სომხური, თურქული, სპარსული, ტაჯიკური და კავკასიური: **ქართული, სვანური, არ-**

ჩიბული, ლაკური, ბავგალური...

ევიდენციალობა ქართველურ ენებში გრამატიკული კატეგორიაა. ამ ენებში საანალიზო კატეგორიის წარმოშობის შესახებ საერთაშორისო ლინგვისტიკაში არსებობს საპირისპირო მოსაზრებები: ენათმეცნიერთა ნაწილი (D. Slobin, A. Aksu, *Tense, aspect and modality in the use of the Turkish evidential*, 1982) მას თურქულის გავლენას მიაწერს; სხვანი საუბრობენ ჩამოყალიბების ორიგინალურ ფორმაზეც, თუმცა საწყის ფაზად სხვა ენის გავლენასაც არ გამოირიცხავენ, რადგან, მათი აზრით, ეს კატეგორია ძველ ქართულში არ დასტურდება. უდამწერლობო ქართველური ენების შესახებ კი სპეციალურ ლიტერატურაში ვკითხულობთ: „სვანური ყოველთვის ძლიერ შორს იყო ოსმალთა თურქული ბატონობისგან, მაგრამ მისი ევიდენციალური ფორმები შესაძლოა განაპირობა მეზობელ მეგრულზე მომხდარმა გავლენამ... ანუ: თუ მეგრულის ევიდენციალური სისტემა ნაწილობრივ თურქულის გავლენის შედეგია, იგი შესაძლოა სვანურისთვის შუამავალი მოდელი ყოფილიყო“ (W. Boeder, *Evidentiality in Georgia*, 2000).

საქმე ის არის, რომ ზმნურ ევიდენციალობას ქართველურ ენებში უცხოელი სპეციალისტები ყოველთვის განიხილავენ მხოლოდ ე. წ. „უნახაობის“ გამომხატველი მწკრივების — თურმეობითების მიხედვით.

**ახეც რომ იყოს**, ზმნებში „უნახაობა“ ფაქტობრივად ძველ ქართულშივეა დადასტურებული („...შენი ადგილი **დაგიტევების** და სხუად **წასრულ ხარ**“ — „შუშანიკის წამება“; „სახლისა ჩუენისა მეჭურჭლე ქალი იყო... და მამასა გრიგოლს აქა **წამოუყვანებია**“ — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“), თურქულის გავლენის შესაძლებლობა კი, ისტორიის გათვალისწინებით, მხოლოდ XI საუკუნიდან იქნებოდა მოსალოდნელი.

**ამასთან, თურქულის გავლენის შემთხვევაში განსაკუთრებული ვითარება ევიდენციალობის მხრივ პირველ რიგში სწორედ ტაო-კლარჯულში უნდა შეინიშნებოდეს, რაც ტექსტებზე** (შუშანა ფუტკარაძე, „ჩვენებურების ქართული“, 1993) **დაკვირვებამ არ დაადასტურა** — აქ საკვლევი მიმართულებით სალიტერატურო ქართულისა და დანარჩენი დიალექტების იდენტური ვითარებაა; უდამწერლობო ენებში კი საანალიზო კატეგორია გაცილებით შორსაა წასუ-

ლი და იმდენად განვითარებული, რომ ორგანული წარმოება და მორფემაც კი გამოუმუშავებია, რაც, რასაკვირველია, ამ კატეგორიის უძველესი ენობრივი პლასტებიდან მომდინარეობის დასტურია. ამ ენებში სალიტერატურო ენისგან განსხვავებული, არაპერფექტული ევიდენციალური, საკუთრივ ინფერენციული მწკრივებიც დასტურდება; ისინი გამოხატავენ საეჭვოობა-სავარაუდოობას ინფორმაციისა, რომელიც ვერბალურ წყაროს კი არა, მთქმელის გამოცდილებას, ვარაუდს, ლოგიკას, ანუ **ინფერენციულ წყაროს** ემყარება. მეგრულსა და ჭანურში ეს ზმნები -**კონ** ნაწილაკს დაირთავენ (მეგრ. **ბზიმუნდი-კონ**), ჭან. **ბზუმუმიტი-კონ** „მე რომ ვზომავდი, მე რომ მეზომა“ — | პირობითი), **სვანურში კი სპეციალურ მორფემას (უნ), რომელიც საერთოა უნახაობის აღმნიშვნელ მორფემასთან** (შდრ. | თურმეობითი: **ხეგმ-უნ-ა** „თურმე უშენებდა“ — შესაძლებლობის აწმყო: **ხეგმ-უნ-ი** „აღბათ უშენებს“ — პირობითუსრული: **ხეგმ-უნ-ოლ** „აღბათ უშენებდა“...).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვასკვნით:

ა) ევიდენციალობა სალიტერატურო ქართულში იმ პერიოდიდან დასტურდება, როცა თურქულის გავლენაზე საუბარი შეუძლებელია.

ბ) ქართველურ უდამწერლობო ენებში, რომლებიც ზოგადად შედარებით თავისუფლად ვითარდებიან ნორმატიული შეზღუდვის არარსებობის გამო, საანალიზო კატეგორია უფრო შორს წავიდა: აქ სპეციალური ევიდენციალური მწკრივები და მორფემაც კი გაჩნდა, რომლებიც ოპოზიაციას ქმნიან არაევიდენციალურ მწკრივებთან საეჭვოობა-სავარაუდოობის მხრივ.

ევიდენციალობა ერთგვარი უნივერსალიაა და თითქმის ყველა ენაში იძებნება აღწერითად თუ გრამატიკულად, მაგრამ მორფემის დონეზე მისი ჩამოყალიბება შედარებით იშვიათი მოვლენაა, მით უფრო, როცა **ევიდენციალობის ორივე ძირითადი სახეობა (ვერბალური და ინფერენციალური) ერთიანდება ერთ მორფემაში**. ეს კი კატეგორიის ადრეულ წარმოშობაზე მეტყველებს.

კვლევის შედეგები უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ ევიდენციალობის ადგილობრივი წარმომავლობა ქართველურ ენებში: მიგვაჩნია, რომ აქ ევიდენციალობის ჩამოყალიბება აინსნება არა სხვა ენის გავლენით, არამედ ენის განვითარების შინაგანი ტენდენციებით.

## სვანური „ლამხუბ“ (სოციალური ინტერპრეტაცია)

სვანეთის, განსაკუთრებით ბალსზემო სვანეთის ისტორიული თემები საქართველოში დღესაც უძველესი კავკასიური კულტურული მემკვიდრეობის მცველია, ლინგვისტური და ეთნოგრაფიული ლაბორატორია იმათვის, ვინც ეთნოლინგვისტიკისა თუ სოციოლინგვისტიკის, მატერიალური ფასეულობების, სამეურნეო ყოფისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების სფეროში არქეტიპების აღდგენითაა დაინტერესებული. ეს უმთავრესად ტრადიციულ სოციალურ ურთიერთობათა სისტემაზე ითქმის, რომლის შესწავლა ერთობ რთულია მისი არამატერიალიზებული მდგომარეობის გამო. საველე პირობებშიც სპეციფიკური მეთოდური და მეთოდოლოგიური მიდგომის გარეშე სოციალური მოვლენების ვიზუალურად აღქმა თითქოს შეუძლებელიცაა, რადგან ძველი — სტერეოტიპული ღირებულებები მოდერნიზებული და ტრანსფორმირებული სახით გადახლართული და ადაპტირებულია თანამედროვე განვითარებადი და ცვლადი საზოგადოების ახალ მისწრაფებებთან. ადრე სვანურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში საინტერესო სოციალურ ინსტიტუტს **ლამხუბი** წარმოადგენდა. იგი თანამედროვეობაში შემონახულობის თვალსაზრისითაც საყურადღებოა.

სვანეთის ტრადიციულ თემებში **ლამხუბს** სამოს უწოდებენ. ტერმინი **ლამხუბ** ჩვეულებრივი სიტყვა არაა, რადგან საკმაოდ არქაული სოციალური მნიშვნელობითაა მარკირებული. იგი ისეთ სოციალურ ორგანიზაციას — ნათესაურ ჯგუფს აღნიშნავდა, რომლის წევრებიც წარსულში ერთმანეთთან რიგი საკლასიფიკაციო ნიშნით იყვნენ დაკავშირებულნი. **ლამხუბ** სამეცნიერო ლიტერატურაში პატრონიმიული გაერთიანების შესატყვის ცნებადაა მიჩნეული.

ის ტიპოლოგიური ნიშნები (ტერიტორიული და სამეურნეო ერთობა...) რომლებიც სპეციალისტების მიერ პატრონიმიული ორგანიზაციის, ამდენად, **ლამხუბის** დასახასიათებლად იყო გამოყოფილი, ვფიქრობთ, დაზუსტებას საჭიროებს. თუ გავითვალისწინებთ სოციალურ სფეროში საზოგადოებრივი ჯგუფების ტიპოლოგიური მრავალფეროვნების



ფაქტს, მაშინ დავინახავთ, რომ **ლამხუბ**-ის ესა თუ ის მახასიათებელი ნიშანი **ლამხუბ**-თან ახლოს მდგომ, მასთან გადახლართულ ოდნავ განსხვავებული ტიპის სოციალურ გაერთიანებას განეკუთვნებოდა. მაგალითად, ავიღოთ „ტერიტორიული ერთობა“. მიიჩნევა, რომ „ტერიტორიული ერთობა“ პატრონიმიის, შესაბამისად, **ლამხუბი**-ს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება იყო, მაგრამ პრობლემის არსს უფრო ღრმად თუ ჩაუვკვირდებით, დავინახავთ, რომ ეს სულ ასე არ უნდა იყოს, რადგან ტერიტორიული ერთობა ლოკალური ჯგუფისთვის თვისება უფრო იყო, ვიდრე პატრონიმიის — ნათესაური დაჯგუფების. ნათესავს შეეძლო მოწყვეტოდა ჯგუფს და სხვა ტერიტორიაზე, სხვა ნათესაური გაერთიანების ფარგლებში ეცხოვრა, მაშინ, როცა ლოკალური გაერთიანების წევრები მუდმივად ლოკალურობის ფარგლებში რჩებოდნენ. ამდენად, ტერიტორიული ერთობა დამახასიათებელი იყო ლოკალური და არა ნათესაური ჯგუფისათვის, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ლოკალიზებული ნათესაური ჯგუფიც, მაგრამ შესაძლებელია სწორედ ლოკალიზებულ გაერთიანებას მოწყვეტოდა ნათესავი ან გენეალოგიური სეგმენტი და სხვაგან დასახლებულიყო. ამ ტიპის მსჯელობა შესაძლებელია განვავითაროთ თემთან — **ლამხუბ**-ის წევრთა თითქოსდა სამეურნეო ერთობის — სამეურნეო ინტერესების თანხვედრილობასთან, სოციალურ ორგანიზაციაში ცოლისა და ქმრის გენეალოგიურ კუთვნილებასა და, შესაბამისად, ეგზოგამიის მნიშვნელობებთან მიმართებაშიც.

რას ნიშნავს სოციალური თვალსაზრისით **ლამხუბ** და რა ადგილი უკავია მას ისეთი ნათესაური გაერთიანებების გვერდით, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეში აღინიშნებიან ტერმინებით **საძმო** (*// მოძმეობა*) და **ბიძაშვილობა**, **ბაბუიშვილობა** და **მამაშვილობა** (*// მამიშვილობა*)...? ბუნებრივია, ტრადიციული საზოგადოებების სოციალური გარემოდან მსგავსი ცნებები შემთხვევით არ აღმოცენდებოდა. მათ, ერთ შემთხვევაში, საფუძვლად უდევთ სიტყვები „ძმა“ და „ბიძაშვილი“, ხოლო, მეორე შემთხვევაში, „ბაბუა“ და „მამა“. ამ ტერმინებით გამოხატული სოციალური ჯგუფები საზოგადოებრივ დინამიკაში ქრონოლოგიურ — სტადიურ თანმიმდევრობას ასახავს თუ აქ სოციალური ფორმების ნაირსახეობებთან გვაქვს საქმე? ყველა შემთხვევაში, სვანეთში, ტრა-

დიციულ სოციალურ ორგანიზაციათა კლასიფიკაციაში, ნათესაური გაერთიანების საინტერესო ფორმადა სტურდება. გარკვეული მახასიათებლებით სვანური **ლამხუბ**-ი, როგორც სოციალური არქექტიპი, წარსულში საქართველოს მაღალმთიანეთში მცხოვრები ჩვენი წინაპრების სოციალური ცხოვრების რეკონსტრუქციის მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენს.

მედეა მექვაბიშვილი (თბილისის სახ. უნივერსიტეტი)

### ჯუმათის ტობონიმიკისთვის

სოფელი **ჯუმათი** გურიაში, ოზურგეთის რაიონში, მდინარე სუფსის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. სოფელში არის მთავარანგელოზის სახელობის მონასტერი, რომელიც ადრე საგანმანათლებლო ცხოვრების მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. ადიშის სახელით ცნობილი სახარება ერთ დროს ჯუმათში ინახებოდა.

რაც შეეხება სოფლის სახელწოდებას, ა. შანიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ქართულში მოგვეპოვება ერთადერთი სპეციფიკური ტობონიმიკური მაწარმოებელი (ე.წ. ტობონიმიკური): „საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად მოიპოვება სუფიქსი **-ეთ**, რომლის ვარიანტია **-ათ**. ეს **-ეთ** შეიძლება გაძლიერებულ იქნეს დანიშნულების პრეფიქსით (სა - ეთ)“. **-ათ** ქართული **-ეთ**-ის მეგრულ-ლაზური შესატყვისია და ამ ტობონიმში ზანიზმად წარმოგვიდგება. ფუძეა **ჯუმ-**, რომელიც შესაძლოა მეგრული „სამშაბათის“ სახელწოდებაში გამოყოფილ **ჯუმა**-ს უკავშირდებოდეს. (მეგრ. **ჯუმაშხა** ზედმიწევნით „ჯუმას დღე“) ან საკუთარ სახელს (გ. ბედომვილი). შესაძლოა, იგვევ **ჯუმ-** გვქონდეს სამეგრელოში დადასტურებულ სოფლის სახელში — **ჯუმითი** (ჩხოროწყუს რაიონში).

საინტერესოა მიკროტობონები, რომლებიც ჯუმათში დასტურდება; შევეხებით რამდენიმე მათგანს:

**ლაშე** — დასახლებული უბანი, ჩავარდნილ ადგილს უნდა ნიშნავდეს;

**ბოგილი** — უბანი, სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს **ბო-გა**-ს, რომელიც ქეგლ-ის მიხედვით „პატარა ხილს“ ნიშნავს; მისგან გვექნება ზმნა **ბოგავ**-ს „ხილს აკეთებს“, ხოლო **ბოგილი** შეიძლება განვიხილოთ როგორც ნამყო დროის საობიექტო მიმღეობა;

**მერე** — დაბლობი ადგილია, რომელსაც საყანედ იყენებენ. ქეგლ-ის მიხედვით **მერე** წყლის სანაპიროზე მდებარე ადგილს ეწოდება („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ **მერე** ადგილის სახელია).

კობა მითავგარი ა (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

## **ალერსის გამომხატველი შორისდებულები მეგრულსა და სვანურში**

შორისდებული ადამიანთა ურთიერთობის თავისებური ენობრივი საშუალებაა. მისი დანიშნულებაა, გამოხატოს ადამიანის გრძნობა-განცდები, ემოციები და ნება-სურვილები: სიხარული, მწუხარება, დანანება, გაკვირება, მოწოდება, ალერსი და ა. შ.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში შორისდებულთა სამი ძირითადი ჯგუფია წარმოდგენილი:

ა) **ემოციური შორისდებულები** (ამა თუ იმ გრძნობის გამოძახილის გამომხატველი);

ბ) **იმპერატიული შორისდებულები** (მოუბრის ნება-სურვილის ამსახველები);

გ) **შორისდებულები, რომლებიც გამოხატავენ ფიცილს, ალერსს და სხვ.**

როგორც ცნობილია, მეგრული შორისდებულებით მდიდარი არაა, თუმცა მეგრულში საკმაოდ გამოიყოფა შორისდებულთა ის ჯგუფები, რომლებიც გამოხატავენ ემოციას, გრძნობას, ნება-სურვილს.

ამჯერად ჩვენი მოხსენების მიზანია შორისდებულთა ჯგუფში შემავალი საალერსო სიტყვების მეგრ. (**ქუგგალე** „შემოგველე“, **გოლ(უ) ოაფირო!** „შემოგველე!“ მეგრ.: **სკან გურიშ ჭირი** „შენი კვნე-

სა მე (ზედმიწ. — შენი გულის ჭირი!)“ მეგრ. **სკანი ჭირი მა!** „**შენი ჭირი მე**“ (შდრ. **სკანი ჭირი**) მეგრ.: **სკანი თოლ სინთე** „შენი თვალის სინათლე!“ მეგრ.: **თქვან ჭირ(ქ) ქუმადლოლუ!** „თქვენი ჭირი-მე!“ (ზედმიწ. — თქვენი ჭირი დამემართოს!)“ მეგრ.: **სკანი ბირგუ-ლოში გოლ(უ)ოაფირო!** „შენს მუხლებს შემოვევლე“, **ისგუ ნაცად მი!** „შენ შემოვევლე!“ სვან.: **ისგუ თხუიმუიქაქა ლუსპუნუ მი!** „შენ შემოვევლე მე!“ სვან.: **ისგუ მაზიგ მი!** „შენი ჭირიმე!“ და მრავ. სხვ. სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი მეგრულსა და სვანურში.

ი ზ ო ლ და რ უ ს ა ძ ე, ე მ ზ ა რ გ ო რ და ძ ე  
(ქუთაისის უნივერსიტეტი)

### **ქართულ კილო-თქმათა მასალა რაფიელ ერისთავის „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინურ მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოების“ ლექსიკონში**

რაფიელ ერისთავი — პოეტი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ლექსიკოგრაფი...

ნაშრომში ვაანალიზებთ რაფიელ ერისთავის ლექსიკოგრაფიულ მემკვიდრეობას, რომლის გაუთვალისწინებლად ძალიან ძნელი იქნებოდა XIX საუკუნის ქართული ლექსიკოგრაფიის შესწავლა. მეცნიერების ეს დარგი რ. ერისთავმა გაამდიდრა ახალი ნაშრომებით ჯერ კიდევ მაშინ, როცა არაფერი იყო დაწერილი ლექსიკონთა საჭიროებისა და შექმნის შესახებ, როცა ჯერ კიდევ არ იდგა დღის წესრიგში ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნის საკითხები.

განსახილველად ავიღეთ რ. ერისთავის 1884 წელს გამოცემული „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“, რომელიც არის 1873 წელს გამოცემული წიგნის „შემოკლებული ლათინური, რუსული და ქართული მცენარეთა ლექსიკონის“ შევსებული სახით წარმოდგენილი ნაშრომი. ის „დაჯილდოებულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან დიდის ხელთა ვერცხლის მედლით“. 1873 წელს გამოცემული ეს ლექსიკონი არის პირველი ბოტანიკის ლექსიკონი, რომელიც

თბილისში დაიბეჭდა. ის სამენოვანია. მასში შეტანილია ათასამდე სიტყვა. მათ შორის 400-მდე განმარტებულია. 600-მდე სიტყვას კი ახლავს მითითება, მათი განმარტება ვერ შევძელით. ეს ლექსიკონი 82 გვერდია. ის ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და დაცულია მხოლოდ რესპუბლიკურ საჯარო და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში.

1884 წელს გამოცემული ლექსიკონი კი მთლიანად 167 გვერდია. მას აქვს თ. რაფიელ ერისთავის — წიგნის ავტორის წინასიტყვაობა ქართულ და რუსულ ენებზე. აქ 1800-მდე სიტყვაა წარმოდგენილი. პირველი გამოცემისათვის ავტორს ცხოველთა და ლითონთა ლექსიკური ერთეულები დაუმატებია. ნაშრომის 86 გვერდზე მოცემულია 1204 მცენარის სახელწოდება. დანარჩენ გვერდებზე კი წარმოდგენილია 489 ცხოველის სახელი და 107 ლითონის ტერმინი. მცენარეებს, ცხოველებსაც და ლითონებსაც ცალ-ცალკე ახლავს საძიებლები. ეს ლექსიკონი საინტერესოა იმიტაც, რომ აქ პირველადაა წარმოდგენილი ქართულ კილო-თქმათა მასალა.

ლექსიკონი დაცულია საქართველოში საჯარო და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში, საქართველოს მუზეუმში, პალატასა და ზუგდიდის დადიანების სასახლის მუზეუმის ბიბლიოთეკაში.

რაფიელ ერისთავის „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“ არის საფუძველთა საფუძველი ამ დარგში აკადემიურად გამოცემული ლექსიკონებისა. აქედან ლექსიკური ერთეულები შეტანილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა და ალ. ლლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“, მაგრამ დღეს მას მხოლოდ ისტორიული ღირებულება აქვს, რამდენადაც ის ინახავს ქართულ კილო-თქმათა მასალას მცენარეების, ცხოველებისა და ლითონთა სახელწოდებების შესახებ. რ. ერისთავის დამსახურება დიდია აგრეთვე სხვა ლექსიკონების შექმნისა და სულხან-საბას „სიტყვის კონის“ გამოცემის საქმეში, მაგრამ ამჯერად ჩვენ მათზე არ შევჩერდებით.

**„ბებიას ენა“ (მასალები დიალექტოლოგიისათვის)**

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ერთი ინდივიდის, კერძოდ, ავტორის წინაპრის (ბებიას) — ივლიტა ხეცურიანის — მეტყველებაში დადასტურებული ენობრივი ერთეულები, დიალექტიზმები, აგრეთვე იდიოლექტის ნიმუშები. მასალა მოპოვებულია მთქმელის სიცოცხლეშივე, უმეტესად კი აღდგენილი და შეკრებილია მისი გარდაცვალების (1977 წ.) შემდგომ ოჯახის წევრთა მიერ.

საანალიზო მასალა, რომელსაც ჩვენ „ბებიას ენას“ ვუწოდებთ, მრავალფეროვანია. ენობრივი ერთეულები ხშირ შემთხვევაში განუმარტავია, თუმცა იშვიათად განმარტების საშუალებას იძლევა მემკვიდრეთა (ოჯახის წევრთა) მენსიერებაში შემორჩენილი მთქმელისეული გამოთქმები, ფრაზები. მაგალითად, კოცხა. შდრ. კოცხა ღორი = დაბალი, პატარა ღორი.

„ბებიას ენაში“ უხვად არის სახელური ფორმები, მაგალითად, **პურტყვი, ცხვენი, ჭერკო, ჭირთვი, ქვისკვნილი...** განსაკუთრებით მდიდარია მასალა ზმნური დიალექტიზმებით: **ავაწიწილაკე, დაციმცამდი, გამომაბუიყეს, ვითოთხიალე, გამოვჩურთე, გამოვახუკუნე, გავაწიპარტე, მოჩორიკდა, გადასოსიალდა, მიწიწინობდა** (შდრ. აჭარ. დავწიწინდეთ = წავიდეთ), **დაპორტყიალობს, აპუნტრაკდა, წაძიკინდა...**

ლექსიკური თვალსაზრისით საინტერესოა: **გოჭუნტალე, კონჩხი, უჩქიმო, ჭონტოლე, ბარბაციანი, წუკანტი, ბობორიკე, წინწალაკი, ვატატყი, ვატყაბურე, წურწუტი, წუნაკი, ძუბაკი, ფეხუცე, დაჩართული, ბრუტიანი, ოჩქოჩე, ჩხოლი, ქუნცანი...**

„ბებიას ენაში“ არის ჩვენ მიერ იდიოლექტის ნიმუშებად მიჩნეული ფორმებიც: **მანუნჯაკი** (= მახინჯი), **დანჭანული** (= დაჭყანული, შეუხედავი), **სანეიქინე** (= აქა-იქ), **ფშხლაკვა** (= რუს. шляпа), **ლიბლიკები** (= რეპლიკები), **მისოფიე** (= მისით, თავისით), **ობა ისე** (= აბა, ასე), **რანჯული** (= რა რჯულის)...

## მედია საღლიანი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### დროის ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მონაცემების მიხედვით

დრო, როგორც ცნობილია, მატერიის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, რომელიც მოვლენების კანონზომიერი მონაცვლეობით გამოიხატება.

სამყაროში ყველა საზომი (სიგრძე, წონა...) პირობითია და ისინი მოფიქრებულია ადამიანის მიერ, დროის ძირითადი საზომი კი ბუნებას თვითონ მოგვცა. კერძოდ, დროის აღრიცხვას საფუძვლად დაედო ციურ სხეულთა მოძრაობით განპირობებული ისეთი მოვლენები, რომლებიც მეტ-ნაკლებად თანაბარი პერიოდულობით მეორდება. ერთიანი, საყოველთაო დროითი ღერძის, დროთა დინების ერთ საფუძველზე და ერთი მიმართულებით სვლის წარმოდგენა კი ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან არის დაკავშირებული და მისგანვე მომდინარეობს.

დროულ მიმართებათა სტრუქტურების თვალსაზრისით ენები განსხვავებულ და საინტერესო სურათს წარმოგვიდგენენ. რაღა თქმა უნდა, ამ მხრივ გამონაკლისს არც სვანური წარმოადგენს, რომლის ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი მეტად საყურადღებო ტემპორალურ სტრუქტურას გვიჩვენებს.

ზოგადად დროის გამოსახატავად სვანურში დასტურდება როგორც ქართულიდან შემოსული — **დჷრეჷ** (ბზ.), **დრეჷ** (ზს.), **დრჷ** (ბზ., ლნტ.), **დრო** (ლზს., ლნტ.), **დჷრე** (ლნტ.) „დრო“, **დჷრეჷ** (ჩოლ.); **ხან** (ზს., ლნტ.), **ხან** (ლზს., უშგ.) „ხანი“; **ჟამ** (ზს., ლნტ.), **ჟამ** (ლზს., ჩოლ.) „ჟამი“, ისე საკუთრივ სვანური — **ჟონა** (ზს., ქს.), **ჟანა** (ზს.), **დჷანა** (ბზ.), **ჟორა** (ლზს.), **ონა** (უშგ.) „ჟამი, დრო“, **ჩიქდ** (ზს., ქს.) „დრომდე“, რომლებიც დასტურდება ძირითადად სხვადასხვა სახის ზმნიზედურ ფორმებში (**ის-გლჷთი ჟონაქა** (ბზ., ლზს.) „შუალამისას“, **ისგლანდლიშ ჟონაქა** (ბქ.) „შუალდისას“; **ამ ჩიქდ** (ზს., ქს.) „ამ დრომდე“, **ამ ჩიქს** (ზს., ქს.) „ამ დროს“, **ეჩ ჩიქა** (ბქ.) „იმ დროში, იმ დროს“, **ეჩა ჩიქდ** (ბქ.) „იმ დრომდე“, **მიშგჷა ჩიქდ** (ბქ.) „ჩემამდე“ და მრავ. სხვ.).

სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურშიც, დროის უწყვეტ პერიოდში, გამოიყოფა სამწევროვანი ტემპორალური ოპოზიცია: **ათხენდლიშ / ქა მეჩდე** „წარსული“ — **ათხეშ** „ახლანდელი“ — **ათხენდჷეშ / მეშდე** „მომავალი“.

დროის ეს სამი ძირითადი პერიოდი (**წარსული** — **ახლანდელი** — **მომავალი**) სვანურში წარმოდგენილია დროის ზმნიზედებითა და მი-

მღეობის ფორმებით. მათ მიმართებაში (**ათხე-ლდ-იშ — ათხე-შ — ათხე-ნ-ღჟე-შ**), ძირითადად ამოსავალია ახლანდელი დრო — **ათხე** „ახლა“, რომელიც ბრუნვის ნიშნებისა და ზმნიზედების დართვით გამოხატავს ამა თუ იმ პერიოდს. რაც შეეხება მიმდებარე ფორმებს (**ქა მე-ჩღე — მეჰედ**), ისინი, ვფიქრობთ, ქართულის ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი სვანურში.

გარდა ზემოაღნიშნული ფორმებისა, *მომავლისა* და *წარსულის* გამოსახატავად სვანურში სხვა ფორმებიც დასტურდება, რომელთა მეტი წილი სიტყვაწარმოებით არის მიღებული. ესენია: უცნობი ეტიმოლოგიის **მპბე** (ბზ., ლშხ.), **მპბე** (ბქ.), **მაბე** (ლნტ.) „მომავალი / მომდევნო“, რომელსაც „ღღეისწორს“ სემანტიკაც გააჩნია და *წარსულის* მნიშვნელობით გამოყენებული ზმნიზედური ფორმები: **იჟალადწღ** (ზს.), **იჟალადღელ** (ბქ., ლშხ.), **იჟალწღელ** (ლნტ.); **იჟას** (ზს., ლნტ.), **იჟასი-დამს** (ბქ.), **იჟასი-დამს** (ლნტ.) „შორეულ წარსულში, ოდესღაც, ოდითგან (იგულისხმება ევას და ადამის დრო, შორეული წარსული)“ და სხვ.

ზოგადად წელი / წელიწადი-ს მნიშვნელობით სვანურში გამოყენებულია **ზწჟ** (ბზ.), **ზწ** (ბქ., ლნტ.), **ზაჟ** (ლშხ., ჩოლ.), რომელსაც შესატყვისი ეძებნება სხვა ქართველურ ენებში (შდრ. ქართ. **ზა-ზა**-მთარი; **ზა-ფხულ**-ი; გა-**ზა-ფხულ**-ი და მეგრ. **ზო-ზო**-თონჯი“ „ზამთარი“) და საერთაქართველური ფუძეების დონეზე აღდგენილია \***ზა**- არქეტიპი.

წელიწადის დროები სვანურშიც წარმოდგენილია ოთხი განსხვავებული პერიოდით — არეებით, თუმცა დიალექტების მიხედვით ერთნაირი მდგომარეობა არა გვაქვს და ესა თუ ის პერიოდი სხვადასხვა სტრუქტურის ფუძეებით წარმოგვიდგება: *გაზაფხული* — **ქამიწწლ** (ბზ.), **ქამლიწწლ** / **ქამიწალ** (ბქ.), **ქამელიწალ** (უშგ.); *ლუფხჟ* (ბზ., ქს., ლხმ.), **კწცწწლუფხჟ** (ბზ.), **მალფხ** (ლნტ.), **მალფხჟ** (უშგ.); *ზაფხული* — **ზაჟლადწღ** (ბზ.), **ზაჟლადღელ** (ბქ., ლშხ.), **ზაჟლწღელ** (ლნტ.), **ამ-ზაჟ** (ბქ.), **ზწ** (უშგ.); *შემოდგომა* — **მუჟღჟეერ** (ბზ., ჩოლ.), **მუჟღურ** / **მუჟღჟიერ** (ბქ.), **მუჟღორ** (ლშხ.), **მუჟღორ** (ლნტ.), **მგჟღჟეერ** (ჩოლ.), **სტჟელობ** (ჩოლ.); *ზამთარი* — **ლუნთ** (ბქ., ლშხ.), **ლინთჟ** (ზს., ლნტ., ჩოლ.).

თვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული სვანურის ყველა დიალექტში ერთი საერთო ფუძით **თჟე** / **თჟ** (ბზ., ლნტ.), **თეჟ** (ზს.), **თოჟ** (ლშხ.), **თჟეჟ** (ჩოლ.) გამოიხატება. უშგულურში კი **თჟე**-ს პარალელურად **ღოშღ** „თვე, მთვარე“ ფუძეც ფიქსირდება. რაც შეეხება თვეთა სახელებს, ისინი სვანურში ძირითადად რომაული კალენდარული სისტემის მიმდევრობითა და სახელწოდებებითაა წარმოდგენილი, თუმცა საყოველთაოდ ცნობილი სისტემის პარალელურად შერეული სახის



სისტემატ მოგვეპოვება, რომელიც მოიცავს როგორც საკუთრივ სვანურს, ასევე ქართულიდან ნასესხებ ფორმებსაც.

მოხსენებაში განხილული იქნება *კვირა / კვირეულის* სვანური სახელწოდებები (**ნაგზი** (ზს., ლშხ.), **ნაგზა** (ბქ.), **ნაგზი** (ლნტ.), **მიშუ** (ბზ.), **მიშ** (ბქ., ლნტ.), **მიშ** (ლშხ., ჩოლ.) და, აგრეთვე, სვანურ მნათობლეთათა შვიდეულის შემადგენლობა და სახელები (**დრშდიშ|დუემ-დიშ** (ბზ.), **დუემდიშ** (ბქ.), **დოშდიშ** (ლშხ.), **დუემტიშ** (ლნტ., ჩოლ.) „ორშაბათი“, **თანშ** (ზს.), **თახაშ** (ლშხ., ჩოლ.) „სამშაბათი“ და ა. შ.).

რაც შეეხება დღეთა თანმიმდევრობას, ისინი სვანურშიც დიეტური პრინციპით არის აგებული და ძირითადად დროის გამომხატველი ზმნიწედებია. დიალექტების მიხედვით კი სხვადასხვა სტრუქტურის ფუძეები გვხვდება: **ლადი** (ზს.), **ლადი** (ლშხ., ჩოლ.), **ლადელი** (ლნტ.), **ლადლი** (უშგ.) „დღე“; **მგნარ** (ზს., ლნტ.), **მგნარ** (ლშხ.) „ხვალ“; **მგნარბანი** (ბზ.), **მგნარბანი** (ბქ.), **მგნარბანი** (ლშხ.), **მგნარბანი** (ლნტ.) „ხვალ საღამოს“; **მგნარჩინან** (ბზ.), **მგნარჩინან** (ბქ.), **მგნარჩინან** (ლშხ.), **მგნარჩინან** (ლნტ.) „ზეგ“; **ლანთ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ლანთ** (ბქ., ლნტ.) „გუშინ“; **ლანთჩინან** (ბზ.), **ლანთჩინან** (ბქ.), **ლანთჩინან** (ლშხ.) „გუშინწინ“; **ლანთ სგუბენე ლადლ** (ბზ.), **სგუბენე|სგუბენე ლადლ** (ბქ.) „გუშინწინ“; **ნანბოზ/ნანბუზ** (ბზ.), **ნანბოზ/ნებოზ** (ბქ.), **ნებოზ** (ბქ., ლშხ.) „საღამო“; **ბანი** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ბანი** (ბქ., ლნტ.), **ბანი** (ბქ.) „ზაღამ, ამ საღამოს“; **ჰამ** (ზს.) „დილა“; **ძინარ** (ბზ., ლნტ.), **ძინარ** (ლშხ.) „დილა“ და სხვ.

დღე-ღამის, როგორც ერთი მთლიანობის, გამოსახატავად, სვანურში გამოიყენება როგორც **ლეთილადედ / ლეთ-ლადედ** (ბზ., ლშხ.), **ლეთილადედ / ლეთ-ლადედ** (ბქ.), **ლეთილანდედ** (ლნტ.), **ლეთ-ლადედ** (უშგ.) „დღე და ღამე, დღე-ღამე“, ისე საკუთრივ სვანური ლექსიკური ერთეული **ფან**, რომელსაც დროის მნიშვნელობაც ეკისრება (მაგ., ბქ. **ფანშ მეგეჰ მამაგუემ წუა** „დროის გამძღები არაფერია (დროის გამძღე არაფერი მოიპოვება)“).

**ლეთილადედ** „დღე და ღამე“ ფორმაში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, იკვეთება ორი ურთიერთდაპირისპირებული დროული კომპონენტი: **ლეთ / ლეთ** — **ლადლ / ლადელ / ლანდედ**, რომელთა გადანაწილება ხდება **ნარპი / ნარი** — **მუბუირ / მუბირ/მუბურ** „სინათლე-სიბნელე“ თვისებების მიხედვით. **ლეთ / ლეთ** — **ლადლ / ლადელ / ლანდედ** ფორმებს შორის კი გამოიყოფა გარდამავალი დროული მონაკვეთები — **ლამიდან დღეზე და დღიდან ღამეზე** გადასვლის სხვადასხვა საფეხურები (**ლირჰან** (ბზ.), **ლირჰან** (ბქ.), **ლირჰან** (ლშხ.), **ლირჰან** (ლნტ.) „გათენება“, **მგრჰე / მგრჰილ** (ბზ.), **მგრჰილ** (ბქ.) „მნათობი, გათენებე-

ლი, ცისკრის ვარსკვლავი (პლანეტა ვენერა)“, **ლეჭერმეშ** (ბზ.), **ლეჭერ-მაშ** (ბქ.), **ბერლან** (უშგ.) „განთიადი, რიჟრაჟი“, **ლიბერლანალ** (ბქ.) „გათენება“, **ჰამ** (ზს.), **ძინარ** (ბზ., ლნტ.), **ძინარ** (ლშხ.) „დილა“ ...; **ნაბოზ / ნაბუზ** (ბზ.), **ნაბოზ/ნებოზ** (ბქ.), **ნებოზ** (ლშხ., ლნტ.) „სალამო“, **ნაბზუჟ პილ** (ბზ.), **ნებზუჟ პილ** (ბქ.), **ნებოზან პილ** (ლნტ.), **ნებზუჟშ მეჯრა** (ბქ.), **ნებზუჟათ მეჯარ** (ჩოლ.) „სალამოს ჟამი (პირი)“, **ლინბოზანლ** (ბზ.), **ლინბოზალ** (ბქ.), **ლინბოზე** (ლშხ.) „მოსალამოება“, **ლიმტკუნანლ || ლიმტკუმანლ** (ბზ.), **ლიმტკუმალ** (ბქ.) „შებინდების პერიოდი“, **ლიბჟრანლ** (ბზ.), **ლიბჟრანლ** (ბქ.), **ლიბჟრანლ** (ლშხ.), **ლიბრე-ლანლ** (ლნტ.) „შებინდება, დაღამება“, **ლილეთე** (ბზ., ლშხ.), **ლილეთე** (ბქ., ლნტ.) „სრული დაღამება“, **ლიწკუინტრე** (ლშხ.) „დაბნელება, უკუნი ღამის დადგომა“, **ლეთ** (ბზ., ლშხ.), **ლეთ** (ბქ., ლნტ.) „ღამე“ ...).

მედეა საღლიანი, ნატო შავრეშიანი,  
 ლელა გიგლემიანი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **სვანური ენის შესწავლის ისტორიიდან**

როგორც ვ. ჰუმბოლდტი აღნიშნავდა, ფასდაუდებელია დამწერლობისა და მწერლობის როლი ცალკეულ ეროვნებათა თუ ეთნოსთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; მართალია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სალიტერატურო ენას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ცოცხალი მეტყველების კვლევა ნაკლები ღირებულებისაა არა მხოლოდ არქაულ ლექსემათა თუ გრამატიკულ მოვლენათა შემონახვის თვალსაზრისით, არამედ არანორმირებულ, თავისუფალი განვითარების მქონე უმწერლობო ენებსა და დიალექტ-კილოკავებს უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლიათ უნივერსალიათა და „ენების ფილოსოფიურ-თეორიული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში“.

უმდიდრესი ლექსიკისა და გრამატიკული წყობის მქონე სვანური ენითა და სვანების ძველთაძველი წეს-ჩვეულებებით მკვლევრები ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაინტერესდნენ და ეს ინტერესი არც მომდევნო საუკუნეებში განელებულა (ი. გიულდენშტედტი, პ. პალასი, ჯ. ედვარსი, ი. კლაპროთი, გ. როზენი, ფ. ბოპი, ი. ბართლომე,

ბ. უსლარი, ფრ. მიულერი, ალ. ცაგარელი, დ. პიკოკი, ჰ. შუხარდტი, რ. ერკერტი, მ. ჯანაშვილი, ა. სტოიანოვი, მ. ზავადსკი, ა. გრენი, ო. უორდროპი, ბ. ნიჟარაძე, ა. დირი და სხვ.).

სვანური ენისადმი დიდი ინტერესი, ვ. თოფურიას აზრით, „გამოწვეულია მისი განსაკუთრებული ღირებულებით ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისა და ფუძე-ენის ავტულების რეკონსტრუქციისათვის. სვანურში დაცული არქაიზმები და მოგვიანებით მიღებული ინოვაციები, რთული ფონეტიკური პროცესები, სტრუქტურული სხვაობანი, დიალექტური თავისებურებანი, სხვა ენათა სუბსტრატის არსებობა და დიალექტთა ნარეობა ხელშეშეხებ მასალას იძლევა კერძო და ზოგადენათმეცნიერული საკითხების წამო-საყენებლად და გადასაჭრელად. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი საკითხია შესასწავლი და გასაშუქებელი“.

ახალი ეტაპი სვანური ენისა და მისი დიალექტების შესწავლის საქმეში იწყება ა. შანიძისა და ვ. თოფურიას შრომების გამოქვეყნებიდან (მხედველობაში გვაქვს ა. შანიძის „უმლაუტი სვანურში“ და ვ. თოფურიას „სვანური ზმნა“), რასაც მოჰყვა ნაყოფიერი მუშაობა სვანური ენის ფონეტიკისა თუ მორფოლოგია-სინტაქსის აქტუალურ საკითხებზე (ზ.ჭუმბურიძე, ნ. აბესაძე, ა. ონიანი, კ. გაგუა, ი. ჩანტლაძე...), სვანური ტექსტების პუბლიკაცია და, რაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანური ლექსიკონი“, რომელიც არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა დიდი ძალისხმევით მომზადდა.

სვანური ენის კვლევა დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც, რაზეც მეტყველებს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების (ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი-დადვანი, ქ. მარგიანი-სუბარი, მ. საღლიანი, რ. იოსელიანი) მიერ გამოცემული წიგნი „კოდორული ქრონიკები“ (გამოკვლევებითურთ), 2007-1010 წ., ქ. მარგიანი-სუბარის მონოგრაფია „ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი“ (ენგურისა და კოდორის ხეობათა მოსახლეობის მეტყველების მიხედვით), 2008-2009 წ., მ. საღლიანის მონოგრაფია „პირისა და რიცხვის გრამატიკული კა-

ტეგორია სვანურში“, 2011 წ., ქ. მარგიანი-სუბარის მონოგრაფია „ევიდენციალობის კატეგორია სვანურ ენაში“, 2012 წ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მზადდება გამოსაცემად არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების სვანური ჯგუფის (ე. გაზდელიანი, რ. ჭკადუა, მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი, ლ. გიგლემიანი) მიერ „სვანური ენის გრამატიკა“ და ა. ჭკადუას მიერ მრავალი წლის მანძილზე რუდუნებით შეკრებილი „სვანური ტოპონიმების ლექსიკონი (გამოკვლევითურთ)“, მ. საღლიანის მონოგრაფია „სალირისძის შთამომავალთა დიდი სახლეული“ (სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი ექსტრალინგვისტური მასალების საფუძველზე), „ელიზიურ სიტყვათა სიმფონია-ლექსიკონი“ (სვანური ენის ქრესტომათიის მიხედვით) და მონოგრაფია „ნარკვევები სვანური ენის შესახებ“, ნ. შავრეშიანისა და მ. საღლიანის „ჩოლურული ტექსტები (ლექსიკონითურთ)“, მ. საღლიანისა და ლ. გიგლემიანის მონოგრაფია „ზომა-წონის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სვანურში (ლექსიკონითურთ)“ და მრავალი სხვ.

თეა ტეტელოშვილი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

## **ქონების სახელთა მაწარმოებლები ტრანსლატივებად სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში**

ტერმინი „ტრანსლაცია“ გამოხატავს მოვლენას, როდესაც სრულმნიშვნელოვანი სიტყვა ერთი გრამატიკული კლასიდან გადადის მეორეში. სიტყვის კლასი და ფუნქცია იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ „კლასის“ ცვლილება იწვევს სიტყვის ფუნქციის ცვლილებას და — პირიქით. სიტყვის ტრანსლირება ხორციელდება მისთვის ფორმის შეცვლით (სპეციალური მარკერებით, რომლებსაც ტრანსლატივები ეწოდება) და სიტყვის ფორმის შეუცვლელად. სიტყვას, რომელმაც უნდა განიცადოს ტრანსლაცია, ეწოდება „სატრანსლირებელი“ სიტყვა; რომელმაც განიცადა ტრან-

სლაცია — „ტრანსლირებული“ სიტყვა; ხოლო ტრანსლაციის მორფოლოგიური მარკერები, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „ტრანსლაციები“.

ქართულში ტრანსლაცივებად გვხვდება სიტყვაწარმოებითი აფიქსები, ბრუნვის ნიშნები და თანდებულებიც კი. ამჯერად ჩვენი კვლევის სფეროში შემოდის ქონების (მქონებლობის) მაწარმოებლები სახელთა მატრანსლირებელ ელემენტებად სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში.

ქონების გამომხატველი სახელები ერთ-ერთ საკმაოდ დიდ ჯგუფს ქმნიან ქართულ ლექსიკურ მარაგში. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით სალიტერატურო ქართულში ქონების სახელთა მაწარმოებლებად გამოიყოფა: **-ა, -ედ, -იან, -იერ, -ოვან, -ოსან** სუფიქსები. რაც შეეხება ქართული ენის დიალექტებს, აქ მათი სახეცვლილი ვარიანტებიც დასტურდება: **-ედ → -ეტ; -იან → -იენ / -იონ / -იენ; -იერ → -იარ / -იორ / -იერ; -ოვან → -ოან / -უან / -უან (// -ვან) / -ონ** (ბ. ჯორბენაძე). მნიშვნელოვანია, რომ ამ ჯგუფის ზოგი აფიქსი (**-ოვან, -იან**) მონაწილეობს გეოგრაფიულ სახელთა შექმნაშიც ან აწარმოებს გვარებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვადასხვა სფეროს ტერმინოლოგიაში მათი პროდუქტიულობა განსხვავებულია. ზოგჯერ ერთი და იმავე ფუძისგან მქონებლობის სხვადასხვა აფიქსით ნაწარმოები სიტყვები მცირე სემანტიკურ სხვაობასაც გვიჩვენებენ (შდრ.: ხავერდიანი და ხავერდოვანი).

ქონების სახელთა მაწარმოებლები ჩვენ გვანტერესებს მხოლოდ როგორც ტრანსლაციები, შესაბამისად, მათი სიტყვათქმნადობის უნარი ჩვენს ყურადღებას სწორედ ამ თვალსაზრისით იქცევს. მქონებლობის აფიქსების დართვით ნაწარმოები სიტყვების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ აღნიშნული სართები ძირითადად — მაადიექტივებელი, უფრო იშვიათად, მასუბსტანტივებელი ტრანსლაციებია. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გადაჭრით შეუძლებელია იმის მტკიცება, ესა თუ ის ტრანსლაცივი რომელ ჯგუფს (მაადიექტივებელს / მასუბსტანტივებელს) უნდა მივაკუთვნოთ. ტრანსლირებისთვის უმნიშვნელოვანესია სემანტიკური ფაქტორიც. ამას ადასტურებს, მაგალითად, ქონების აფიქსიან ატრიბუტულ ფორმათა გასუბსტანტივება სახელდებისათვის ამგვარ ერთეულთა გადააზრებით:

ჩიტ-იან-ი, ქვ-იან-ი, ქარ-იან-ი, წაბლ-იან-ი და ა.შ.

მოხსენებაში ქონების სახელთა მაწარმოებლებს განვიხილავთ ტრანსლაციასთან მიმართებით და ასევე წარმოვადგენთ მათ ცხრილს მასუბსტანტივებელ-მადიექტივებელ ტრანსლატივთა რანგში.

**ნათელა ფარტენაძე** (ბათუმის უნივერსიტეტი)

### **პირმომართი დამატების ბრუნვები შავშურსა და კლარჯულში**

**პირდაპირი დამატება.** პირდაპირი დამატება ბრუნვაცვალება-ღია და მისი ბრუნვებია სახელობითი (II-სა და III სერია) და მიცემითი (I სერია). შავშურსა და კლარჯულში თავისებურებით პირველი სერიის ფორმები გამოირჩევა, სადაც პირდაპირი დამატება ფუძის სახით ეწყობა შემასმენელს: შორვებში **კაკალ** არ გუთრევთ...; იმ **ხიდ** ვერტყვით; **სიმრერებ** გოგვებმა იტყოდენ; მივა, მივა, **კვალ** არ აჩენს; მარტოდ **ყართოფ** ვთესავთ, **სიმიინდ** არ ვთესავთ, წამალი არ გვაქ...; ფოთოლი იმას ვეტყვით, დიდგან **ფურცელ** მისხამს; ძველებურა არ არი, ძველებურა **ხარებ** ჩავაბემლით...; ისე ხოჯა ვიყავ, **ხალხ** ვალოცევდი...; იეთმიშუჩ წლისა ხოჯა იყო, **ბაღნებ** აკითხებდა...; შუა გზაში მოვდენ, **ქალ** მეითხოვდენ...; ავანტყოფს უბეში **ხელ** ჩუთყოფს...; ხევიდან დუუმწკვირებია კაცები, ხელიდან ხელში აძლევდენ **ქვებ**...; **პურ** ვჭამდით, ვსამობდით, ვიმღერებდით...; ძველათ სიძე **დედოფალ** არ ღეინახავდა...; პაწა **ცომ** გავაშავებ...; ერთ წელწად **პურ** არ დავთესავდით, თავთანად ამოვდოდა...; დონერ გააკეთებენ ია, **ხორც** აასხმენ შიშაზე, **ქად** ვეტყვით...; ფინთი ღედამთილი **რძალ** დააბერებს...; **ველაფერ** ექვს თვე რაცხა გეყოფა, აავსობ **ბედელ**...; მე **პურ** ვაცხობ, ხმიადი მაქ, ცოტა ქუფერია...

დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთი წინადადების ფარგლებში პირდაპირი დამატება ფუძის სახითაცაა და მის გვერდით მიცემითბრუნვიანი ფორმაც. ეს უმეტესად იმ შემთხვევაში, როცა ერთგვარ წევრთა რაოდენობა ორზე მეტია: აქ დავთესავთ **სი-**

**მინდ, ყართოფ, ლობიოს...; დათვ, ღორ, გარეულ ხარ, კვერნას** დევჭირევიდით...; და **ცხვარ** გომოღშვებდენ, და **თხა**, და **ძროხას...**; **ბაქლავას** მუღტანდენ, **ქათამ** მუღტანდენ, **ცხვარ** მიეყვანდენ... მსგავსი ვითარება გვხვდება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებშიც: **გოგოს** რომ გამეყვანდენ, **მ'ალი** დავაყრიდით...

პირველ სერიაში მიცემითის ნაცვლად პირდაპირი დამატების სახელობითბრუნვიანი ფორმებიც მრავლად გვხვდება: იმა არაფერი არ ქვია, იმა **სუჯი** ეტყვიან...; კაცები **ფული** გაყრიან, **წველენ...**; ჩვენი დიდვანებმა ართვინიდან **ყურძენი** მოჭვირთავდენ; **ოჯალი** გააკეთავს, **ცეცხლი** გაანთავს, **ხორცი** გადააწითლავს; **ნიშანი** დადევ; იმასაც **თოკი** მთავოჭებდა; **წყალი** იქიდან ვწიკავთ...; **ტათლი** არ ვაკეთებთ...; **ბახშიში** მიცემენ...; ძველათ **სკიები** დააკეთებდენ...; საქონელი ბევრი იყვენ და არ ყოფნილობდენ **ბალახი...**; ოთხი თანე ქათამი მყავს, **ზოგი** მოხაზავ...; ერთი თენექე **ყაზიალი** სამ მარჩლად იღებენ ბათუმ...

ხმოვანფუძიან სახელთან უნდა ვივარაუდოთ სახელობითი ბრუნვა და არა მიცემითის **სან** დაკარგული ფორმა: **ლობიო** არგვენ, ჰამა მე არ ვარგვენ...; გურჯიჯა „**ქუფელა**“ ებნევიან...; სოფელში ქართული **სიტყვა** მამაჩემმა ამბობდა; ასი **თხა** ერთ საათზე მოვწველიდი; რძიდან ასე გვალი ყველი ვაკეთებდით...

ერთი წინადადების ფარგლებში ორი დამატებიდან ერთი შეიძლება იდგეს სახელობით ბრუნვაში, მეორე—ფუძის სახით იყოს წარმოდგენილი: ბულდანანა იყოს, **კაკალი** ვურევთ ჩვენ, **თხილ** ვურევთ ემეს ვურევთ...; **კაკალი** ვურევთ ჩვენ, **თხსლ** ვურევთ; ერთ დრამ წყალ მუღუყენებ, **მარილ** დააყრი **ნიორი** არ გუღურევ...; **შე-რბეთ** მოასხამ, **დალი** მოასხამ, **კაკლებ** მოაყრი; **სიმილ** ავწვევდით, **პური** დავთესევდით...

**მიხვდები** ზმნის ფორმასთან დამატება სახელობითშია: ვერ **მივხტი** მათი **ლაპარიკი**, თქვენი **ლაპარიკი მივხტები**; ამათი **ლაპარიკი** დაჰა ბევრი **ხდებიან...**

**ჰამიან** ფორმასთან, რომელსაც ზოგადი აწმყოს მნიშვნელობა აქვს (ემთხვევა ძველი ქართულის მეორე ხოლმეობითს), დამატება სახელობითშია: არ **ჰამიან ჰადი**, პურ ჰამენ...

დამატება მიცემითშია **სწეველო** ზმნასთან: არ **სწეველო არა-**

ვის...

ზოჯერ სახელობითი ბრუნვის ნიშანი გაგებულა ფუძისეულად (თანხმოვანფუძიან სახელებში) და მიცემით ბრუნვაში გვაქვს ასეთი ფორმები: **ღობისაც** დავთესევდით და დავნეყევდით... მსგავსი წარმოება ახასიათებს გურულს (შდრ. ღორისაც დავკლავ...).

**ირიბი დამატება.** ირიბი დამატება ბრუნვაუცვლელია და ის ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას, მაგრამ შავშურსა და კლარჯულში ხშირია ფუძის სახით ან იშვიათად — სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ირიბი დამატება პირველ სერიაში: მე ველაპარიკებოდი ჩემ **დედამთილ, მამამთილ...**; ირდას ვეტყვიტ მე ვყრებით, რაცხაზენა, ვიმუშაოთ, დუუძახებთ **მეზობლებ...**; ვირები გვყავდა, **ვირებ** აკიდებდით ზურგზე...; თქვენითანა **კაცებ** ჟენნეთში კი არა ჟეჰენნეში წავყვები...; **შაქარ** გადააყრის სიზე **დედოფალ...** კლარჯულში კი ირიბი დამატება გვხვდება სახელობით ბრუნვაშიც: ერთი ძროხა ვერ ვაჭმევ, **ცხენი** რა ვაჭამო?...

მამია ფაღავა (ბათუმის უნივერსიტეტი)

## კარ-ფუძიანი ტოპონიმები სამხრეთ საქართველოდან

კარ-ფუძიანი ტოპონიმები გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. საქართველოს რაიონებში გვხვდება 77 გეოგრაფიული სახელი აღნიშნული ფუძით. მასალების მიხედვით, უფრო მეტად იგი გავრცელებული ჩანს აღმოსავლეთ საქართველოში, შედარებით ნაკლებია — დასავლეთ საქართველოში, თუმცა მაინც გვხვდება (ტოპონიმია 2). **კარ-ფუძიანი ტოპონიმები** დასტურდება ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, ტაოში: **დევსაკარი, დიდი მთიკარი, დოლეკარი, ვაჩეკარი, კრავეკარი / კრავეკარი, ონორეთკარი, ტაშკარანი (\*ქვის კარანი?), ცუცეკარი, წითლივკარი // წითლეკარი,, ჰედლიანკარი, ხუცეკარი...**

კარ-ფუძიანი ტოპონიმები დავადასტურეთ **ბინათშიც** (ართვინი-იუსუფელის გზის 24-ე კილომეტრზე გზა მარჯვნივ აუხვევს და აქედან ხუთი კილომეტრშია აღნიშნული სოფელი): **სოლმაზიკარი,**



**მუსხოლიკარი, ქსკაციკარი, პეტეთკარი, ბაირამიანკარი, ჰაჯიანკარი, ჭედლიანკარი...**

**კარ**-ფუძიანი ტოპონიმები ისტორიულ სამხრეთ საქართველოში ტაოს კუთვნილებათ.

ბინათი სოფელია კლარჯეთისა და შავშეთის მიჯნაზე. ბუნებრივია, დაისვას კითხვა, ბინათი კლარჯული სოფელია თუ ტაოური? ტოპონიმთა წარმოების წესით, ბინათი ტაოს უნდა მივაკუთვნოთ, თუმცა კვლევა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს: ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ლინგვისტური მასალები მოგვცემს საშუალებას გადაჭრით გავცეთ პასუხი დასმულ კითხვას.

საინტერესოა **კარ**- ფუძის მნიშვნელობა ქართველურ ენებში:

**მეგრული:** კარი — კარი: შესასვლელი, სახლი უფლისა, ნიში. კარი (სასახლისა), კარავი (მწყემსისა), კომპოზიტში მცირე დასახლებასაც ნიშნავს (**ჩემნაშკარი — ჩემინავას კარი**). **კარ**-ი გვხვდება ასევე: კარ-აკანი — **კარ-მიდამო**, **კარ-ალაგე** - კარ-მიდამო...(ალ. ქობალია). მოყვანილ განმარტებაში ზოგი რამ დაზუსტებას მოითხოვს, კერძოდ, მეორე ნაწილი, რომ კარი „მცირე დასახლებასაც ნიშნავს (ჩემნაშკარი — ჩემინავას კარი)". ვფიქრობთ, უფრო ზუსტია **კარ**'ის იოსებ ყიფშიძისეული განსაზღვრება: **კარი — дверь, двор, усадьба**.

კარ-ის მნიშვნელობა კარგად ჩანს **საკარმიდამოში**.

გასათვალისწინებელია, რომ ძველ ქართულში **ეზოს** ერთ-ერთი მნიშვნელობაა **კარი** (ი. აბულაძე).

**კარი** ტოპონიმებში სწორედ **ეზოს**, **ეზო-კარის** მნიშვნელობით იხმარება. იგივე ფუძე (კარ) უნდა იყოს კალოშიც. აჭარულში **კალო** ეზოსაც ნიშნავს (კალ:კარ?).

ნათია ფონიავა (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

## ნინა || ნენა „ენა“ ლექსება მეგრულ-ლაზურ იდიომებში

მეგრულ-ლაზურში **ნინა || ნენა** ლექსემებს უდასტურდება რამდენიმე მნიშვნელობა: „ენა (ანატ.); სიტყვა; ენა, მეტყველება; ხმა“. საანალიზო მეგრულ-ლაზური ლექსიკური ერთეულები საერთო-ქართველურია და დაკავშირებულია ქართ. **ენა** და სვან. **ნინ** ფუძეებთან.

ცნობილია, რომ სომატიზმებს ამა თუ ენის იდიომთა შექმნაში განსაკუთრებული როლი აკისრია. ეს ითქმის მეგრულ-ლაზურ **ნინა || ნენა** ლექსემებზეც. ისინი საკმაოდ გავრცელებულია იდიომების საკვანძო სიტყვებად და გადმოსცემენ სხვადასხვა მნიშვნელობას. წარმოვადგენთ რამდენიმე მათგანს:

ენაგრძელი, ჭორიკანა: მეგრ. **ნინა მიდულირი** (ზედმიწ. „ენა-წასული“), ლაზ. **ნენა გუნძე** (ზედმიწ. „ენაგრძელი“). ითქმის უმეტესად ქალებზე.

საოცარი, საკვირველი: მეგრ. **ნინათ ურაგადუ**, ლაზ. **ნენათენ უთქუმუ** „საოცარი და საკვირველი ვინმე; უჩვეულო ამბავი“ (ზედმიწ. „ენით უთქმელი“).

გაჩუმება: მეგრ. **ნინაშა კიბირიშ გენჭირა** (ზედმიწ. „ენაზე კბილის დაჭერა“), ლაზ. **ნენას კიბი(რ)ი გედვალუ** (ზედმიწ. „ენაზე კბილის დაღება“) „ენაზე მომდგარი სიტყვის შებრუნება, არ გათქმა რაიმესი“.

გახსენება: მეგრ. **ნინაშა მორინა** (ზედმიწ. „ენაზე მოდგომა“), ლაზ. **ნენაზ გედვალუ** (ზედმიწ. „ენაზე ღება“).

ლაპარაკის შემცირება: მეგრ. **ნინაშ დაკუნტორება** (ზედმიწ. „ენის დამოკლება“), ლაზ. **ნენა მოზდიმუ** (ზედმიწ. „ენის მოხურვა“).

ზედმეტი ლაპარაკი: მეგრ. **ნინაშ დაგინძორება**, ლაზ. **ნენა ოგინძანუ** (ზედმიწ. „ენის დაგრძელება“).

შეპასუხება: მეგრ. **ნინაშ დორთინაფა**, ლაზ. **ნენა გოქთიმუ** „პასუხის გაცემა, გამოხმაურება“ (ზედმიწ. „ენის დაბრუნება“).

სიტყვის გაწყვეტინება: მეგრ. **ნინაში მოჭკირუა** (ზედმიწ. „ენის მოჭრა“), ლაზ. **ნენა მეკვათუ** (ზედმიწ. „ენის მოკვეთა, მო-

ჭრა“) „მოსწრებული ლაპარაკი, სიტყვის მოჭრა; საუბრის შეწყვეტი-  
ნება“.

ენატკბილი: მეგრ. **მოთოფურელი ნინამი** (ზედმიწ. მოთაფ-  
ლულ ენიანი“), ლაზ. **ლოყა ნენონი** (ზედმიწ. „ტკბილ ენიანი“).

ენის ადგმა: მეგრ. **ნინაშ ედგუმა** (ზედმიწ. „ენის ადგმა“), ლაზ.  
**ნენაშა მოხთიმუ** (ზედმიწ. ენაზე მოსვლა“) „ლაპარაკის დაწყება“.

საანალიზო იდიომებში გვხვდება სინონიმებიც: მეგრ. **ნინაში  
ტკვეჩაფი** (ზედმიწ. „ენის ცემა“) || **ნინაშ თერხაფი** (ზედმიწ. „ენის  
ხეტიალი“) „ლაქლაქი“. ლაზ. **ნენა ოტკიალუ** (ზედმიწ. ენაყრანტა-  
ლა“) || **ნენა ტარტალა** (ზედმიწ. ენატარტარა“) „ყბედი“.

იდიომებში გვაქვს ომონიმის შემთხვევებიც: ლაზ. **ნენა დოდ-  
ვალუ** 1. „გაჩუმება“. 2. „სიტყვის (პირობის) მიცემა“.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლაზურში დამკვიდრებულია თურ-  
ქული იდიომების კალკები, რაც მეგრულისგან განსხვავებულ სურათს  
გვიჩვენებს: **ნენა ბუტკა** (თურქ. **japrak dilli**) „გარემოების შესაბამისად,  
ნათქვამის შემცვლელი პირი“ (ზედმიწ. „ფოთლის ენა“).

## მეჭმეთ ალი ქესქინი (ბათუმის უნივერსიტეტი)

### ხატილას ხეობის ტოპონიმები და კულტურული მემკვიდრე- ბის საკითხები

ხატილას ხეობა ართვინთან ახლოს, ჭოროხის მარცხენა ნაპირ-  
ზე მდებარეობს. ხეობის სიგრძე 50 კილომეტრზე მეტია. სწორედ ამ  
ხეობასთან მთავრდება ქართული ენის გავრცელების არეალი თანა-  
მედროვე ლივანაში. ხატილას (დღეს **Taşlica**) მოსახლეობა ქართუ-  
ლად ვეღარ ლაპარაკობს, თუმცა ხსოვნა ამ ენაზე მოლაპარაკე წი-  
ნაპრების შესახებ აქა-იქ შემორჩენილია.

ხეობა მთელ ხეობაში მიმოფანტული პატარ-პატარა დასახლე-  
ბებისგან, ანუ მეჭელეებისგან (უბნებისაგან) შედგება. ხეობაში ჩაგვა-  
წერინეს 19 უბნის სახელი: 1. ჭიტიმზარა, 2. ხაჯვანი, 3. ითლიეთი,  
4. მეიდანო, 5. ჯიხიეთი, 6. მოლაზი, 7. მუხლანა, 8. ლელვიეთი,

9. ნატანგრევი, 10. შართევი, 11. ბაშხატილა, 12. ხანჯივეთი, 13. ვეხნათი, 14. მოლასი, 15. ნაქერავი, 16. ნასოფლავი, 17. კვატი, 18. დავითეთი, 19. ხანძართი.

უბნების ეს ჩამონათვალიც ცხადყოფს, რომ ქართული ენისა და ძველი ქართველების ხსოვნა ხატილაში უპირველესად სწორედ ტოპონიმებს შემოუნახავს. დასახელებულის გარდა, მრავლად წააწყდები სათიბისა თუ საძოვრის, მინდვრის თუ გორაკის, ყანისა თუ ბაზჩის, ღელისა თუ ჭალის ქართული წარმომავლობის სახელებს: ხევი, დიდყანითავი (// დიდღანითავი), სამზიარი, მიკრილი, წყარო, ციფრანა, დიდვაკე, ჭალა, ვაკე, ნაკერავი, ნაგორავი, კერკეტა და მრავალი სხვა.

ხატილელებმა, როგორც აღვნიშნეთ, ქართული ენა აღარ იციან, თუმცა, მათ მეხსიერებას თაობათა ისტორიებიც შემოუნახავს და დღესაც შეიძლება ნახო არაერთი მოხუცი, რომელიც იტყვის, რომ მისი ბაბუა ქართულად ლაპარაკობდა. მეტიც, ზოგიერთი ხატილელის თურქულ მეტყველებაში შეიძლება ქართული სიტყვებიც გაიგონო.

ძველი ისტორიები დღემდე აკავშირებს წარსულთან ხეობაში დარჩენილ ხატილელთა უფროს თაობას. რაც შეეხება მატერიალური კულტურის ძეგლებს, უნდა აღინიშნოს, რომ ხანძართში (// ხანზართში) დასტურდება ნაეკლესიარი, რომელიც აქაურთათვის ღირებულებას აღარ წარმოადგენს და ხატილელების ისტორიულ მეხსიერებაშიც მეტად მწირი ხსოვნა შემორჩენილა იმ წინაპრების შესახებ, ვისაც ციხეები თუ ეკლესიები უშენებია.

საინტერესოა, რომ თურქეთის მარმარილოს ზღვის რეგიონში, საქარიას პროვინციაში ხატილელ მუჰაჯირთა შთამომავლების რამდენიმე სოფელია. ამ სოფლებში უფროსი თაობა დღემდე ლაპარაკობს ქართულ ენაზე.

## პირველი თურმეობითის წარმოების საკითხები ზანური ენის მეგრულ დიალექტში

1. ქართულში ფორმაწარმოების საერთო სისტემიდან ამოვარდნილია მესამე სერიის ნაკვთა წარმოება. ვერ ვიტყვი, რომ აქ საერთოდ არ არის დაცული საწარმოებელი ფუძის პრინციპი, თუმცა ისეთი სიმწყობრე და თანამიმდევრულობა არ შეინიშნება, როგორც გვაქვს პირველ და მეორე სერიაში; თურმეობითის ჯგუფს ყოველთვის **არ მოეპოვება საერთო ფუძე**, ამოსავლად რომ გვქონდეს წარმოებისას (აწმყოს ჯგუფი აწმყოს ფუძეზეა დამყარებული, მეორე სერია — აორისტის ფუძეზე).

2. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ მეგრული ზმნის **თურმეობითი პირველი იყენებს წვეტილის ფუძეს** (ქაჯაია, 2001, 65, დანელია, 2006, 159, კარტოზია, გერსამია, 245...).

ნამდვილად ასეა ეს ერთი რიგის ფორმებში, გარდამავალი ზმნების ერთ ნაწილში: ხანტუნს „ხატავს“ — დოხანტუ „დახატა“ — დუხანტუ „დაუხატავს“... ამ შემთხვევაში მესამე სერიის ფორმა ათემატურია, ისევე როგორც მეორე სერიისა, რაც მათ ფორმობრივ კავშირზე მიუთითებს.

მაგრამ ყოველთვის როდია ამოსავალი აორისტი. ხშირად ამოსავალია **აწმყო**: დგუნს „დგამს“ — დუდგუმუ, შუნს „სვამს“ — გეუშუმუ... ორზანს „ავზნებს“ — დურზამუ... ოგანს „აგებს“ — დუგაფუ... ორგუანს — დურგუაფუ...

იშვიათად შესაძლოა ამოსავალი იყოს **მასდარის** ფუძე: თქუანს „იტყვის“ — უთქუალუ; შდრ.: მასდ.: თქუალა...

შეიძლება ითქვას, რომ მეგრულშიც **უმეტესად აწმყოს** და არა **აორისტის ფუძეს ემყარება გარდამავალი ზმნის პირველი თურმეობითის ფორმა, რომელსაც ასეთი სტრუქტურა აქვს**:

1. (Z)-მ-ი-R<sub>1</sub>-უ-(6), გ-ი-R<sub>1</sub>-უ-(6), უ-R<sub>1</sub>-უ-(6) — სადაც (Z) ზმნისწინია, **R<sub>1</sub> - პირველი სერიის თემა** (მ-ი-გორაფ-უ-(6), გ-ი-გორაფ-უ-(6), უ-გორაფ-უ-(6))

2. (Z)-მ-ი-ღ<sub>2</sub>-უ-(6), გ-ი-R<sub>2</sub>-უ-(6), უ-R<sub>2</sub>-უ-(6) — სადაც (Z)

ზმნისწინია, **R<sub>2</sub> მეორე სერიის თემა** (მ-ხაჩქ-უ-(6), გ-ი-ხაჩქ-უ-(6), უ-ხაჩქ-უ-(6));

3. (Z<sub>1</sub>)-მ-ი-ღვ-უ-(6), გ-ი-R<sub>3</sub>-უ-(6), უ-R<sub>3</sub>-უ-(6) — სადაც Z<sub>1</sub> მტკიცებითი ნაწილაკია, ფუნქციით ზმნისწინის ბადალი, ღვ არის **მასდარი** (მ-ი-Fიდირ-უ-(6), გ-ი-Fიდირ-უ-(6), უ-Fიდირ-უ-(6)).

3. **აწყოზეა (ან მყოფადზე)** დამყარებული **ორპირიანი გარდაუვალი ზმნების პირველი თურმეობითი: ესურ-ებ-უ-(6)** „ეს-ტუმრება“— **ესურ-უ** „ესტუმრა“— **სურ-ებ-უ-(6)** „სტუმრებია“; **ეწუნ-ებ-უ-(6)** „უწუნდება“— **შეწუნ-უ** „შეუწუნდა“— **შეწუნ-ებ-უ-(6)** „შესწუნებია“...

გარდაუვალი რელატიური ზმნების პირველი თურმეობითის ყალიბი მარტივია და ის ასე გამოიყურება:

I პირი: Z-R-უ-(6)

II პირი: Z-R-უ-(6)

III პირი: Z-R-უ-(6), სადაც **Z** ზმნისწინია, ხოლო **R** — თემის-ნიშნისანი საყრდენი მორფემა.

4. აბსოლუტური ზმნის პირველი თურმეობითის წარმოების მხრივ მეგრული და ქართული საერთო სტრუქტურულ მოდელებს ავლენენ: დო-ჭარ-ელ-ე იმავე კომპონენტებისგან შედგება, რისგანაც შედგება და-წერ-ილ-ა(რს), — **ორივეგან გამოიყოფა ზმნისწინი, ზმნური ძირი, მიმღეობის მაწარმოებელი, მეშველი ზმნა.**

ერთპირიან გარდაუვალ ზმნებს აქვთ თურმეობითი პირველის წარმოების ერთი წესი; **ამოსავალია მიმღეობის ფუძე.**

აბსოლუტური ზმნების პირველი თურმეობითის ყალიბი ასეთია:

I პირი: R<sub>M</sub>-ექ

II პირი: R<sub>M</sub>-ექ

III პირი: R<sub>M</sub>-ენ

R<sub>M</sub> - მიმღეობის ფუძეა, **-ენ** — **-ორენ** მეშველი ზმნის ნაშთი (პირველსა და მეორე პირში გვაქვს **-ექ** < ვორექ / ორექ).

## დიალექტური ლექსიკისათვის მ. ჩიტიშვილის პოეზიაში

ცნობილი ქართველი პოეტის მანანა ჩიტიშვილის შემოქმედება მრავალმხრივაა საინტერესო. უპირველეს ყოვლისა იგი ყურადღებას იქცევს თემატური მრავალფეროვნებითა და ენობრივი თვალსაზრისით. მ. ჩიტიშვილის პეოზიის ენობრივი თავისებურება პოეტის მშობლიური კუთხის, ახალგორის ქართლურისათვის დამახასიათებელი ფორმების გამოყენებაა, რაც განსაკუთრებულ ხიბლს სძენს მის ლექსებს. დიალექტურ ფონეტიკურ-გრამატიკულ ფორმებთან ერთად ყურადღებას იქცევს ლექსიკაც.

მ. ჩიტიშვილის ლექსებში მრავლად გვხვდება ქართლური დიალექტური ლექსიკა, რომელიც ცნობილია ქართლური დიალექტის სალექსიკონო მასალების მიხედვით: **უამურად, ნაგრილი, მოიაშრე, ჩამოფშხალული** და სხვ.

პოეტის კრებულებში გვხვდება ქართლური დიალექტური ლექსიკა, რომელიც განსხვავებული ფორმით დასტურდება ქართლური დიალექტის სალექსიკონო მასალებში: (მოყმე) **დაღურბლებული, მარმარებს, სცუდაბრალობ** და სხვ. აქვე წარმოდგენილია ქართლური დიალექტური ლექსიკა, რომელიც განსხვავებული მნიშვნელობებით გვხვდება ქართლური დიალექტის სალექსიკონო მასალებში: **ამოხეჩილი** (ტირილი), **უმსნელად, ქობა, მოხელვა** და სხვ.

მ. ჩიტიშვილის პოეზიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქართლური დიალექტური ლექსიკა, რომელიც უცნობია ქართლური დიალექტის სალექსიკონო მასალების მიხედვით: **ამოდ, გაბედითებით, ჩაემკვლელა, უბემქიმე** და სხვ.

ამრიგად, მ. ჩიტიშვილის პოეზიაში დიალექტური ლექსიკის გამოვლენა და შესწავლა, ერთი მხრივ, გაამდიდრებს ქართლური დიალექტის სალექსიკონო მასალებს და, მეორე მხრივ, მკითხველს მიაწვდის პოეტურ კრებულებში დადასტურებულ დიალექტურ სიტყვათა ზუსტ მნიშვნელობებს.

## მეგრულ-ლაზური წყარ-ი || წკარ-ი „წყალი“ ლექსემების შემცველი იდიომებისათვის

მეგრული წყარ-ი, ლაზური წკარ-ი || წკაი || წაი „წყალი“ აქტიური იდიომებში მონაწილეობის თვალსაზრისით. მოცემულ ლექსიკურ ერთეულთა შემცველი იდიომები გამოხატავენ სხვადასხვა შინაარსს:

**სიძლიერე.** გამოიყენება დალოცვისა და მადლიერების გამოსახტავად: მეგრ. წყარიში ძალა მერჩას ღორონთქ „ღმერთმა გაგაძლიეროს“, ზედმიწ. „ღმერთმა წყლის ძალა მოგცეს“, ლაზ. წკარისთერი იმორდი ზედმიწ. „წყალივით გადიდდი, გააიზარდე, შდრ. ქართ. ღმერთმა წყლის ძალა მოგცეს;

**უშიშვნელო, არასაყურადღებო:** მეგრ. წყარიში ოჟუნაფალი || ოლალარი ზედმიწ. „წყლისთვის გასატანებელი, არასაყურადღებო“. წყლის წასაღები“, ლაზ. წკარიქ ოდმალუ — ჰე კოჩი წყარიქ ილამს „ის კაცი არ არის ყურადღების ღირსი“, ზედმიწ. „ეს კაცი წყალმა მიაქვს“, შდრ. ქართ. წყალსაც წაუღია;

**რაიმე უშედეგო ფუჭი ხარჯი, შრომა:** მეგრ. წყარ(ი)შა გი-ნორღვაფა, ზედმიწ. „წყალში გადაყრა“, ლაზ. წკაიშა ობლუ, შდრ. ქართ. წყალში გადაყრა;

**უქმი, ფუჭი, უნაყოფო საქმიანობა:** მეგრ. წყარიშ კაკუა, ზედმიწ. „წყლის ნაყვა“. შდრ. ქართ. წყლის ნაყვა;

**მრავალმხრივი, უღვევი:** ლაზ. წკარი გზა, ზედმიწ. „წყლის გზა“; **კარგად ცოდნა:** მეგრ. წყარ(ი)ცალო უჩქუ „კარგად, სხაპას-ხუპით იცის“, შდრ. ქართ. წყალივით იცის;

**უტყუარი, სწორი, მართალი: წყარი ვეგთალე** (იშ) ნარაგადუს „მისი ნათქვამი უტყუარია, სწორია, მართალია“, ზედმიწ. „(მის) ნათქვამს წყალი არ გაუვა“, შდრ. ქართ. წყალი არ გაუვა.

**ძლიერი წყურვილი:** ლაზ. წკარი ადვენ „ძალიან სწყურია“, ზედმიწ. „წყალი მოადგა“.

გამოიყოფა სხვა სემანტიკური ჯგუფებიც.

საანალიზო იდიომები ყურადღებას იქცევს სტრუქტურული თვალსაზრითაც.



## ვაჟა შენგელია, ცირა ჯანჯღავა (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### მეგრული ხე „ხელი“ კომპოზიტებსა და ფრაზეოლოგიზმებში

მეგრულ-ლაზურ ხე „ხელი“ სიტყვას შესატყვისები ეძებნება სხვა ქართველურ ენებში (ამოსავალ ფუძედ **ველ-** მიიჩნევა). ხე სშირად გამოიყენება მეგრულ კომპოზიტებსა და ფრაზეოლოგიზმებში.

ეს სიტყვა, ჩვეულებრივ, კომპოზიტის პირველი კომპონენტია, მეორე კომპონენტად კი არსებითი და ზედსართავი სახელები გვხვდება; კომპოზიტის შემადგენლობაში ხე ან ფუძის სახით წარმოგვიდგება, ან — ნათესაობითი ბრუნვის ფორმით.

ხე ფუძის სახითაა წარმოდგენილი: **ხესქერი** „ხელბადე“, **ხერ-შვინი** „დამცინავი სტვენა (ხელის გამოყენებით) და ყიყინა“ (ზედმიწ. „ხელსტვენა“), **ხეკჳდი** „ხელსაწყო“ (ზედმიწ. „ხელჭურჭელი“), **ხეშჳ-გური** „ხელისგული“ (ზედმიწ. „ხელშუაგული“), **ხემანჯღვერუ** „წინამძღოლი, ხელმძღვანელი“ (ზედმიწ. „ხელმძღოლი“), **ხენწყილი** „მოგლილი“ (ზედმიწ. „ხელშეწყობილი“), ხეუბონუ „მდაბიო; ხელდაუბანელი“, **ხეუბადო** „ხელმრუდი“ (ზედმიწ. „ხელბოროტი“), **ხეწყარი** „ხელზე გადასავლები წყალი“ (ზედმიწ. „ხელწყალი“) და სხვ.

პირველი კომპონენტია ხე სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა: **ხეშქოსალი** (<\*ხეშქოსალი) „ხელსახოცი“, **ხეშობონუ** || **ხეშობონი** „ხელსაბანი“, **ხეშობი** „ხელის ბიჭი“, **ხეშმანწყუ** || **ხემანწყუ** „ხელშემწყობი“, **ხეშქირა** „ხელფასი“ (ზედმიწ. „ხელის ქირა“), **ხეშკეტი** „ხელკეტი“, **ხეშსქიბუ** „ხელის წისქვილი“ (ზედმიწ. „ხელის დოლაბი“) და სხვ.

ყურადღებას იქცევს ორი კომპოზიტი:

1. **ხეშფორი** „ერთი ხელის დადება“ (ოთხი თითის დადებაზე იტყვიან)... **ხეშ** (ნათ. ბრ.) + ზმნური ფუძე **ფორ-** („დაფარვა“);

2. **ხემიოლუს** „ხელმისაწვდომ, თვალსაჩინო ადგილას“ (ზედმიწ. „ხელმისასვლელს“).

იშვიათად ხე კომპოზიტის მეორე კომპონენტადაც შეიძლება მოგვევლინოს : **ხვალეხე** „მარტოხელა“ (ზედმიწ. „მარტოხელი“), **წყან-**

**ტილხე „ხელმარჯვე“ (ზედმიწ. „კობტა, დახვეწილი ხელი“) || ხეწკან-ტილი...**

**ხე** მრავალი ფრაზეოლოგიზმის შემადგენლობაში დასტურდება; ისინი წარმოადგენენ ორ-, სამ- და ოთხკომპონენტის შესიტყვებებს.

ორ კომპონენტისანი ფრაზეოლოგიზმები

**ხეშ გეჭკურუა** „გულზე ხელის დაკრეფა“

**ხეგორჩხილო რინა** „ხელმოცარულად ყოფნა“ (ზედმიწ. „ხელგარეცხილად ყოფნა“)

**ხეშა ქაშუდოხოდუ** „მტკიცედ დაჰპირდა“ (ზედმიწ. „ხელში ჩაუჭდა“)

**ხე გუთირუ** „ხელი ჩამოართვა“ (ზედმიწ. „ხელი გაუცვალა“)

**ხეაჩილათორო დუდვალ** „უადგილო ადგილას დაუდვია“ (ზედმიწ. „ხელაცდენილად დაუდვია“)

და სხვ.

სამ კომპონენტისანი ფრაზეოლოგიზმები

**ხეშა სანთელი ქაშაჭუ** „გააცურა, მშრალზე დატოვა“ (ზედმიწ. „ხელში სანთელი ჩაუწვა“)

**შხვაშ ხეს უჯინე** „სხვის იმედადაა, სხვის ხელს შეჰყურებს“

**პიჯშა ხე ვეიაფორე** „გაჩუმება, თავის შეკავება არ შეუძლია“ (ზედმიწ. „პირს ხელს ვერ აფარებს“)

**ართ ხეშ გედვალა** „ძალიან პატარა, მცირე“ (ზედმიწ. „ერთი ხელის დადება“)

და სხვ.

ოთხ კომპონენტისანი ფრაზეოლოგიზმები

**ხე დო დუს გულუანს** „ლოცავს, ძალიან ევერება“ (ზედმიწ. „ხელს და თავს შემოავლებს“)

**ნწარე ხეშ მინჯე რე** „ძლიერი დარტყმის შემძლე“ (ზედმიწ. „მწარე ხელის პატრონია“)

**ხე დო კუჩხი დოციმილი** „დავრდომილი, დავარდნილი“ (ზედმიწ. „ხელ და ფეხ დავარდნილი“)

და სხვ.

იშვიათია ხუთკომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმი: **ხე და ხე შქას ჩურცხინუ** „შეუმჩნევლად, უცებ წაართვა, მოჰპარა“ (ზედმიწ. „ხელ და ხელ შორის ჩამოაცილა“).

ასეთია მეგრული **ხე** სიტყვის კომპოზიტებსა და ფრაზეოლოგიზმებში გამოყენების სქემატური სურათი. კომპონენტური და სემანტიკური ანალიზი უფრო დაწვრილებით წარმოდგენილი იქნება მოხსენებაში.

**ი ზ ა ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე , ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი ,  
რ უ ს უ დ ა ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი , ნ ი ნ ო ნ ა კ ა ნ ი**  
(ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **„ზემოსვანური მორფემული ლექსიკონის“ შექმნასთან დაკავშირებული პრობლემები**

ფონოლოგიურ-გრამატიკულ-სემანტიკური თვალსაზრისით უმდიდრესი არქაული ენის — სვანურის ლექსიკით დაინტერესებას თითქმის სამი საუკუნის ისტორია აქვს, რომლის სათავეებთან თვალსაჩინო ქართველი თუ უცხოელი მეცნიერები, მოგზაურები და დიპლომატიურ კორპუსთა წარმომადგენლები იდგნენ...

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა თუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა არაერთი თაობის ნახევარსაუკუნოვანი მუხლჩაუხრელი შრომის წყალობით შეიქმნა ვარლამ თოფურას და მაქსიმე ქალდანის ფუნდამენტური „სვანური ლექსიკონი“ (2000 წ.), რომლის პუბლიკაციის შემდგომ დღის წესრიგში დადგა ე. წ. გარდამავალ დიალექტთა გამოწვლილვით შესწავლის საკითხი. თავისთავად ცხადია, უპირველესი ყურადღება მიექცა ქვემოსვანურის ჩოლურულ მეტყველებას, რომლის შესახებ გარკვეული წინასწარი ვარაუდები არაერთხელ იყო გამოთქმული სპეციალურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აკადემიკოსების: ნიკო მარის, აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურას მიერ, ხოლო ცნობი-

ლი ეთნოლოგისა და საზოგადო მოღვაწის — უშგულებელი ბესარიონ ნიჟარაძის შრომების გაცნობის შემდეგ ჩვენ დავინტერესდით ზემოსვანური გარდამავალი მეტყველების — კოდორის ხეობის ზემო წელში საუტყუნენახევრის წინ ჩასახლებულ, ხშირად ერთ ოჯახში მცხოვრებ ბალსზემოელ და ბალსქვემოელ სვანთა ენის სპეციფიკის შესწავლით და 2010 წელს გამოვაქვეყნეთ რეასგვერდიანი, საკმაოდ დიდი ფორმატის მქონე წიგნი „კოდორული ქრონიკები“, რომელიც განსაკუთრებით თანამედროვე პოლიტიკური ვითარებისთვისაა მონუმენტური — ამ პუბლიკაციით ჩვენ ფაქტობრივად გადავარჩინეთ ისტორიული სამკვიდროდან 2008 წელს ცნობილი სამხედრო ბატალიების შემდგომ გამოძევებული მოსახლეობის მეტყველება.

აფხაზური, მეგრული და რუსული ენების გარემოცვაში ფუნქციონირებული სვანური ძალზე საინტერესო აღმოჩნდა როგორც დიგლოსიის, ისე ბილინგვიზმის თვალსაზრისით, რამაც ასახვა ჰპოვა ჩვენს კოლექტიურ ნაშრომში — მდინარე კოდორის ზემო წელის — ე. წ. „დალის სვანეთის“ მოსახლეობის ენის სპეციფიკისადმი მიძღვნილ პირველ და ჯერჯერობით უკანასკნელ სამეცნიერო პუბლიკაციაში.

48 ფონემის შემცველი ენა, ბუნებრივია, გარკვეულ კითხვებს, უპირველეს ყოვლისა, ბადებს ე. წ. შეჯვარებულ მეტყველებაში, სადაც წინა პლანზე წამოიწია უამრავ ტექსტში შემავალი ლექსიკის მორფემებად სეგმენტაციის საკითხმა, რამაც მნიშვნელოვანი სირთულეების წინაშე დაგვაყენა; ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვექმნა „ზემოსვანური მორფემული ლექსიკონი“, რომლის გამოსაცემად მომზადება დააფინანსა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსთან არსებულმა ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა.

### **უკვე ერთი წელია ვმუშაობთ ამ მიმართულებით.**

თავის დროზე ქართველურ ენათა ლექსიკის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს შესანიშნავმა გერმანელმა მეცნიერებამ. მარტო გერჰარდტ დეეტერსის, კარლ ჰორსტ შმიდტის, ვინფრიდ ბოედერისა და ჰაინც ფენრიხის დასახელებაც კი სრულიად საკმარისი იქნებოდა ამ მხრივ. ამჟამადაც ვაგრძელებთ დიდებულ კომპარატივისტთა ტრადიციებს და ფრანკფურტის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს უნივერსიტეტის ემპირიული ლინგვისტიკის ინსტიტუტის დირექტორთან — პროფესორ იოსტ გიპერტთან ერთად შპოობოხს-

ისა თუ თოოლბოხ-ის კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით ვამუშავებთ ყველა დღემდე ცნობილ ზემოსვანურ პუბლიკაციას (კარგი იქნება, თუ ქართველოლოგთა სხვა ჯგუფი ამ თვალსაზრისით, ჩოლურული მეტყველების შესწავლის პროცესში შექმნის „ქვემოსვანურ მორფემულ ლექსიკონს“).

მთელი ზემოსვანური პროზაული ტექსტები ჩვენი დახმარებით იოსტ გიპერტმა წარმოადგინა ინდექსის სახით, რომელსაც ვუმატებთ კოდორულ მასალებს არნოდლ ჩიქობავას სახელობის ენეთმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი კომპიუტერისტის ლევან ვაშაკიძის ჩართვის წყალობით ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში. გარდა ამისა, ვარლამ თოფურიას „სვანური ზმნიდან“ (რომელიც 1931 წლის შემდეგ ქართველ თუ უცხოელ ქართველოლოგთა სამაგიდო წიგნია დღემდე) **ქეთევან მარგიანმა-სუბარმა ამოწერა ყველა ზმნის ყველა მწკრივის სამივე პირისა და ორივე რიცხვის გრამატიკული ფორმები თუ ნაირნაირი ფონეტიკური ვარიანტები** (მათ რიცხვს რა დალევს უმლაუტის, ხმოვანთა სიგრძისა თუ დანარჩენ ქართველურ ენებთან შედარებით უფრო მკვეთრად გამოხატული რედუქციის მქონე ენაში!), რომლებიც ჩვენი მომავალი ლექსიკონის ანბანთრიგში ჩართო იოსტ გიპერტმა, ანუ შეასრულა ურთულესი სამეცნიერო და კომპიუტერული სამუშაოები.

როგორც იქნა, უამრავ პრობლემას თავი დავაღწიეთ და ახლა კიდევ ახალმა სირთულემ იჩინა თავი: აბრევიატურასთან „იხ.“ (იხილე), თავისთავად ცხადია, როგორც ეს ნებისმიერი ლექსიკონისთვისაა დამახასიათებელი, მივუთითებთ ამოსავალ ძირითად ფორმებს, ანუ მთავარ სიტყვა-სტატიებს, თუმცა ზოგჯერ ეს ამოსავალი მონაცემი შესაძლოა ნაკლებად იყოს გავრცელებული ერთ რომელიმე დიალექტში, მაგრამ ახასიათებდეს სხვა დიალექტს. ვთქვათ, როგორი ფიქსირება სჯობს: იღრალ <\* ი-ღერ-ლ-‘ — მღეროდ (ძვ. ’. „**მღერ-დ-“**) დ’ **იღრალდ** <\*ი-ღერ-ლ-‘-დ-‘ იხ. **იღრალ** თუ **იღრალ** იხ. **იღრალდ**? უკანასკნელი ტიპის ნამყო უსრული დღეს ძალზე გავრცელებულია სვანური ენის ბალსზემოურ კილოში.

მსგავსი საკითხები დგას: უმლაუტთან, დისიმილაციასთან, სონანტებთან, ბრუნება-უღვლილების, რიცხვისა და სხვა მაწარმოებლებთან, აგრეთვე „მცა“ თუ სხვათა სიტყვის გადმომცემ ნაწილაკებთან დაკავშირებით.

ძველ სვანურ სიმღერებში ხშირად დაცულია ამოსავალი ფორმები — მივუთითოთ თუ არა ისინი „ზემოსვანურ მორფემულ ლექსიკონში“? ცნობილია, რომ ხალხური პოეზიის ენაში ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა ტექსტის ჩაწერის გეოგრაფიულ-ქრონოლოგიური სივრცე და სავარაუდო დიალექტური სიტუაცია.

ვინ იცის, კიდევ რამდენ დაბრკოლებას წავაწყდებით მომავალი ორი წლის მანძილზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ჩვენ უნდა შევქმნათ პირველი მორფემული ლექსიკონი სვანური ენის მასალების მიხედვით, დიახ, სწორედ ჩვენ! — აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურისა და გივი მაჭავარიანის მოწაფეებმა.

იზა ჩანტლაძე (ენათმეცნიერების ინსტიტუტი),  
ნარგიზ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი),  
აკაკი ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი)

### **რამდენიმე დაავადების აღმნიშვნელი ერთი ტერმინის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი ქართულ ნატურმედიცინაში**

(ისტორიული და თანამედროვე დასავლეთი საქართველო)

სამკურნალო ფლორა-ფაუნისა თუ დაავადებათა ნომინაციებში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც აღსანიშნავა და აღმნიშვნელ სისტემებში ჩვეულებრივი მიმართებანი არ დასტურდება, ანუ რამდენიმე მცენარე, ცხოველი ან დაავადება გამოიხატება ერთი და იმავე ლექსემით და პირიქით — რამდენიმე ტერმინით აღინიშნება ერთი და იგივე ობიექტი. ცხადია, ეს სიტუაცია არც მხოლოდ საქართველოს ეხება და არც მარტოდენ ქართულ ენას.

ამჯერად ჩვენ დავინტერესდით ტერმინით „**მჯდომი**“, რომელიც დაავადების სახელწოდებად გვხვდება როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ძველ ტექსტებსა თუ ლექსიკონებში, აგრეთვე, თანამედროვე დიალექტებში.

ბიბლიის ერთ-ერთ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „ძუძუ-

სა ჩემსა **მჯდომი** მაზის, რომელსა ჰრქან კირჩხიბი“, ხოლო გიორგი მერჩულეს ცნობილი თხზულებიდან (951 წ.) აშკარაა, რომ „სატლით“ დაავადებულ ერთ-ერთ ბერს გრიგოლ ხანძთელმა გარკვეული ქირურგიული მანიპულაცია ჩაუტარა (მ. შენგელია) — „ნეტარმან გრიგოლ ძლიერად სცა ხელითა თ'სთა ადგილსა მას, სადაც იყო **მჯდომი** იგი“.

ორივე ილუსტრაციიდან ჩანს, რომ „**მჯდომი**“ რაღაც „მუწუჟკია“ ან „სიმსივნე“. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ წარმოდგენილი განმარტების (1716-1725 წ. წ.) მიხედვით, ჩვენი საანალიზო ტერმინი „შიგანში დიდი მუწუჟკია“. იგივე სიტუაციაა დღეს ქართული ენის ფშაურ დიალექტშიც (თ. გოგოლაური).

დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ (1887 წ.) ერთმანეთისგანაა დიფერენცირებული ფაქტობრივად ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმა — ცხადია, განმარტებებიც განსხვავებულია:

- **მ-ჯდ-ომ-ი, მ-ჯდ-ომ-არ-ება** („დიდი მუწუჟი შინაგან, მარგული — **нарывъ**“);
- **მ-ჯდ-ომ-ი** („ტყვირპის დაკვრა — **заваль; засорение желудка**“).

ნიკო ჩუბინაშვილის „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ (1812-1832 წ. წ.), რომელშიც ალექსანდრე პუშკინის მოღვაწეობამდელი რუსულია წარმოდგენილი, **Завал** ასეა ახსნილი: „მეგუბება, შეყენება სისხლისა მცემელს ძარღვებსა შინა, ანუ ნაზლისა (= ნახველისა) გულზედ მოწოლა“, ხოლო **Засорение желудка**, მეცნიერების არაერთ დარგში ღრმად განსწავლული ლექსიკოგრაფის აზრით, „ნაწყენობა“ (ანუ ლებინება, კუჭის აშლა), მაგრამ ნ. ჩუბინაშვილს რატომღაც „გულზედ ნაწყენობა“ აქვს ქართულ თარგმანში (შდრ. „გულის არევა“).

მაშასადამე, ძველ საქართველოში აშკარად გამოიკვეთა ლექსემა **მჯდომი** ოთხი დავადების აღმნიშვნელად; 1. **მუწუჟი**; 2. **სიმსივნე, კიბო**; 3. **გულის დაავადება**; 4. **პირღებინება, კუჭის აშლა**.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშივე“ წარმოდგენილი „მჯდომის“ სინონიმები **კურთხეული** (კბლ) და **სატალი** („ძულად ჰრქან“-ო, აღნიშნულია თხზულებაში). პირველი მათგანი თითქმის ყველა ძველ

ქართულ ტექსტში (სადაც კი ხელი მიგვიწვდა) გამოიყენება „და-ლოცვილის, განდიდებულის, შევედრებულის, საეკლესიო წესების შესრულებით დამტკიცებულის, პატივცემულისა თუ ნებადართულის“ მნიშვნელობით. ხევსურულ დიალექტში **დაკურთხეული** „მიცვალებულისთვის შეწირული რამაა“ (შდრ. **საკურთხი** მთელ საქართველოში), მაგრამ რომ ეს ტერმინი დაავადებაზეც მიუთითებდა, ამას გვიდასტურებს სვანური **ი-კურთხ-ან-იელ** („იკლავება, ფართხალებს, ასავსავებს ხელებს“) და მეგრული **ი-კვართხ-ალ-ურ<sup>ნ</sup>** („ფართხალებს, იკრუნჩხება“) ზმნები. სვანურშივეა **ი-კინთხ-ან-აღ** („სიკვდილის პირასაა“) ლექსემაც, რომელიც არა მხოლოდ სემანტიკურად, არამედ ფონეტიკურადაც შეიძლება დავუკავშიროთ **ი-კურთხ-ან-იელ**-ს (სონორის ინლაუტში დაკარგვა საკომპენსაციო სიგრძის შედეგით, უმლაუტიზებული -**ჟი**- კომპლექსისგან დელაბიალიზაციით -**ი**- ხმოვნის მიღება და -**აღ**-**იელ**- სუფიქსთა მონაცვლეობა ჩვეულებრივი მოვლენაა სვანურში).

აჭარულ დიალექტში (შესაძლოა ტაო-კლარჯულ მეტყველებაშიც) **დაკურთხული** „ჯადოთი დაავადებულს“ ნიშნავს, მაგრამ მაღალმთიანი აჭარის ზოგიერთ სოფელში ამ სიტყვის ნაცვლად **და-კოჭ-გ-ილ-ი** იხმარება, რომელიც ხევსურეთში „ეშმაკისაგან სულწამაყრილი ქალია“ (ა. შანიძე), ანუ „შეპყრობილია — ეშმაკეული სნეულებითაა დაავადებული“ (ნ. მინდაძე), ე. ი. სულით ავადმყოფია ან ეპილევსია აქვს; ამგვარ ავადმყოფებს (ჩვეულებრივ, ქალებს... მამაკაცებსაც, ოღონდ ძალზე იშვიათად!) ეგზორციზმის, ვედრების რიტუალები უტარდებოდათ ჯვარ-ხატებსა (მთაში) და ეკლესია-მონასტრებში (ბარში), რათა ეხსნათ ისინი ავი სულებისაგან.

საგულისხმოა, რომ **კურთხ/კულთხ-** ძირი სწორედ „შებორკილს, გათოკილს“ (**ღუ-კურ / ღთხ-ან**)<sup>ა</sup> ადნიშნავს სვანურში, ხოლო **ღი-კურთხ-ან-აღ** „ქალთა შებორკვის დღესასწაულის“ გამომხატველია. ეს სიტყვა, ოღონდ არაავადმყოფობის მნიშვნელობით დადასტურებულია ერთი ძველისძველი სვანური ხალხური სიმღერის ტექსტში (აზნაური არამ-ჩხარამ **იკულთხანი** — აზნაური რვა-ცხრას ბორკავს), რომელიც ჩაწერილია 1923 წელს მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერში.

მამასადამე, „კურთხეულის“ მრავალ მნიშვნელობათაგან „შე-



ვედრებული“ და „შებორკილი“ საფუძვლად დაედო სულიერად და ეპილეფსიით დაავადებულთა სემანტიკის გამოხატვას, მაგრამ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ისეთ კონტექსტშია წარმოდგენილი „კურთხეული“ (**ჯდომი**სა და **სატალი**ს გვერდით), რომ საფიქრებელია იგი „დიდ ჩირქოვან მუწუკს“ ნიშნავდეს.

მალამთიან აჭარაში **ჯდომი** დღეს მხოლოდ გულის დაავადებას აღნიშნავს — ავადმყოფს წოლით მდგომარეობაში ყოფნა არ შეუძლია და ამიტომაც დღე-ღამის უმეტეს ნაწილს სკამზე ან სავარძელში ატარებს — მაშასადამე, საანალიზო ტერმინი მოტივირებულია რეალური ვითარებით.

ისტორიულადაც ასეთი ვითარება რომ იყო, ამაზე მიუთითებს პროფესორ რ. სურმანიძის მიერ ქედის რაიონის სოფელ დანდალოში აღმოჩენილი „მცირე კარაბადინის“ (XVIII ს.) ტექსტი, სადაც „ჯდომის ხველის“ ტრადიციული მეთოდით მკურნალობის წესებია მითითებული (რ. სურმანიძე).

აქვე შეიძლება გავიხსენოთ მთელ საქართველოში ფართოდ გავრცელებული სინტაგმა **გულამოქდარი** („სუნთქვაშეკრული) ტირის“.

საგულისხმოა, რომ **მ'ჯდომი**ს სემანტიკის საპირისპირო ტერმინიც არსებობს ფშავ-ხევსურეთში, რომელიც ფსიქონერვული დაავადების აღმნიშვნელია. ესაა **მ-წოლ-ელ-ა** „მაჯლაჯუნა“ (ჩვეულებრივ, ახალმთვარეობის პერიოდში); „მაჯლაჯუნა დააწვებაო“ მაშინ ამბობენ, როცა ასეთი ავადმყოფი შემადრწუნებელ სიზმარს ნახავს, რის გამოც სული ეხუთება და სუნთქვა ეკვრის, ამ დროს მას ჰგონია, რომ ავი სული (უხილავი ძალა) ეჭიდება, რომელსაც მისი წაქცევა, დახრჩობა და გადავადება უნდა, ამიტომაც სიკვდილის შიში იპყრობს.

საქართველოში სახალხო მკურნალს ყოველთვის უდიდეს პატივს სცემდნენ, ამ მხრივ განსაკუთრებით დასტაქარს გამოარჩევდნენ ხოლმე — სვანეთში მას „მიწის ღმერთს“ უწოდებდნენ, სხვაგან კი — „ჯარაქიმს“, რაც ე. წ. აბრეშუმის გზით არაბეთიდან შემოსული „სააქიმო“ ლექსიკის ასახვა ჩანს.

თუ ნატურმედიცინას ძველი ავტორიტეტი დაუბრუნდება, მაშინ, თავისთავად ცხადია, სამედიცინო ტერმინოლოგიის კვლევის საქმე უფრო წინ წაიწეოს და ამდენი სიჭრელეც აღარ გვექნება.

ირინე ჩაჩანიძე (ქუთაისის უნივერსიტეტი)

## ეტიმოლოგიური დეფინიციები თედო სახოკიას თხზულებაში „მოგზაურობანი“

ქართველი მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი და ლექსიკოგრაფი თედო სახოკია იმ ქართველ მოგზაურთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის თხზულება „მოგზაურობანი“ (1896-1903) ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს წარმოადგენს საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის.

თხზულებაში, რომელშიც ავტორი ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს ასახავს, ვხვდებით საინტერესო და საგულისხმო ცნობებს გურიის, აჭარის, სამურზაყანოსა და აფხაზეთის ხალხის ადათ-წესების, რელიგიის, ენების, ეთნოგრაფიული ყოფის, ბუნების და სხვათა შესახებ.

ნაშრომში ჩართულია ვრცელი ისტორიული ექსკურსები, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ისტორიულ წარსულსა და მის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობაზე. თედო სახოკია უხვად იყენებს როგორც სხვის მიერ მონათხრობ ამბებს, ასევე უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებსა და ევროპაში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას საქართველოს კუთხეების და ქართული კულტურის შესახებ.

ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია საენათმეცნიერო ხასიათის ინფორმაცია. ნიშანდობლივია, რომ თხზულებაში ავტორი საქართველოს ქალაქების, სოფლების, მთებისა და ტბების სახელწოდებათა ეტიმოლოგიურ დეფინიციებს გვაწვდის, რაც, რასაკვირველია, უადრესად ფასეულ ინფორმაციას წარმოადგენს.

საილუსტრაციოდ გთავაზობთ **ოზურგეთის** სახელწოდების ეტიმოლოგიურ ახსნა - განმარტებას:

„ამბობენ, ოსმალის ჯარი ძველ დროში ოზურგეთამდე თუ მოატანდა, ამას იქით კი სიარული არ შეეძლო, რადგან გურულებს ამ ადგილას ზურგი ყოველთვის მაგრად ჰქონდათ, მტერი ვერას აკლებდაო. ამ ნაამბობის შემდეგ უფრო საფუძველი ეძლევა ამ ქალაქის მეგრულ სახელწოდებას. პრებიქსი **ო**, რომელიც ემატება სიტყვას თავში, უდრის ქართულ **სა**-ს, მაგალითად, მეგრული **ო-სიმიინდე** —

ქართული სა-სიბინდე, ო-შურეთი — სასულეთი (საიქიო) და სხვ. აგრეთვე ო-ზურგეთი იგივე საზურგეთია. ამ აზრისაა ოზურგეთის სახელწოდების შესახებ ისტორიკოსი მ. ჯანაშვილიც“.

**მალხაზ ჩოხარაძე, თამარ ჩოხარაძე**  
(ბათუმის უნივერსიტეტი)

### **ქართული ენა თანამედროვე თურქეთში**

ადმინისტრაციულად თურქეთის ტერიტორია დაყოფილია 81 პროვინციად (ილად). პროვინციები თავის მხრივ გაერთიანებულია 7 რეგიონში: რეგიონებად დაყოფა პირობითია, მხოლოდ ფიზიკურ გეოგრაფიას ეფუძნება და ადმინისტრაციული დატვირთვა არ გააჩნია. ყოველი პროვინცია დაყოფილია რაიონებად (ილჩეებად), თურქეთში სულ 923 რაიონია.

ქართველები სახლობენ შემდეგ პროვინციებში: ართვინი, ორდუ, ქოჯაელი, საქარია, ბურსა, ტრაპზონი, რიზე, სტამბოლი, ბალიქესირი, დუზჯე, სამსუნი, გირესუნი, თოქათი, ამასია, სინოპი, ბოლუ, ბილევჯიქი, იალოვა და ა.შ.

როცა ქართული ენის გეოგრაფიაზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის შიდა პროვინციებში უპირატესად მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანის დასაწყისში გახიზნულთა დასახლებებია. შიგადაშიგ წააწყდები პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, ასევე საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ (მე-20 საუკუნის 20-იანი წლები) გადასახლებულებსაც.

რაც შეეხება ართვინის პროვინციას, იგი ისტორიული სამხრეთ საქართველოს ნაწილია და მოიცავს კლარჯეთის, შავშეთის და ტაოს „ქვეყნებს“. ნაწილობრივ, ლაზეთსაც. თანამედროვე სამხრეთ საქართველოს სამწუხარო სინამდვილე კი ისაა, რომ მშობლიურმა ენამ აშკარად დათმო პოზიციები. ქართული ენა იციან მხოლოდ იმერხევის ოცდათხუთმეტამდე სოფელში ლივანისა და მურღულის ორმოციოდე სოფელში, ზედა მაჭახლის ექვსიოდე სოფელში (მაჭახელი

დღემდე ითვლება ჩვენებურებში ქართველობის ეტალონად) და ტაოს სამ სოფელში. ამდენად, მთელს ტაო-კლარჯეთში ქართული ოთხმო-ცდაათამდე სოფელშიდა იციან. ეს არის და ეს: სულ რაღაც ათი თუ ოცი პროცენტი ამოდენა ტერიტორიისა, იქნებ არც ამდენი!

ამასთან, მშობლიურ ენაზე საუბრობს მხოლოდ საშუალო და უფროსი თაობა. დაახლოებით ანალოგიური ვითარებაა ისტორიულ ლაზეთში და მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ პროვინციებში.

მუჰაჯირთა შთამომავლების ყველაზე მრავალრიცხოვანი დასახ-ლებები თურქეთის შავი ზღვის და მარმარილოს ზღვის რეგიონებშია.

შავი ზღვის რეგიონში 18 პროვინციაა. ქართულენოვანი და-სახლებები მეტ-ნაკლები რაოდენობით არის ამასიის, ბოლუს, დუზ-ჯეს, ორდუს, სამსუნის, სინოპის, თოქათის და სხვა პროვინციებში. მათგან ყველაზე მეტი ორდუშია.

მარმარილოს ზღვის რეგიონში 11 პროვინცია შედის. მათგან გურჯების კომპაქტურ დასახლებათა სიმრავლით გამოირჩევა ბურსას, საქარიას და ქოჯაელის პროვინციები. ქართული სოფლები სხვა პრო-ვინციებშიცაა.

მთელ თურქეთში ქართული ენის შესახებ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ: ა) საგრძნობლად გაღარიბებულია ლექსიკა; ბ) ლექსი-კაში გაზრდილია თურქიზმების წილი; გ) იშვიათად შეხვდები ახალი თაობის წარმომადგენელს, მშობლიური ენა რომ იცოდეს: როგორც აღვნიშნეთ, საშუალო და უმცროსი ასაკის ყმაწვილებმა აღარ იციან ქართული.

## მერაბ ჩუხუა (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### ვნებითობის -ან სუფიქსისათვის მეგრულ-ლაზურში

გვარის კატეგორია საზოგადოდ მორფოლოგიური ნიშნებით არის გამოხატული ზანურში. ვნებითი გვარის გამოსახატავად სპეცი-ალურ ლიტერატურაში გამოყოფილია სხვადასხვა ნიშნები, ძირითა-დად, კონფიქსური:

- o — ე: o-ჭარ-ე-ნ „იწერება; შეიძლება დაიწეროს“
- o — უ: o-ჭარ-უ-ნ „იწერება“
- a — ე: a-ჭარ-ე-ნ „ეწერება; შეიძლება დაიწეროს“
- a — უ: a-ჭარ-უ-ნ „ეწერება“
- o — უ: o-ჩქარ-უ-ნ „ეჩქარება“

დადასტურებულია ასევე ქართულისებური დ-იანი ვნებითის შემთხვევები მეგრულშიც და ლაზურშიც: მო-ლორ-დ-უ-ნ „ტყუდდება“...

მაგრამ აქამდე სპეციალური მსჯელობის საგანი ჯერაც არ გამხდარა ლაზური ვი-ი-მჭით-ან-ე-რ „ვწითლდები“ ტიპის -ან სუფიქსიანი ვნებითები კოლხურში, რომელიც მასდარებშიც იჩენს თავს:

ლაზ. ო-ჭით-ან-უ „გაწითლება“, ო-ღულ-ან-უ „გამრუდება“, ო-ფართ-ან-უ „გაფართოება“..., შდრ. მეგრ. ღულ-ან-უ-ა, ფართ-ან-უ-ა (ო-ფართ-ან-უ) → აორისტი: ი-ღულ-ან-უ „გამრუდდა“, ი-ფართ-ან-უ „გაფართოვდა“...

ეგევე -ან უნდა ჩანდეს მეგრულის იმ ფორმებშიც, როცა ორ-მაგი სუფიქსაცია დასტურდება: ჭით-ონ-დ-უ(ნ) ← ჭით-ან-დ-უ-გნ „წითლდება“, ჭიჭ-ორ-დ-უ(ნ) ← \*ჭიჭ-ან-დ-უ-ნ „გულზე სკდება“, სის-ონ-დ-უ(ნ) ← \*სის-ან-დ-უ-ნ „ჩუმდება“!... ვფიქრობთ, ეს -ნო (← \*-ან) შეეფარდება ლაზურის ვ-ი-მჭით-ან-ე-რ „ვწითლდები“ ტიპის -ან სუფიქსიანი ვნებითებს და ა → ო ასიმილაციური ჩანს, აწმყოს განგრძობითობის მომდევნო -უ სუფიქსის ზეგავლენით განვითარებული.

ზანურში -ან-იანი ვნებითის კორელატი ჩანს -ინ-იანი მოქმედებითი იმავე ფუძეებში, შდრ. მეგრული: ო-ჭით-ინ-უ-ან-ს „წითლდება“ ~ ჭით-ონ-დ-უ(ნ) ← \*ჭით-ან-დ-უ-ნ (ლაზ. ი-ჭით-ან-ე-ნ) „წითლდება“, რაც სვანურში გამოვლენილი ი ~ ე აბლაუტის ტოლფასად გვეჩვენება: სვან. დიგ-ე „აქრობს“ ~ დეგ-ენ-ი „აქრება“. ამავდროულად, დეგ-ენ-ი ფორმაში გამოვლენილი -ენ ზანურში ჩვენ მიერ გამოყოფილი -ან-ის ზუსტი ფონეტიკურ-მორფოლოგიური შესატყვისი უნდა იყოს — სვან. -ენ : ზან. -ან.

რაც შეეხება მეგრულის ა-ჭით-არ-ენ-ს || ა-ჭით-ორ-ენ-ს „წითლდება“ ფორმებს, აქ გამონაწევრებული -ორ → || -არ წარმოშობით ოდნაობითი ხარისხის -ორ-ა სუფიქსის ნაშთი უნდა იყოს (ლაზ. დო-მჭით-ორ-ა „მოწითალო“), რომლის სემანტიკა თვალნათლივ ცხადდებ-

ბა მეგრულის გინგმი-ჭით-**ორ**-უ-ან-ს „წაიწითლებს“ ტიპის დერივაცი-  
აში და არაფერი აქვს საერთო ქართულის **-ელ** (წით-**ელ**-) სუფიქს-  
თან (შდრ. კ. დანელია), შდრ. სვან. **-არა** : წგრნი-**არა** „მოწითალო“,  
თუთუთუნი-**არა** „მოთეთრო“...

ცალკე (სპეციალურ) განხილვას საჭიროებს **-ათ** სუფიქსიანი  
გნებთები მეგრულ-ლაზურში: ლაზ. მ-ა-მჩხვ-**ათ**-უ „დამცხა“, მეგრ.  
დე-მონკ-**ათ**-უ „დაფხმძიმდა“...

## ნ ა ნ ა ც ე ც ხ ლ ა ძ ე (ბათუმის უნივერსიტეტი)

### მიმღეობა კლარჯულში

კლარჯული კილო ყურადღებას იქცევს მიმღეობურ ფორმათა  
თავისებურებებით. ფორმობრიგმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბევრი  
ფორმა არქაული წარმოებისაა, ზოგი კიდევ დიალექტიზმია და უშუ-  
ალოდ უკავშირდება ამ კუთხისთვის დამახასიათებელ თავისებურე-  
ბებს ზმნის თემის ნიშნის ხმარებისას.

კლარჯელთა მეტყველებაში უპირატესობა ენიჭება მიმღეობის  
პრეფიქს-სუფიქსიან წარმოებას, სუფიქსიანის ნაცვლად: **დამჭირვე-**  
**ლი, მცოდნელი...**ეს უკანასკნელი ფორმა დასტურდება საშუალო  
ქართულის ძეგლებში: „ვისრამიანსა“ და „ყარამიანიში“. ამავე რიგი-  
საა საობიექტო მიმღეობანი: **შესაკერელი და დასაკლელი.**

პრეფიქსული წარმოების გაარსებითებული მიმღეობა **ნათესავი**  
აქ წარმოდგენილია **მონათეს** ფორმით, რომელიც დიალექტიზმად მი-  
გვაჩნია, რადგან ეს სიტყვა არ დასტურდება არც ძველ ქართულში  
და არც ახალში.

ზოგჯერ გვხვდება სუბლექტური წარმოებაც: **ნავლილში** პრე-  
ფიქსიცა გვაქვს და სუფიქსიც და ორივე ნამყო დროზე მიუთითებს.  
იშვიათი ფორმაა **დეჭებული**, მის ზმნურ ფუძეში თემის **ებ** ნიშანი  
სალიტერატურო ქართულში არ დასტურდება, კლარჯულში ზმნაში-  
ცაა და მიმღეობაშიც: კვეი **დეჭებდა, დეჭებული** გადაყლურწებდა...

კლარჯულ კილოცავეში მიმღეობურ ფორმათა თავისებურებანი

ძირითადად სუფიქსურ წარმოებას უკავშირდება. არქაიზმებია **მოღალული** და **დაჭირული**.

**დასახლული** და **დაბადული** მეორე სერიის ფუძის (ებ თემის ნიშნის უქონლობითაა) გამოყენებითაა საყურადღებო.

არქაიზმებია სუფიქსურ მიმღებურ ფორმათა ერთი ნაწილი, რომლებიც საწყისის ფუძიდანაა ნაწარმოები: **გადნობილი, დაუდომილი, გამოცხობილი...**

ოდენ სუფიქსურ წარმოებას ზოგჯერ პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება ცვლის: **ილ** სუფიქსის ნაცვლად გვაქვს **მ-არ** კონფიქსი: **დამარჩალი...**

კლარჯულის გამოკვეთილი თავისებურებაა **ილ / ულ** სუფიქსთა განაწილება საობიექტო მიმღებობებში. ამ სუფიქსთა მონაცვლეობა ისტორიული ფაქტია, მაგრამ ამ კილოკავში **ილ** იჭერს **ულ**-ის ადგილს: **მოკლილი, მოხრაკილი, დადებილი, ჩაფლილი, დარგილი, ჩაჭინტილი, დასახლილი...** ზოგჯერ ამგვარ ფორმათა ახსნა შესაძლებელია აწმყოს ფუძის თავისებურებებით: **კლის, ისვენის, ფლის...**

არქაიზმებია ასევე **ავ** თემისნიშნის ზმნათაგან ილ სუფიქსით ნაწარმოებ მიმღებობებში **ვ**-ს პოვნეირება: **შეწუხვილი, შეწვილი, დაწვილი (შდრ.: ძვ. ჭურვილი, შეუღლვილი)**. ანალოგიური ფორმები შემონახულია ხევსურულშიც.

**ილ** სუფიქსის ნაცვლად **ულ**- ი იშვიათად გვაქვს: **მოყვანული...**

**ილ-ულ** სუფიქსთა უფუნქციო მონაცვლეობა იშვიათია: **დანაყული // დანაყილი...**

ამგვარი მიმღებობა ხშირად გამოიყენება შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილადაც: **გახდილა, დაწვილა, დაუდომილა.**

**უარყოფით** მიმღებობათაგან საინტერესოა ორმაგად ნაწარმოები ფორმები: **უდღუნანხველი, უგუუკეთებელი... უდაწოლილი** და მისთანა ფორმები წართქმითი მიმღებობის ფორმაზე **უ** პრეფიქსის დართვითაა მიღებული.

მიმღებობა კლარჯულ მეტყველებაში ძალიან ხშირად გამოიყენება ზმნურ ფუძეთა საწარმოებლადაც. **ტანულობს, გებულობს, ცნობილობს, პაიჯულობს, ტკენულობს, წყენულობს** და ა. შ. ფორმები ამ კუთხის მეტყველების არსებითი თავისებურებაა.

მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე (ბათუმის უნივერსიტეტი)

## კლარჯულის ლექსიკიდან

კლარჯულის ლექსიკაში გვხვდება სიტყვები, რომელთაც სალიტერატურო ქართულსა და მის სხვა დიალექტებში ცნობილ მნიშვნელობათაგან განსხვავებული მნიშვნელობაც აქვთ.

გამოვეოფთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც თურქულის კალკებს წარმოადგენენ.

**ცხოვრების** მნიშვნელობით გამოიყენება **სიცოცხლე, ცოცხლობა**: [შვილები] ერთი აგზე **ცოცხლობს**, ერთიც — ბორჩხაში; იმის მერე **ვცოცხლობთ** აქაურობაში; ღმერთმა კაი **სიცოცხლე** მოგცეს, **სიცოცხლობა** მაქ.

ამავე მნიშვნელობით ფართოდ არის გავრცელებული **ჯდომა, დაჯდომა**. კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა მწკრივის ფორმებით: ართვინ **ვზივარ**; იზმით **ზის**; ბათუმ **ზინართ**? ბორჩხას **ვიჯექი** ათ წელიწად; სტამბულ ვიკითხე, იზმითში **დავჯექი**; ახლანდელი ზლები არ **დაჯდებიან** დედამთილის ერთად.

**ცარიელი** ცნობილი მნიშვნელობის გარდა აღნიშნავს **თავისუფალს** (სამსახურისაგან, სწავლისაგან): **ცარიელი** დავრჩი, ამოველ ბორჩხაში; მექთების დაწყებამდე **ცარიელი** ვართო, ჩამოვდეწდა; ის **ცარიელია** ზათი, ბევრს არ ისაქმავს.

**თვის** მნიშვნელობით კლარჯულში გვხვდება **თვარეც(წმთვარე)**: ერთი კილო თუთუნი ერთი **თვარე** მეყოფა; ბიჭი ასკერშია, თუთხმეტი **თვარე** დარჩება; არც მარტმა გამახარა, არც აპრილის **თვარემა**.

ბანკში ფულის შენახვა გადმოიცემა გამოთქმით: **ფარის დაწვენა**: მე ემექლი ვარ, **დავაწვინე ფარა**.

**დაჯდომას** აქვს სხვა მნიშვნელობაც - გასათხოვარი ქალის მისვლა სასურველი მამაკაცის ოჯახში ცოლად, „ქალად დაჯდომა“: აი ქალი მოვდა, **დაჯდა**, ამის ქალი'და(=ცოლი) გავხდეო.

**დაჯდომა** ამ მნიშვნელობით ახლა თითქმის აღარ იხმარება, რადგან თვით ეს მოვლენა არ ხდება. აღრე, უწინ აჭარაშიც ძველი ამბების მთხრობელთაგან ხშირად გაიგონებდით: „იმას ქალი დუუუდაო“.



კლარჯულში ხშირად იხმარება **შეშა // შიშა ხის** მნიშვნელობითაც. **შეშა // შიშა** უმეტესად აღნიშნავს მოჭრილ, მასალად გამოსაყენებელ ხეს. ჩვეულებრივია **შიშის სკამი, შიშის კოვზი, შეშის ურო. ხე** გამოიყენება მცენარის აღსანიშნავად: მოცვი ორი თულია, ერთი დაბალია, ერთი **ხეზეა; ხეც** „კაკალია“ და საჭმელიც „კაკალია“; ერთ გზაზე **ხე** მამოჰყრია, უთქმია ამ **ხეზე** გადიო; იმხელა **ხეები** ყოფილა.

იშვიათად იხმარება **ხე** მასალის მნიშვნელობით: **ხეს(ხის)** სახლია; ჯილით დავთესდით, ჯილლა **ხის** იყო.

**ცეცხლი** აღნიშნავს **ნადვერდალს**: იმას უკან(=იმის შემდეგ) **ცეცხლი** და დააყარო; საჯ დაახურევენ, დააყრიდენ **ცეცხლი**, გამოცხვებოდა ჭადი.

თითქოს უცნაურია, რომ **თაობის** მნიშვნელობით გამოიყენება **მუცელი**: დიდვანებიდან გაგონილი მაქ: სამი **მუცელი** გამეიცვალოს'ნა, იმის მერე შეიძლება... დეიდაშვილებში ნათხოვნობა. იგულისხმება, რომ სამი თაობის შემდეგ, მეოთხე თაობაში შეიძლება ნათესაების ქორწინება.

ქართული დიალექტების სინონიმები **დაგვა** და **დანვეტა** კლარჯულში ნიუანსობრივად განსხვავებულია — **დაგვა** გამოიყენება მხოლოდ **დასუფთავების** მნიშვნელობით: დაყარე, რა უშავს, მე **დაგვი**; შდრ.: **გადმოვხვეტ, გადმოვხვეტ**, თოვლი დიდია. იგულისხმება შენობის სახურავიდან თოვლის გადმოყრა.

სალიტერატურო ქართულისა და მისი სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, კლარჯულში (საერთოდ სამხრულ მეტყველებაში) **მირთმევა** აღნიშნავს ზოგადად **ჭამას**: გოგოს სახში საჭმელ **მირთვავენ**; ჰემ ვჭამთ, ძროხასაც **მივართვავთ**; საჭმელი არ **მოვართვა**, მოგიხდება? ჩვენ იქა მოვდეთ, არ **მომართმევთ** რამეს?

**მირთმევა** სამხრულ მეტყველებაში (კლარჯეთშიც) არ არის მოკრძალების, პატივისცემის გამომხატველი. სტუმრებისადმი მიმართული კლარჯის შემდეგი ფრაზები: **ჭამეთ** და ისე დაწერეთ; ახალი მოწყვეტილია, **ჭამეთ; ჭამეთ** და მას უკან წეით.

შევნიშნავთ, რომ პატივისცემის გამოსახატავად **ჭამის, მირთმევის** მნიშვნელობით აჭარულის ქობულეთურ კილოკავში, იშვიათად სამხრულში გამოიყენება **ბძანე(< ბრძანეთ)**, რომელიც სამეცნი-

ერო ლიტერატურაში თურქულის კალკად მიიჩნევა. საინტერესოა, რომ ეს სიტყვა **მირთმევის** მნიშვნელობით გვხვდება „რუსულდანიანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“.

ნინო ციხიშვილი (თბილისი)

## I თურმეობითის წარმოება ფშაურში

1. I თურმეობითი III სერიის ერთ-ერთი ძირითადი მწკრივია, რომელიც გამოხატავს წარსულში მომხდარ თხრობითი კილოს უნახავი აქტის მოქმედებას. ასეთი მოქმედება გათვალისწინებულია შედეგის მიხედვით ან სხვისგან არის გაგონილი. იგი „თურმეს“ გაგებას შეიცავს. აქედან მომდინარეობს მწკრივის სახელწოდებაც.

2. I თურმეობითი მკაფიოდ გამოხატული მწკრივია ძველ ქართულში, სადაც გამოიყოფა ოთხი დამოუკიდებელი უღვლილების ქვეჯგუფი. ესენია: ა) **-ავ** და **-ამ** თემისნიშნისანი ზმნები; ბ) „დამიწერიეს“ ტიპის სხვა გარდამავალი ზმნები; გ) ერთპირიანი ზმნები (განმტყარ ვარ); დ) ორპირიანი გარდაუვალი ზმნები (დამვიწყებიეს).

3. I თურმეობითი პროდუქტიული მწკრივია ახალ ქართულში. აქ იგი ძველი ქართულისაგან განსხვავებულად იწარმოება. თუმცა აქაც გამორჩეულია **-ავ** და **-ამ** თემისნიშნისანი ზმნების უღლება.

4. თავისებურია I თურმეობითის წარმოება ფშაურში. ამ დიალექტში აღნიშნული მწკრივის წარმოება არ არის არც ძველი და არც ახალი სალიტერატურო ქართულის ანალოგიური. აქ **-ავ** და **-ამ** თემისნიშნისანი ზმნათა ყალიბით იწარმოება უთემისნიშნო და სხვა თემატური სუფიქსებით გაფორმებული გარდამავალი ზმნები. გვხვდება, **წაუყვანავ-წაუყვანავის, მაუკლავ-მაუკლავის** პარალელური ფორმები. დასტურდება ორმაგი თემისნიშნისანი I თურმეობითიც (**მაუქვივნებავ**).

5. ეს თავისებურება საინტერესოდ არის წარმოდგენილი აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ემიგრირებული ფშავლების თანამედროვე მეტყველებაში.

როინ ჭიკაძე (თელავის უნივერსიტეტი)

## **წინადადების ინტონაციურ — ექსპრესიული აქტუალიზაცია (შიგნიკახურის ენობრივი მასალის მიხედვით)**

მეტყველების პროცესში წინადადების სტრუქტურული და აზრობრივ-შინაარსეული აქტუალიზების საშუალებებია: ა) ინტონაცია; ბ) სიტყვათგანლაგება; გ) ლექსიკური აქტუალიზატორები. ამათგან „ინტონაციას არა მარტო გამოხატვის ფუნქცია აქვს დაკისრებული, არამედ თავისი შინაარსიც აქვს, როგორც წინადადების სტრუქტურის აუცილებელ კომპონენტს“ (ს.უღენტი). ამიტომაცაა, რომ „ინტონაცია წინადადებაში შემავალ სიტყვათა ერთ ენობრივ ერთეულად გამთლიანების ერთ-ერთი საფუძველია“ (ლ.კვაჭაძე). ამასთანავე, ინტონაცია წინადადების სტრუქტურული აქტუალიზაციის ეფექტური საშუალებაა. „აქტუალიზების გარეშე წინადადება მხოლოდ ფორმობრივ ერთეულთა ნაკრები, სტრუქტურული ფორმულა იქნება“ (ა. დავითიანი). ინტონაციით გამჟღავნება მთქმელის ლოგიკური თუ ემოციური დამოკიდებულება თქმულისადმი, რაც, ბუნებრივია, თავის გამოხატულებას პოულობს ზეპირ მეტყველებასა და დიალექტებში.

ამჯერად საკითხს განვიხილავთ კახური დიალექტის, კერძოდ, შიგნიკახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

ინტონაციას, როგორც წინადადების ერთიანობის მძლავრ საფუძველს, გადამწყვეტი როლი ენიჭება რთული წინადადების პერიოდებად დაყოფასა და კომპონენტთა ასიდენტური შეკავშირებისას, სადაც ცხადად იკვეთება ფრაზის ინტონაციური კონტურები:

ეხლა იმ ცხენზე ორივენი შავჯდეთ — არ შაიძლება, მე შავჯდე — შენ ფეხით ვერ ივლი და შენ შაჯიდები — მე ფეხით ვერ ვივლიო, გ.თ. ქ., 195.

ყურადღებას იქცევს „და“ და „რომ“ კავშირებიან კონსტრუქციათა ინტონაციურ — ექსპრესიული მოდელები.

ამ მხრივ გამორჩეულია „და“ კავშირის ადგილი და ფუნქცია წინადადების ინტონაციურ სტრუქტურაში; კერძოდ:

ა) მტკიცებითი შინაარსისაა **თუ არა და; ვინც // რაც არა და** კონსტრუქციული მოდლები:

თუ იმ ფშაველ დამიკლამთ, ხო მოვრჩები, **თუ არა და** მოგვდებიო, მ.ი.,99.

ვინც ჩააგდებს კორას, ის იქნება მოგებული, **ვინც არა და** წიარობს,მ.ი.,65.

რაც შევძელი, დავამტვრიეო, და **რაც არა და** დავანებე თავიო, მ.ი.,108.

ბ) ხშირად **„და“** მტკიცებას აძლიერებს შესაბამისი ზმნისართებით:

ვერ ააშენე? **და იმიტომაც** დაარქვე? წორეთ არაშენდა, მ.ი.,32.

ავდექით **და მაინც** წავედით, მ.ი.,64.

გ) ზოგჯერ მტკიცებითი ზმნისართი არ ჩანს, თუმცა იგულისხმება:

მეკუთვნოდა **და** წამოვიღეო, მ.ი.,12.

დ) მტკიცებითი ელფერი აქტუალიზდება **„და“-**თი დაკავშირებულ ზმნა-შემასმენელთა განმეორებით:

მამკლამს **და** მამკლამს-მეთქი, მ.ი.,9.

ე) **„და“** მონაწილეობს უარყოფითი მტკიცების გამომხატველ მოდელში:

**არამც და არამც** გზაში არ გააჭრაო ეგ კიტრი, მ.ი.,194.

ინტონაცია ენობრივი ეკონომიის ერთ-ერთი საშუალებაა, რაც მქლავნდება შეკითხვის ლაკონურ პასუხებში, რის მტკიცებითობაც გაძლიერებულია **„და“-**თი:

-პატარძალ მაინც რა დაარქვესო ? **და:** — თავაიო, მ.ი.,95.

-ხარი ხო არ გინახიაო? **და:** — არაო,მ.ი.,95.

წინადადების ინტონაციურ-ექსპრესიული აქტუალიზაციისათვის გამოიყენება აგრეთვე **„რო“ / „რომ“** კავშირი.

ინტონაცია მტკიცებით ელფერს აძლევს **„რო“ / „რომ“** კავშირიან წინადადებას, როდესაც მტკიცების ინტონაციური მახვილი მოუღდის ამ კავშირს:

იყო ერთი მდიდარი კაცი, ძალიან მდიდარი, **რო** რა გითხრა!, მ.ი.,78.

იმ ქალ თმები აქ **რო...** კოჭებამდინა ?წვდება, გ.თ.ქ, 195.

ხშირად „რო“ / „რომ“ ინტონაციურად იმდენადაა დატვირთული, რომ დამოკიდებული წინადადების ექვივალენტად გვევლინება:

გოლვა იყო, გოლვა ისეთი **რო...**, გ.თ.ქ.,179.

ისეთი შვილები გავზარდე, **რომა...**, გ.თ.ქ.,9.

ღირსსაცნობია, რომ შიგნიკახურის ენობრივი მონაცემებით გამოვლენილი წინადადების ინტონაციურ-ექსპრესიული აქტუალიზაციის საშუალებანი უცხო არ არის სალიტერატურო ქართულისთვისაც, რითაც ერთხელ კიდევ დადასტურდა: „ენაში, დიალექტში არ არსებობს ისეთი რამ, რაც თვით ენის შინაგანი შესაძლებლობით არ არის შეპირობებული“ (ბ.ჯორბენაძე).

## **როენა ჭკადუა, ჯულიეტა შოშიაშვილი**

(ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **დიალექტთა განდასება ბერძნულ (ძველსა და ახალ)ენასა და სვანურში**

(ტიპოლოგიური შედარებისათვის)

ენციკლოპედიაში „ქართული ენა“ დიალექტი განმარტებულია, როგორც ენის ვარიანტი, რომელზეც მეტყველებს ენობრივი კოლექტივის ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ნიშნით გამოყოფილი ჯგუფი.

მ. მიულერის თვალსაზრისით, ენის ნამდვილი და ბუნებრივი სიცოცხლე მის დიალექტებშია მოცემული.

სალიტერატურო ენისათვის დიალექტები მიჩნეულია მასაზრდოებელ წყაროდ, ხოლო უმწერლობო ენების დიალექტოლოგიური კვლევა მნიშვნელოვანია როგორც ამ ენების შესწავლის, ისე საერთო ეროვნული ენის სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზისათვის.

დიალექტთა განდასების ტიპოლოგიური შედარებისათვის მივმართეთ, ერთი მხრივ, უძველესი ისტორიისა და დამწერლობის მქონე ძველ და ახალ ბერძნულ ენებს და, მეორე მხრივ, არქაიზმებით, რთული ფონეტიკური სისტემითა და დიალექტური ნაირგვარობით მდიდარ, უმწერლობო სვანურ ენას.

სვანური ენა, მსგავსად ზანურისა, ქართულისაგან განსხვავე-

ბით, მხოლოდ დიალექტებით არის წარმოდგენილი. კლასიკური ბერძნულის თავისებურებაც იმაში მდგომარეობს, რომ ამ ეპოქის ბერძნებს არ ჰქონდათ ერთიანი სალიტერატურო ენა. თითოეული დიალექტი ამა თუ იმ ლიტერატურული ჟანრისთვის ნორმატიული ხდებოდა: ეპოსი ემყარებოდა იონიურ დიალექტს, ლირიკა — ეოლიურსა და დორიულს, დრამა და სამეცნიერო პროზა — ატიკურს. ეს დიალექტები მთელი ელინური სამყაროსთვის გასაგები იყო და, შესაბამისად, მრავალდიალექტურობა, ამ მხრივ, უხერხულობას არ იწვევდა.

ძვ. წ. აღ. IV საუკუნეში ენობრივი ერთიანობის იდეამ ხელი შეუწყო ატიკური დიალექტის საფუძველზე ე. წ. საერთო დიალექტის (კოინე დიალექტის) ჩამოყალიბებას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული ენის ტრანსფორმაციის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ძველი დიალექტების გაქრობის კვალდაკვალ, დაიწყო ახალი დიალექტების ჩამოყალიბების პროცესი, რაც დასრულდა იმით, რომ თანამედროვე ბერძნულში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი დიალექტი გამოიყო, რომლებიც განირჩევიან ერთმანეთისგან ბგერით შედგენილობით, გრამატიკული სტრუქტურითა და ლექსიკით. ამას ერთვის კარდინალური განსხვავება ძველსა და ახალ ბერძნულს შორის.

საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი თანამედროვე ბერძნული დიალექტი, პონტოური, საქართველოს ტერიტორიაზეა გავრცელებული (სოხუმში, ქობულეთში, ახალციხეში, წალკისა და დმანისის რეგიონებში და ა. შ.). პონტოურს სხვა ბერძნული დიალექტებისგან გამოარჩევს კარგად დაცული არქაიზმები და ძველი ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული კატეგორიები.

რაც შეეხება სვანურს, მიუხედავად იმისა, რომ ის უმწერლობო ენას წარმოადგენს, მის მეცნიერულ კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის შესწავლის საქმეში.

სვანური ენის დიალექტებად დაყოფის კრიტერიუმისა და სქემის შემუშავება-დადგენა ნ. მარის სახელს უკავშირდება, რომელიც შემდგომ გაიზიარა და სრულყო ა. შანიძემ.

დიალექტების განდასება სვანურში დამყარებულია ფონეტიკურ ფაქტორებზე: ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი და რედუქცია.

ფონეტიკურ ფაქტორებთან ერთად, კილოკაუთრი დიფერენცია-

ციის დონეზე, გასათვალისწინებელია ის გრამატიკულ-ლექსიკური ნაირგვარობა, რაც მათ ახასიათებთ. ცნობილ ქართველოლოგთა შრომებში მრავლად არის სვანურ კილოკავთა ფონეტიკური და გრამატიკული თავისებურებებისადმი მიძღვნილი სტატიები.

გარდა ძირითადი ფონეტიკური ფაქტორებისა, რომელთაც ეყრდნობიან მეცნიერები დიალექტთა გამოყოფისას, ასევე თავისებურებას გვიჩვენებენ სვანური კილოები ლაბიალიზაცია-დელაბიალიზაციის პროცესების მიხედვით. ენათმეცნიერთა მიერ გამოთქმულია ისეთი მოსაზრებაც, რომ სვანური ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე **ე** და **ი** ხმოვნები **ო** და **უ** ხმოვნებს უპირისპირდებოდნენ, როგორც არალაბიალიზებულები ლაბიალიზებულებს და არა როგორც წინა და უკანა წარმოების ხმოვნები (მ. ქალდანი).

ლაბიალიზაციისკენ მიდრეკილება მთელ სვანურს ახასიათებს, ხოლო დელაბიალიზაცია მეტნაკლებად არის სპეციფიკური სვანური კილოკავებისთვის. აღნიშნული ვითარება კარგად ჩანს ლახამულურ კილოკავში, სადაც აქტიურად მიმდინარეობს ორი ურთიერთსაპირისპირო ფონეტიკური პროცესი. თუ ერთი მხრივ, **ჟე, ჟი** კომპლექსებში უჩინარდება **ჟ**, მეორე მხრივ, ლახამულურ კილოკავის ხაიშურ თქმაში, როგორც წესი, ნარნარა **ლ**-ს ენაცვლება წყვილბაგისმიერი **ჟ**.

დიფთონგიზაციისა და მონოფთონგიზაციის პროცესებს სვანურში აღრიდანვე მიაქცია ყურადღება ს. ჟღენტმა.

ზოგადად, დიალექტის შიდა სტრუქტურაში ვარიანტულობა დამახასიათებელია ყველა დიალექტური სისტემისათვის.

ბერძნულმა დიალექტებმა დასაბამი მისცეს ახალი საერთო დიალექტის, საერთო ნაციონალური ბერძნულის ჩამოყალიბებას და ამით უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ბერძნული ენის, მწერლობისა და კულტურის ჩამოყალიბებაში.

სვანური ენა კი თავისი დიალექტური და კილოკაური თავისებურებებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველურ ენათა შესწავლისა და რეკონსტრუქციისათვის. როგორც ვ. თოფურია აღნიშნავს, სვანურში შემონახული არქაიზმები, გაჩენილი ინოვაციები, რთული ფონეტიკური პროცესები, დიალექტთა თავისებურებანი და ა. შ. ხელშესახებ მასალას იძლევიან კერძო და ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემათა გადასაჭრელად.

## ჩამომავლობის აღმნიშვნელი ლექსემები ქართული ენის დიალექტებში

ქართულ სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებში ახლო და შორეული ჩამომავლობის აღსანიშნავად უხვად დასტურდება როგორც ქართული, ისე უცხოური წარმოშობის ლექსემები. ამასთან დიალექტებში ხშირია მათი გადატანითობის გზითა და სხვადასხვა ფუძეებისაგან წარმოქმნით (განსაკუთრებით მიმღეობების სახით) მიღების შემთხვევები. დიალექტებში, „ჩამომავლობის“, „გვარეულობის“, „ჯიშის“, „ჯილაგის“, „მოღამის“ მნიშვნელობით გვხვდება შემდეგი მიმღეობური ფორმები:

1. **განაგისი**: დავლოცეთ მთელი ჩვენი მოდგმაც, ჯიში და **განაგისი** (რ. ინანიშვილი). შენი **განაგისი** გაწყდა აქა (ქიზიყური, მენტე-შაშვილი).

2. **გასაგისი**: თუ ვახტანგის შვილი და **გასაგისი** ყველა გადაიხვეწა, ტახტი იასეს უნდა მიეღო (რ. ჯაფარიძე). ისემც ამოწყდება მაგი **გასაგისი**, რაც ეგ ჩემთვის კარქ არაფერ გამაიმეტეფს (ქართლური, მესხიშვილი).

3. **მონაგარი**: პაპაჩემის მამის **მონაგრები** ვაართ თელი ეს უბანი, ესე გავბლომდით (კავთ., ქართლ. მესხიშვილი). შდრ. **მონაგებარი** შექენილი; თესლზე ამოსული (მთიულური, შანიძე).

ვფიქრობთ, რომ **გა-ნა-გ-ის-**, **გა-სა-გ-ის-**, **მო-ნა-გ-არ-** სიტყვებში გამოიყოფა „მოგების, შობის, დაბადების“ აღმნიშვნელ საერთო ქართველური **-გ-** ძირი.

4. **მონადგარი**: (ლექს. ალავეძე) — ლლ. შდრ. **მოდგამი, მოდგმა**. ამ სიტყვებისათვის ამოსავალი უნდა იყოს ქართულ-ზანური ერთიანობის **\*დგ- || დგ-** ძირი.

5. **ნაგრამი** ნამრავლი, შთამომავალი (გურული, შარაშიძე). **ნაგრამობა** შთამომავლობა, ნაშიერი. ამ დაყოლა ჩემი ნაგრამობა არი აქანას (სავანე, ზ. იმერული, ძოწენიძე).

შდრ. **მონაგრამება** (შდრ. ნეგრო) პირუტყვთა და ფრინველთა მოშენება (ვ. ბერიძე). **მგრო, ნგრო, ნოგრო** (ლექს., გურ.) ჯიში, მო-



დგამი პირუტყვისა (მ. ჩიქ.) — ლლ. დასახელებულ სიტყვებში უნდა გამოიყოფოდეს საერთო-ქართველური იგივე **\*გრ-** ძირი, რაც ივარაუდება სიტყვებში: ქართული **მა-გრ-ობ-ალი-ი** „კვერცხის მჩეკელი“ (საბა), სვან. **ლი-ნგრე** კვერცხის დადება, **ლგგრ-ე** „კვერცხი“. **-ამ** სუფიქსი შეიძლება **< ეგ || -ემ** სუფიქსის ფონეტიკური ცვლილების შედეგად იყოს მიღებული.

6. **ნარცხი || ნარჩხი** შორეული შთამომავალი. „ცოდვამ **ნარცხის ნარცხი** მაიკითხა“ (ქიზ. მენთეშაშვილი). ვფიქრობთ, **ნარცხი < ნარჩხი < ნარჩი** (ნარჩომი, ნარჩენი). **ხ** განვითარებული ჩანს. შდრ. დამრჩობი: „ღმერთმა შაიწყალოს... ნარჩომები ღმერთმა უცოცხლოს მამგონედ“ (ვაჟა).

7. **ნაცხები** სისხლით ნათესავი. ლამეტანთ **ნაცხები** არა ხაარ, რა, ვინ რაში მოგატყუევს! (კარალ., აგრეთვე ტყვ., ქართლ. ბეროზაშვილი და სხვ.). შდრ. **ნაცხი** მსგავსი, მიმგვანებული. ბესტავაშვილის **ნაცხი** იყვე და რალა გიშამს (ტყვ., აგრეთვე კარალ., ქართლ. ბეროზ. და სხვ.). **-ცხ-** იგივე ძირი ჩანს, რაც გამოიყოფა **ცხება, სცხებხ, მოცხება** ზმნებში.

8. **ნართის ნართი** ვილაც შორეული (გურული, შარაშიძე). შდრ. **ნართაული** არანამდვილი (ქიზ. მენტ.). სავარაუდოა, რომ **-რთ-** იგივეა, რაც ზმნურ **ე-რთ-ვის, და-რთ-ული** „დამატებული“ ზმნურ ფორმებში გამოყოფილი ძირი.

9. **გარსლის გარსლი, გასლის გასლი** ნათესავის ნათესავი, შორეული მოკეთე. ღმერთმა ყველა ქრიძტიანი დაიფაროჲ იმი **გარსლი გარსლისაგან** — იტყვიან ავი რძლის შესახებ (ქიზ. მენტ.). ჩვენი აზრით, **გარსლი > გასლი**; თავის მხრივ **გარსლი < გარისელი < გარისი** „გარეული“ — საბა. შდრ. გარე, გარეთა ან გარეშე ბიძა ან სხვა ნათესავი.

10. **მისხი** შორეული ნათესავი. ვსთქვა უფალთ მეგვარტომობა, არ შორად **მისხი მისხისა** (დ. გურამიშვილი). როგორი ადამიანია, თავის **მისხის მისხ** მაიკითხავს (ქიზ. მენთეშაშვილი). **მისხი მისხს მისდევს** შორეულ ნათესავებთან აქვს ურთიერთობა. ანო ისეთი ქალია, ხო არა გგონია, ვინმე დაავიწყდეს, **მისხის მისხს მისდევს** (ქართლ. მესხიშვილი.). **მისხი** დასტურდება მთიულურშიც (მთ. კაიშაური). **მი-სხ-** სიტყვაში **მი-** შეიძლება მიმღეობის მაწარმოებელ **მე-**

ს ფონეტიკური ცვლილების შედეგად იყოს მიღებული, **სხ-** კი იგივე ფუძემონაცვლე სხმა (გ- „ყოლა“, სუმა) ზმნის ძირი იყოს. შდრ. ამავე წარმომავლობის ძვ. ქართულის **სასუმელი** „ნათესავი“, „მახლობელი“ (ილ. აბულაძე).

როგორც ვხედავთ, ზემოდასახელებული „ჩამომავლობის“ შინა-არსის მიმღებები ნაწარმოებია **ნა, ნა - არ, ნა - ის, მე-, -ელ** აფიქსების საშუალებით.

**ნ ი ნ ო ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე** (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **საკუთარი სახელების კნინობითი ფორმები სამეგრელოს სამთავროს თავადთა და აზნაურთა საოჯახო სიების მიხედვით**

ოდიშის ანუ სამეგრელოს სამთავროს თავადთა და აზნაურთა საოჯახო სიები, შეკრებილი მე-19 ს-ის შუა ხანებში, მსგავსად ქართლ-კახეთის, იმერეთისა და გურიის ანალოგიური დოკუმენტებისა, მეტად საინტერესო მასალას წარმოადგენს ქართული ონომასტიკის მკვლევართათვის. ამ დოკუმენტებში ქართულ და საქართველოში ოდითგანვე გავრცელებულ სახელებთან ერთად დასტურდება არაერთი სახელი, რომლებიც საკუთრივ მეგრული წარმომავლობისაა (უჩანა, ჯოდორია, კვატია, გოჯოგია...); მრავლადაა რუსულის გზით შემოსული საკუთარი სახელები (ეკატერინა, ფეოდორა, კატნიკა, პელაგია, დუშნიკა...). საინტერესოა პარალელური ფორმები, რომლებიც მორფოლოგიურ თუ ფონეტიკურ ნიადაგზეა გაჩენილი.

საკუთარ სახელთა დიდი ნაწილი კნინობითი ფორმით არის დამკვიდრებული. ერთსა და იმავე ფუძესთან სხვადასხვა მაწარმოებელი გვხვდება: **დათიკი, დათიკა, დათიკია, დათიკო; გლანხუია, გლანხუა, გლანხუვა; ზურაბა, ზურაბიკა, ზურაბია; ბერუკა, ბერუკია, ბერიკია...**

კნინობითობის მაწარმოებელთაგან ყველაზე მეტად გავრცელებულია **-ია** დაბოლოება, რომელიც არაიშვიათად კნინობითობის სხვა

მაწარმოებელთან ერთად გვხვდება: **ქაქ-უჩ-ია, ბერ-უკ-ია, ბეჟ-უკ-ია, ჯათ-უნ-ია...** ხშირია ასევე **-იკ** დაბოლოება დამოუკიდებლად ან **-ა, -ო** სუფიქსებთან ერთად: **სეს-იკ-ი, ფეფ-იკ-ი, დათ-იკ-ი, რევაზ-იკ-ა, ლევან-იკ-ა, ზურაბ-იკ-ა, მერაბ-იკ-ა, დათ-იკ-ო...**

სხვა მაწარმოებლები ნაკლები სიხშირით გვხვდება, მაგრამ მათი მრავალფეროვნება საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს.

**ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ე ი ლ ი** (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

## **მირქმის დღესასწაულთან დაკავშირებულ ტერმინთა ისტორიისათვის**

**მირქმა**, ძველი **მიქუმა** — ერთ-ერთი ათორმეტ საუფლო დღესასწაულთაგანია, უძრავი, აღინიშნება 2 (15) თებერვალს, იესო ქრისტეს შობიდან მეორმოცე დღეს, მართალი სვიმეონის მიერ უფლის, ყრმა იესოს, მირქმის მოსახსენებლად.

ლექსიკონებში მირქმის შესახებ ვკითხულობთ: **მირქმა** ძვ. 1. „გულზე მიკონება“ (საბა). 2. ეკლ. ერთ-ერთი ქრისტიანული დღესასწაული შობის მეორმოცე დღეს (2 თებერვალს)... (ქეგლ V, 1958).

**მირქმას** სხვადასხვა ტერმინებით აღნიშნავდნენ: **მირქმა, მიგებება, ლამპრობა, სვიმონობა...** **მირქმის** დღესასწაულს „ანასა და სვიმეონის დღესასწაულსაც“ ეძახიან, უმეტესად კი — „**სვიმეონის დღესასწაულს**“, უბრალოდ — „**სვიმონობას**“. ძველ ქართულ ტექსტებში ეს დღესასწაული მოიხსენიება, როგორც: „**ტაძრად მიყვანება უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი**“, „**მიგებება უფლისა**“, „**მიგებება იესო ქრისტესი**“, „**ლამპრობა**“...

**ლამპრობა** ქრისტიანული დღესასწაულის — მირქმის — რიტუალურ თავისებურებას წარმოადგენდა, ამიტომ ძველ ლიტურგიკულ ძეგლებში (X ს-ის ხელნაწერებში) იგი **მირქმის** სინონიმად მოიხსენიება. უძველესი ტრადიციის მიხედვით, მირქმის დღესასწაულს ქრისტიანები ხვდებოდნენ ანთებული ლამპრებით (შდრ.: მირქმის

დღესასწაულის ლათინური სახელწოდება: Candelaria, Festum Candelarum).

იოანე მინჩხის მირქმის საგალობელი სრულად ასახავს დღესასწაულის არსს და მასთან დაკავშირებულ ტერმინებსაც ნათელს ჰყენს: „ფებერვალსა ბ. მიგებებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი: ლამპრითა სულიერითა სუმეონ მართლისა თანა განვიდეთ ჩუენ მიგებებად მეუფისა, რამეთუ მოვიდა ღმრთეებით ღრუბლითა სულმცირითა აღსრულებად შჯულისა, გამობრწყინვებად ნათელი წარმართთა ზედა“...

**მირქმა, მიგებება, ლამპრობა, სვიმონობა** — ეს ტერმინები ერთი და იმავე დღესასწაულის აღმნიშვნელი სახელებია, თითოეული მათგანი ამ დღესასწაულის მახასიათებელ რაიმე განსაკუთრებულ დეტალს მიანიშნებს: **მირქმა** (< **მიქუმა**) — მართალი სვიმეონის მიერ უფლის, ყრმა იესოს მირქმას: „და მოვიდა [სუმეონ] სულითა ტაძარსა მას. და ვითარცა მოიყვანეს მშობელთა მათ ყრმაჲ იგი იესუ ყოფად მათა მსგავსად ჩვეულებისა შჯულისაჲსა მის ზედა. და **მან მიიქუა იგი** მჯართა [მკლავთა] თჳსთა [ზედა], აკურთხევდა ღმერთსა...“ (ლუკა 2, 25-28). „შენი მშვიდობაჲ მომეც ჩუენ, ქრისტე, ძეო ღმრთისა, **რომელმან ჯერ-იჩინე დღეს მიქუმაჲ**, ვითარცა ჩრთილმან, მკლავთა ზედა მოხუცებულისა სუიმეონისთა, რაჲთა აცხოვნო ნათესავი კაცთაჲ“ (უძვ. იადგარი). **მიქუმა** (<**მიიქუა, მიექუა**) ტერმინი შეიცავს **ქუ-** ძირს (**აქუს**), რომელიც საერთოა „ქონებისა“ და „შემოსვის“ აღმნიშვნელი ქართველური ლექსიკისათვის. **მიგებება** „მეგებება“, „შეხვედრა“ (შდრ.: ბერძნ. Ἡ Ὑπαπαντὴ τοῦ Κυρίου, აგრეთვე, στυάπτεσις „შეხვედრა“, ლათ. Praesentatione Domini „განცხადება უფლისა“, სლავ. сретенье Господнье). **მიგებება** ბერძნული Ἡ Ὑπαπαντὴ-ს ანალოგიით უნდა იყოს შექმნილი, შდრ.: სლავური сретенье „встретить, обрести“, რომელიც, როგორც ცნობილია, ბერძნულის კალკია. მიგებებაში არსებობის აღმნიშვნელი -გ- ძირი გამოიყოფა: ჰ-გ-იეს, ე-გ-ებ-ის; მი-ე-გ-ო... (თემის ნიშნის შეზრდით: მი-გ-ებ-ა > მი-გ-ებ-ებ-ა). **ლამპრობა** ითვალისწინებს დღესასწაულის რიტუალურ მხარეს — ლამპრებით სვლას და სიმბოლურად ასახავს უფლის — „ჰემარითი ნათელის“ — ამქვეყნად მოვლინებას: „ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა [ზედა]“ (ლუკა 2, 32). „ნათელი მოვიდა

**სოფლად, დაუტევნეთ საქმენი ბნელისანი...**“ (უძგ. იადგარი).

**ლამპრობა** მირქმის დღესასწაულზე სხვა ქრისტიან ერებშიც ყოფილა ძველად გავრცელებული, ეს ტრადიცია იერუსალიმის ტაძარში დაწესდა და უკვე IV საუკუნიდან ლიტურგიკულ კალენდრებში დასტურდება. ლამპრობის წესი ძველად მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული, მაგრამ უკანასკნელ ხანებამდე ხალხურმა ყოფამ იგი მხოლოდ სვანეთში შემოინახა, „ლამპრობ“, „ლიმპარ“–ის სახელწოდებით. მაგრამ დღეს ამ დღესასწაულის გაგება გაბუნდოვანებულია: ის წარმართულ დღესასწაულად არის მიიჩნეული, ხან კი — ხალხურ გადმოცემებთანაა დაკავშირებული. სვანური „**ლამპრობა**“ რომ ნამდვილად მირქმის დღესასწაულია, ამაზე თვით ამ დღეობის სვანური სახელწოდებები: „**ლამპრობ**“, „**ლიმპარ**“ და „**სვიმნიშ ლამპრობ**“, „**სვიმნიშ**“, „**სვიმნობ**“ მეტყველებენ. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში გაზეთ „მადლი“ იმჟამად სასულიერო აკადემიის სტუდენტის, კვირიკე სუბელიანის, საყურადღებო წერილი იყო დაბეჭდილი, რომელშიც სვანური ლამპრობის წეს-ჩვეულებებია აღწერილი და მართებული, საყურადღებო აზრია გამოთქმული: „1. ეჭვგარეშეა, რომ ტერმინი „ლამპრობ“ — „ლიმპარ“–ი ბერძნული წარმომავლობისაა და მომდინარეობს სიტყვებიდან: ლამპროს „ბრწყინვალე, ნათელი“; ჰე ლამპას „ლამპარი, ჩირალდანი“. 2. ორივე დღესასწაული მტკიცედ ზის ქრისტიანულ ეორტოლოგიურ ციკლში. პირველი მათგანი ემთხვევა მირქმასა და სვიმონ და ანნა წინასწარმეტყველთა ხსენების დღეს. სახელწოდებების „სვიმნობ“–ის და „სვიმნიშ“–ის ეტიმოლოგია სრულიად აშკარადაა დაკავშირებული სვიმონ მიმრქმელის სახელთან, ხოლო რაც შეეხება „ლამპრობას“, უძველეს ქართულ იადგარშიც მიგებების ანუ მირქმის დღესასწაულის იბაკოები სწორედ ასეა დასათაურებული: „იბაკონი ლამპრობისანი“. რამდენადაც ქართული უძველესი იადგარი VII საუკუნემდელი იერუსალიმური ღვთისმსახურების პრაქტიკას ასახავს, უეჭველია, რომ უძველეს ქრისტიანულ სამყაროში ეს დღესასწაული სწორედ ამ სახით არსებობდა და ამავე ეპოქიდან შემოუნახავს იგი ხალხს...“ („მადლი“, N 4 (46), 1992).

ლამპრობის წესი ძველად რომ მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული, ამას აკაკი შანიძეც ადასტურებს „მთის კილოთა

ლექსიკონში“: „**ლამპარი** ჯ. შუა ზამთარი, დაახლოებით იანვრის ბოლო რიცხვები („ზამთარ რო გასწორდების“). **ლამპრობა** ჯ. ნ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1908. კ. კეკელიძე [Иерусалимский канонарь VII в., 181-182]. **ლამპარია** გულ., მთ. დიდ ოთხშაბათს ცეცხლი უნდა დაანთონ (ლიხისა), გადაფრინდებიან ზედ და იტყვიან: „წერი კუდიანთასაო“. **ამპარია** მოჯ., **ლომპორია** ფშ. დიდი ცეცხლი. **ლამპარიობა** გულ. ცეცხლის დანთება ნათლისღების წინა დღეს. **ლამპორიობა** მთ. დიდ ხუთშაბათს დანთებული ცეცხლი. **ლომპორია** ფშ. დიდ ოთხშაბათს დანთებული ცეცხლი. **ამპარიობა** (ჰო აგრე!) მოჯ. ჭია-კოკონა (31 იანვარს დანთებენ ცეცხლს). „**ლამპრობა**“, როგორც ქრისტიანული დღესასწაული, მოდიოდა მირქმის დღეს, ე. ი. 2 თებერვალს ძველი სტილით. ნ. ლამპრობა. **ლამპრობა** მთ. ყველიერის პარასკევს ცეცხლს დაანთებენ ზედ გადაფრინდებიან ბაღლები. ნ. ლამპარი, ლამპარიობა“ (ა. შანიძე). საყურადღებოა, აგრეთვე, ალ. ლლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ დადასტურებული მასალა: „**ლამპარ-ი** (გურ.) ჭიაკოკონა, აკეთებენ ბლის ხის კანით, კვრით, ხმელი შეშით. **ლამპარიობა** (ქართლ. ტონჩა, დუშეთის რ.) ჭიაკოკონობა. ნ. **ლამპრობა**. **ლამპრობა** (გურ.) ჭიაკოკონობა (ალ. ლლ.)“.

აქ კარგად ჩანს, როგორ დაიკარგა დღესასწაულის რელიგიური არსი და მხოლოდ მისი ვიზუალური, რიტუალური მხარე შემორჩა. ეს ჩვეულებრივი მახასიათებელია რელიგიური დღესასწაულების განალხურებისა, — ხსოვნას მხოლოდ რიტუალური მხარე შემორჩება ხოლმე, ტიპოლოგიურად ამის მსგავსია: **ათენაგენა** (ათენგენობა), რომელიც მომდინარეობს ათინეგენონ სებასტიელი ეპისკოპოსის სახელიდან (III ს.); **ალავერდობა**, რომელიც ერთ-ერთი ცამეტი ასურელი მაის, იოსებ ალავერდელის, სახელთანაა დაკავშირებული და სხვ.

## მ ზ ი ა ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი (ბათუმის უნივერსიტეტი)

### თემის ნიშანთა უნიფიკაცია კლარჯულში

შავშურ, ტაოურ და აჭარულ დიალექტებთან ერთად კლარჯული სამხრეთი საქართველოს დიალექტთაგანია. იგი თურქული ენის ძლიერ გავლენას განიცდის. ისტორიულ კლარჯეთსა და კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებთან ბოლო დროს ჩაწერილი მეტყველების ნიმუშები ძვირფასი ემპირიული მასალაა აღნიშნული დიალექტის თავისებურებათა კვლევისათვის, მით უფრო დიდია იმის შესაძლებლობა, რომ შეფასდეს დივერგენციული პროცესები, რომლებიც კლარჯულში ზოგადად ამკარაა. თითოეული თავისებურებისა თუ პროცესის ლინგვისტური კვალიფიკაცია კი აწ უკვე აღიარებული დასკვნების გადაფასების საშუალებას იძლევა, შედეგად კი საუბარი შეიძლება დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენციაზე.

საანალიზო მასალის საფუძველზე კლარჯულში, სხვა თავისებურებებთან ერთად, განსაკუთრებით თვალში საცემია თემის ნიშანთა უნიფიკაცია. ენა, როგორც წესი, ისწრაფვის რომელიმე ერთი მნიშვნელობისათვის გამოიყენოს ერთი ფორმობრივი სტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ კლარჯულში თემის ნიშანთა მრავალფეროვანი მონაცვლეობა დასტურდება **-ებ**: გავათხელ-**ავ**-თ; გააკეთ-**ავ**-ს; ატყაბუნ-**ავ**-ს. **-ავ**: დაკლ-**ებ**-ენ; მეიპარ-**ებ**-ენ; მორეკ-**ებ**-ენ; გამოწურ-**ებ**-ენ. **-ობ**: ილაპარაკ-**ავ**-ს; იხმარ-**ავ**-ს; **-ო**: წერ-**ავ**-ს. აღსანიშნავია, რომ ზმნათა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს **-ავ** თემის ნიშანს. ერთი შეხედვით, შავშურისა და აჭარულისაგან განსხვავებით კლარჯულში ამკარაა **-ავ** თემის ნიშნის გაბატონება. კლარჯულ მასალებში ასევე წარმოდგენილია თემის ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობანი: არწებდა; დეიწყოფ და ა. შ.

კლარჯულში ძირითადად ზემოაჭარულის მსგავსად **-ავ / -ამ** თემის ნიშანი ნამყოფ უსრულში **-ე** განმოვანებითაა წარმოდგენილი თვით უნიფიცირებულ ფორმებშიც კი: **მოვჭრევდით, ყიდევდენჟ** თუმცა საყურადღებოა, რომ უწყვეტელშივე უნიფიცირებული ფორმა არ ემორჩილება აღნიშნულ კანონზომიერებას: **ვუყურ-ავ-დ-ი-თ**. ერთეულ შემთხვევაში მესამე სუბიექტური პირის ფორმაში თემის ნიშ-

ნის ხმოვანი რედუცირებულია: **გაყიდვიდა** შდრ. **მოსთქმიდა** (ქობ.)

საინტერესოა **ცემ-ვ-ენ** უთემისნიშნო ზმნა, სადაც აწმყოს მრავლობითი რიცხვის მესამე პირში თემის ნიშანი რედუცირებულია.

**-ავ** თემის ნიშნის უნიფიკაციის საკმაოდ შორს წასული პროცესი ყველა ტიპის ზმნურ ფორმაში გვხვდება. ხმოვანმონაცვლე ზმნები პირველ სერიაში **-ავ** თემის ნიშნით დასტურდება: **იჭირა-ავ-ს**.

უნიფიკაციის პროცესი დასტურდება საშუალო გვარის ზმნებში **ილაპარაკ-ავ-ს, იჩხუბ-ავ-დ-ა, ვ-ი-სამ-ავ-დ-ით** (თურქ. სამა -ცეკვა), **იტირ-ავ-დ-ა, ი-ღმერ-ავ-დ-ა...**

კატეგორიის მაწარმოებლის **-ინ** ფორმანტის პოზიციაში დაჩნდება ოდენ **-ი**. წარმოდგენილია უნიფიცირებული **-ავ** თემის ნიშნით: **დაგაღვი-ი(ნ)-ავ-თ**.

საყურადღებოა, რომ კლარჯულში დადასტურდა **ვიქმ (ვქმენ)** ქცევამონაცვლე ზმნის უნიფიკაცია: აწმყოს მწკრივის პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში **ვიქავთ**, რომელშიც ფუძისეული თანხმოვანი აღდება მესამე პირში **იქმენ**.

## მ ა რ ი ნ ა ჯ ლ ა რ კ ა ვ ა (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნები მეგრულ-ლაზურში

იმ ენებში, რომლებშიც აქტივსა და პასივს განსხვავებული მორფოლოგიური სახე აქვს, ხშირად გვხვდება გამონაკლისები, რომელთა სემანტიკა და ფორმა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ მნიშვნელობას, შინაარსს, თითქოს შეუსაბამოა. ეს თავისებურება ქართველურ ზმნებში ხშირად გამოიხატება, რადგანაც სემანტიკური ნიუანსების გადმოსაცემად ქართულს, სვანურსა და მეგრულ-ლაზურს უპირატესი მორფოლოგიური მარკერი უწყობს ხელს...

შედარება-შეპირისპირების მიზნით ფორმისა და შინაარსის აღრევის მაგალითები მოვიძიეთ გადაადგილების აღმნიშვნელ ზმნებში მეგრულსა და ლაზურში. ზმნები, რომლებიც როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით სიარულს აღნიშნავს, ძრითადად



აქტივის ფორმისაა, საშუალო გვარისა, მონოპერსონალური, ვინის რიგის როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში.

მეგრულში: **გილურს** — დადის, **მიობადანს** - ძლივს მიდის, **ბანდალანს** — ბარბაცით მიდის, **გილაგაგანს** — დალასლასებს, **გილარშვინუნს** — უსაქმოდ დაიარება და სხვ.

ლაზურში: **იგზალს** - მიდის, გზას ადგას, **ულურს** — მიდის, **ტარიკამს** — მიქრის, მიჯირითობს და სხვ.

მათ შორის ბევრია დეპონენსი. მეგრ.: **გილერქალუ** - ხეტი-ლობს, აწყვეტილი დადის, **იბურინუ** — ქროლვით დადის, **გილებარძღალუ** — დაღოღილებს.... ლაზ.: **ნუნკაპუ(ნ)** — მირბის, **დოფუ-თხუნ** — დაფრინავს (სიხარულით დადის)...

მეგრულში ვხვდებით აქტივისა და პასივის პარალელურ ფორმებს (**გილაბაყვანს // გილებაყვალუ** — დაბლაყუნობს, **გილაქვაქვანს // გილექვაქვალუ** — მოხდენილად, კოხტად დადის, **გილადანდანს // გილედანღალუ** — დაღანღალობს, ძლივს დადის...);

იშვიათია, მაგრამ მოიპოვება რელატიური ზმნები, როგორცაა ლაზურში **ნოყუფს** — დაჰყვება; სტატიკურის ფორმისა, როგორცაა მეგრულში **მირულე** — დარბის...

მოხსენებაში განვიხილავთ ამ ტიპის ზმნებს და წარმოვადგენთ მათ პარადიგმატულ ანალიზს.